ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132-1307

საბჭოთა ენციკლოპედია

1979 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლო კურიის სხდომებში, როცა მისი „თანასწორის“ საქმე ირჩეოდა ხელმძღვანელობდა კურიას, როცა მის ვასალს ახამართლებდნენ. საღამოობით, ციხე-დარბაზის მკვიდრნი, კერიის გარშემო იურიდნენ თავს და კამათლით, ან ჭადრაკით ერთობოდნენ. განსაკუთრებით მოსაწყენი იყო ზამთრის გრძელი საღამოები, როცა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა რაინდების დაშშმინება — უცოლო, სანახევროდ მშიერი (ზამთრის რაციონი შეზღუდული გახლდათ). უფრო ხშირად კი, მთვრალი ახალგაზრდობისა, რომელსაც ხელ კინკლასა და ჩხუბზე ეჭირა თვალი. მოსაბეზრებელ ერთფეროვნებას მხოლოდ სტუმრიანობა (ისიც, ძალზე იშვიათი, შუასაუკუნეობრივი კარჩაკეტილობის გამო), ტურნირები, ანდა ეონგლიორების გამოჩენა თუ არდევედა. „ეონგლიორს“ სხვადასხვა სპეციალობის ხალხს ეძახდნენ, რომლებსაც საერთო ფუნქცია ჰქონდათ — სხვათა გართობა. ესენი იყენენ დათვებისა თუ მაიმუნების გაწვრთნელები, მუშაითები, აკრობატები, მუსიკოსები, მომღერლები, ფაბლიოთა და რომანების მთხრობელნი და, რა თქმა უნდა, ტრუბადურებიც. ციხე-დარბაზებში ისინი, ჩვეულებრივ, ტურნირების, ჭორწილების ან რაინდად კურთხევის დღეებში გამოჩნდებოდნენ ხოლმე და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერასა თუ აკრობატობაში. ეონგლიორთა ცხოვრება რთული და წინააღმდეგობრივი იყო. ჩვეულებრივ, ქალაქის დაბალი ფენის წარმომადგენლები, ისინი თავიანთ ბედს ციხედარბაზებს უკავშირებდნენ, სადაც მხოლოდ და მხოლოდ, სასიამოვნო გასართობად ითვლებოდნენ. აქედან იღებდა საკუთარ მათი მისწრაფებაც, ყოფილიყვნენ უფრო რაინდულნი (თავიანთ შემოქმედებაში), ვიდრე რაინდები; მაგრამ, ამასთანავე, განუწყვეტელი ბრძოლა არსებობისათვის, განუწყვეტელი „ინტელიგენტური“ სიღატაკე და განუწყვეტელი მათხოვრობა მოწყალებისა, იძულებულს ხდიდათ, თავი დაეკნინებინათ. ისინიც ციხედარბაზების უხეშ სამყაროს ეკუთვნოდნენ, უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ერთმანეთს, რადგან მათი ბუფონადა იმ გემოვნებას პასუხობდა, რომლისთვისაც მოსწრებული სიტყვა ყაიმურალობას უთანაბრდებოდა, ხუმრობა-სიმახინჯეს, და ამიტომაც იყო, ჯუჯები და კუზიანები განსაკუთრებით რომ ფასობდნენ სენიორთა მსახურთა შორის; მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ეონგლიორებს ყოფნიდათ ძალაცა და გამბედაობაც გაემახარავებინათ თავიანთ ლექსებში ფეოდალური საზოგადოების მანკიერი მხარეები.

ყოველდღიური რუტინის ტყვეობიდან, რაინდს მხოლოდ ომი ათავისუფლებდა. მაგრამ ომი იყო, თუ მშვიდობა, ფეოდალი ყოველთვის მტკიცედ შედუღაბებული სოციალური ჯგუფის, ანდა ჯგუფების — სისხლისმიერ კავშირზე დაფუძნებული ლინიაჟის, ერთ ციხე-დარბაზში მცხოვრები რაინდებისა და დამუაზოების ოჯახის, ერთი და იგივე სენიორის ვასალთა, „თანასწორთა“ (პერების) თანაზეგობრობის — წევრად რჩებოდა. როგორც მეცამეტე საუკუნის ინქლისური ანდაზა ამბობს, სენიორი პურს მარტო არ ჭამდა, და გრძელი მაგიდა და გრძელი სკამები, ალბათ, ამიტომაც იქცა ფეოდალური ციხე-დარბაზებისთვის დამახასიათებელ ავეჯად. ფეოდალური ყოფის კორპორატიულობა, ფეოდალთა წოდების კორპორატიულ ორგანიზაციას პასუხობდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თარგმნა ზაზა ჭილაძემ

აკაკი გეწაძე

განძის გაჭაცება

რევოლუციურ-კეგლიციერული კიესა ორ ნაწილად

პიესაში მოქმედებენ:

გავაშელი გაბო — ბრგე და ლონიერი, გულუბრყვილო და კეთილი.
კოტე — გაბოს ვაჟი.
მიროლიუბოვი ივანე — ჭეშმარიტი რევოლუციონერი.
იულია — თავი რევოლუციონერად მოაქვს.
პეტეკ — იულას შეგირდი.
სერგეი — ჩვეულებრივი რევოლუციონერი.
ალარა — რევოლუციონერი ფანატიკოსი.
ცვეტაევა ელენა — ყოფილი მასწავლებელი.
ხვეტა — ობოლი გოგო.
გრიგორი — მდიდარი ხაჭმოსანი.
იაკობი — გრიგორის ძმა.
დაშა — გზააბნეული ქალი.
ბრმა — მათხოვარი.
იგორი — გლეხი.
მეცნიერი.
მწერალი.
მსახიობი.
რამდენიმე ჯარისკაცი და მოქალაქე.

მოქმედება ხდება 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებში პეტროგრადის მახლობელ პატარა სადგურთან.

პირველი ნაწილი

გარკვევით არაფერი ჩანს. ირეკა ფერები. ეს არის ჭარმონიულად შერწყმული ცისარტყელას შვიდი ფერი. აქ ფერები თითქოს ერთმანეთს ხმლებით ჩეხავენ, ხიშტებით ხვევნ და ყუმბარებით აფეთქებენო. ხმებიც ირეკა — მაყორული და მინორული. ხიბნელისა და სინათლის რიალში ბუნდოვნად ჩანან ადამიანები, ისინი ნიხლში გახვეული ქანდაკებებსა ჰგვანან. ამ ბინდ-ბუნდშიგე ისმის მათი ნაირნაირი ხმა.

ჯ გ უ ფ ი. რევოლუცია — ჭიდელი მძაფრი,
დიდი ბურუსი ჯვარედინ გზაზე,
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების მორევი,
მორევი მღვრიე..

ი ვ ა ნ ე. სავსე იმედებით.
ი ა კ ო ბ ი. სასოწარკვეთით სავსე.
ჯ გ უ ფ ი. რევოლუცია — ჭიდელი მძაფრი.
ს ე რ გ ე ი. ნოსელი ფიქრების.
ბ რ ი ბ ო რ ი. გულბნელი ზარახვების.
ი ვ ა ნ ე. თავი მართალი ჭგონია ყველას.
ი უ რ კ ა. მტყუანი არვის ჭგონია თავი...
პ ე ტ კ ა. და ყველა თავის სიმართლეს იცავს.
ჯ გ უ ფ ი. მღვრიე მორევში თავბრუდამხვევად ტრიალებს ადამიანთა ბედი.
ე ლ ე ნ ა. ყველაზე მძაფრია ტკივილი დედის.
ჯ გ უ ფ ი. რევოლუცია — ჭიდელი მძაფრი, მრუდის და მართლის...
კ ლ ა რ ა. ცრურწმენის ცეცხლი ანთია ბევრი.
ი ვ ა ნ ე. იქვე გიზგიზებს დიდი ცეცხლი ჭეშმარიტ რწმენის.
ი უ რ კ ა. ჭეშმარიტი რწმენის დროშას ხშირად ცრურწმენა დაეფრიალებს.
კ ო ტ ე. არის ჭიდელი მძაფრი — ქარიშხლისა და აფრქის.
ე ლ ე ნ ა. კვნესაა ბევრი.
დ ა შ ა. სიცილიც არის ბევრი.
გ ა ბ ო. დღეები სავსეა გაურკვეველობის ბურუსითა და კვამლით.
დ ა შ ა. რევოლუცია — ბევრი რამ იწვის.
ბ რ მ ა. ვინ რას დაკარგავს, არავინ იცის,
ვინ რას იპოვის, არავინ იცის.
ე ლ ე ნ ა. რევოლუცია ამსხვრევს ფაღრავი ადამიანის ბედს...
ს ვ ე ტ ა. და ნანგრევებზე ფაღრავი აღაშენის ბედის ასლებურად შენებას იწყებს.
ი ა კ ო ბ ი. სისხლისღვრას ნოსტალგია ფუთალავი სიხალე მიწას.
ი ბ ო რ ი. სიცილი მღწის.
ბ რ მ ა. ვაება მიწის.
კ ო ტ ე. ახალი კედელი შენდება ბევრი.
დ ა შ ა. ირღვევა ბევრი ძველი კედელი.
გ ა ბ ო. მეფობს ბურუსი და დენთის ფვნილი,
ბევრი რამ არის გაურკვეველი.

ჯ გ უ ფ ი. რევოლუცია — ჭიდელი მძაფრი!... ჩვენ ავარჩიეთ უსაზღვრო სიფრცის ხატად პატარა სადგური ერთი, ხოლო ხანგრძლივი დროებამის ნაცვლად დღე ათიოდე, მილიონების მაგივრად კი ოციოდე ადამიანი, რადგანაც წვეთში ზღვა ილანდება, პატარა სარკეში სამყარო ჩანს.

(ბონგის ხმასავით გაისმა ქუხილი, მერე ტყეიამფრქვევების კაკანი და ხალხის ყიჟინა. ბუნდოვნად გამოჩნდა სადგური, რკინიგზა, ჩიხში ჩამდგარი ვაგონი. რაღაც დანგრეულია, რაღაც ახლა შენდება. ხალხი გაობა-გამორბის).

გ ა ბ ო. (ჩიღია ხერკინი, მოაქვს ნაბადი. მოჰყვება კოტე, როგორლაც მამისაგან ჩაუვლია ხელი. გაბო ყველას აჩერებს). რა მოხდა? რა მოხდა? (არავინ ეპასუხება, ყველა გარბის)... კოტე, ბიჭო, არ შეგეშინდეს! მე, შვილო, შენს მაგივრადაც მეშინია, შენ კი არ შეგეშინდეს... (მგზავრს რაღაც დაუვარდა. გაბომ აიღო, დაედევნა და მისცა). ბალისკენ წავიდეთ, შვილო!.. არა, სადგურისკენ ჯობია, მგონი!... (აქეთ-იქით დარბიან. შეეჯახნენ ზეწარწამოხურულ კაცს, იგი სუდარაში გახვეულ სიკვდილსა ჰგავს. გიქურად გაპყვირიან — სისხლიანი სიკვდილი მოდის! წითელი სიკვდილი მოდის! სისხლი, სისხლი, სისხლი!" მარცხნიდან კუბოაკიდებული კაცი გამოჩენილა. ეკლესიის ჯვრიდან — აკვნიანი. ერთმანეთს შეეჯახნენ, კუბო და აკვანი ერთად დაიყარა. ფაციფუცში მეკუბოვემ აკვანს დაავლო ხელი, მეაკვნემ — კუბოს. მერე ცივად დაყარეს და გაიქნენ).

ც ი ლ ინ დ რ ი ა ნ ი კ ა ც ი. აი რევოლუციის სიმბოლური ხატი! მე რომ მეკითხონ, რევოლუციის ემბლემად კუბოსა და აკვანს ღვიძაცავდი. კვდება ძველი სამყარო, იბადება ახალი!

(კუბო და აკვანი აიტაცა და ხარხარით წაძუნძულდა).

გ ა ბ ო. ბიდაში, ბატონო, რა მოხდა? ვინ ისვრის, ვის ესვრის, რატომ ისვრიან? რა ხდება, ადამიანებო, გამაგებინეთ!

(აქეთ-იქით დადგა ორი კაცი).

ო პ ტ ი მ ი ს ტ ი. (ჰგავს მუშასაც და ჯარისკაცსაც. ცალ ხელში თოფი უჭირავს, მეორეში — ურო) ესეც ასე! გადმოსცდა გულში დიდი ხნის დაგროვილი ბოღმა — მოხდა ნამდვილი რევოლუცია.

პ ე ს ი მ ი ს ტ ი. (ჰგავს ბობოლასაც და ინტელიგენტსაც. უკეთია ეპენსე. ერთი იღლიაში წიგნები ამოუჩრია ბლოკად, მეორეში — ბრეშეიკია ნივთები) ისე დაიწყო კაცთა სისხლისმღვრელი რევოლუცია. ადამიანებს რომ ვხედავ, მეშინია. რევოლუცია ამხეცებს კეთილ ადამიანსაც კი. რა სიკეთეც ხალხს თებერვლის რევოლუციამ მოუტანა, იმასვე ბრძოლის ენაზე ეს რევოლუციაც.

ო ტ ი მ ი ს ტ ი. თებერვლის რევოლუცია ქალის ნაადრეგ მშობიარობას ჰგავდა. ბავშვი უდღეური დაიბადა. ახლა იბადება ნამდვილი ბავშვი.

პ ე ს ი მ ი ს ტ ი. თებერვლის რევოლუციამ ციხიდან გამოუშვა ყველა პატიმარი — ბრალიანი და უბრალო. ნაციხარმა ხალხმა ახალი რევოლუცია ანატეხა. არ ჰყოფნით ის სისხლი, ეერმანიის ფრონტზე რომ იღვრება. მოდის სისხლის ახალი წარღვნა! სისხლი, სისხლი, სისხლი!...

ო ტ ი მ ი ს ტ ი. ხალხის ბედნიერების დიდი მდინარე მოედინება! განახლების მოლოდინშიც იქცა მთელი სამყარო. ხვალინდელი დღე ხალხს ფაბრავ იმედს ჰპირდება!

პ ე ს ი მ ი ს ტ ი. სიცრუეა ეს ყველაფერი, რევოლუცია დაპირებებით ატეუუენს ხალხს.

(წამღერებენ).

დაპირებები, დაპირებები, დაპირებები მხოლოდ,
მხოლოდ და მხოლოდ დაპირებები და არაფერი ბოლოს.

ო ტ ი მ ი ს ტ ი. ურწმუნო კაცია, ყურს ნუ დაუგდებთ. არაფერი სჯერა — არც რევოლუციის სიკვდილ, არც ადამიანის სიკეთე.

პ ე ს ი მ ი ს ტ ი. მე ის მჯერა, რომ ეს დღე საბედნიეროდ ექცევა რუსეთს... და არა მარტო რუსეთს. იგი მოსპობს ადამიანში ადამიანს.

ო ტ ი მ ი ს ტ ი. დღეს კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა იწყება. იბადება ახალი ადამიანი!

პ ე ს ი მ ი ს ტ ი. მალე ვნახავთ, ვინ იქნება მართალი!

ო ტ ი მ ი ს ტ ი. დიახ, მალე ვნახავთ, ვინ იქნება მართალი (ვადის).

გ ა ბ ო. (ყურს უგდებს ორივეს და გაკვირვებული შლის ხელებს. ბოლოს პესიმისტს მიადგა). ბატონო, რა ამბავია?! ეს ზღვა ხალხი სად გარბის? ზოგი აქეთ, ზოგი იქით... რატომ გარბის? ვის მისდევს? ვის გაურბის?

პ ე ს ი მ ი ს ტ ი. ყველა მხოლოდ თავის თავს გაურბის, სხვას არავის. ადამიანი ეაურბის ადამიანს. მაგრამ რაც არ უნდა იფფეხურის, ადამიანი ადამიანს ვერ გიექცევა... თავის თავს ვერ გიექცევი, ათასი რევოლუციაც რომ მოხდეს და ქვეყნიერებაც ათასჯერ გადატრიალდეს. გაიგე?

გ ა ბ ო. ვერ გავიგე, ბატონო?!

პ ე ს ი მ ი ს ტ ი. ამის გაგება რომ ყველას შეეძლოს, ამდენი ფუჭი სისხლისღვრაც არ იქნებოდა. გაიგე?

გ ა ბ ო. ვერ გავიგე?!

(პესიმისტმა ხელი ჩაიქნია და წავიდა. კვლავ მორბი-მორბის ხალხი. ერთს გიტარა დაუვარდა. არც მოხედა. გიტარა დაწმა აიღო

და ზედ ბომბერი რომანსი დაამღერა. ადამიანები შეშლილებივით გარბი-გამორბიან. დაშა კი ერთობა, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია).

დ ა შ ა. სულელი ბრბო! ყეყეჩები! ერთი რევოლუცია არ ეყოთ, მეორე მოაყოლეს. დიდებულია! (ცეკვავს გიტარიანად). ყველაფერი ამიერიდან საერთო იქნებაო — მიწა-წყალი, ფაბრიკა-ქარხნები, დედაკაცი, მამაკაცი და, ბუნებრივია, ბავშვებიც. გაუმარჯოს ერთობას! მე ყველაზე მტკად ის მიმწონს, ყველა დედაკაცი და ყველა მამაკაცი საერთო რომ იქნება. ჰა, ჰა, ჰა! ჭარშგი მამაკაცები ქორფა გოგოებს მიეძალებიან, ქალის უნახავი ბიჭები კი — დახელოვნებულ დიაცებს... დიდებულია! გაუმარჯოს ახეთ რევოლუციას! ჰე, ჰე, ხალხო, თურმე ზამორის სასახლეში ფლავს არიგებენ მუქთად, ოქვენ კი სად გარბიხართ? ამბობენ, მისწრებაზეა. გაბრუნდიან! ზამორის სასახლეში ფლავს არიგებენ მუქთად! ჰა, ჰა (ცეკვა გიტარას უკრავს და თან ცეკვავს. ცეკვით მიუახლოვდა კოტეს) რა ცეცხლიანი ბიჭი ვარ! ეტყობა, ბოჩოლა, მოგწონვარ? ღმერთმანი, მეც მომეწონე. წამო! წამომყევი-მეთქი!

კ ო ტ ე. სად?! რატომ წამოგყევე?

დ ა შ ა. შენ ჯერ ალბათ არც იცი, დიაცის გულში ჩახუტუნება რა ხალია. ამ ცივ სადგურთან რა დაგაყარვი? მყუდრო ოთახი მაქვს აქვე, ლამეს ობლად გაგათევინებ. რამ შეგაშინა? ბევრს არ გამოგართმევ...

გ ა ბ ო. შენ ჰეი, დიაცო, მოშორდი მაგ ბიჭს!

დ ა შ ა. შენი ლეკვია?

(ლოყაზე ალერსინაად წაუთათუნებს ხელს).

გ ა ბ ო. მოშორდი-მეთქი!

დ ა შ ა. რას მიწყრები, ულმურო? მე ძალას არავის ვატან.

(გიტარის დაკერით მიდის).

კ ო ტ ე. მამა, ვინ არის?! ვინ არის ეს ლამაზი ქალი?!

გ ა ბ ო. ნუ უყურებ, ბიჭო, ცუდი დიაცია.

კ ო ტ ე. ამაზე ლამაზი ჩემ დღეში არავინ მინახავს?!

გ ა ბ ო. გეუბნები, შვილო, არ არის ეგ ლამაზი.

კ ო ტ ე. გუშინაც შეგაგზდა. ყველა იძახდა, ლამაზი მოდიხო...

გ ა ბ ო. ყველა რომ იძახდა, ლამაზი მოდიხო, იმიტომაც არის ცუდი ქალი. სხვანაირად არის ცუდი... საქციელით, ზნეობით, შეელებილია, მართლა ლამაზი კი არ არის. იმნაირი ქალისკენ მეორედ აღარ გაიხედო!

კ ო ტ ე. რატომ? შეხედვით რა დაშავდება?

გ ა ბ ო. შენ, ბიჭო, ახლა ამოიდგი ენაზ? მე რომ გეუბნები, ასეა.

ხ მ ა. (რუპორიდან). წუხელ კონტრრევოლუციონერთა ჯგუფმა ისარგებლა არეულობით და გაძარცვა სახელმწიფო ბანინა. გაიტაცა განძი — ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქვები. ამბავმა რევოლუციის შუბაზის ყურამდეც მიაღწია. პირადად ლენინის განკარგულებაა, არ გავაკანონ ეს განძი ტატებს, დავიბრუნოთ და მოვახმაროთ რევოლუციის დიად საქმეს. ამისთვის საჭიროა შეიქმნას რამდენიმე საგანგებო რაზმი.

ს ე რ გ ე ი. (გამოჩნდა ერთ მეზღვაურთან, ერთ ჯარისკაცთან და ერთ მოქალაქესთან ერთად). ამხანაგებო, ვიდრე განძს არ ვიპოვით, საჭიროა სადგურთან შევკრათ ყველა გზა. განძს სხვა გზით ვერ გაიპარებენ. მომეცეით!

(გადიან).

ი ო რ ა. (შემოუძღვა სამ ჯარისკაცს). შენ რეინიგზას უთვალთვალებ, შენ მოიდგანს, შენ სადგურს. გაჩხრიეთ ყველა, ვინც ამ უბანში გაიელ-გამოიელის! სიფხიზლე, სიფხიზლე და კიდევ სიფხიზლე!

დ ა შ ა. (ცეკვა გიტარის დაკერით გამოიელის). ზოგი ხაზინიდან განძს იტაცებს, ზოგიც ზამორის სასახლეში ფლავს არიგებს მუქთად! აბა, ჰე, ვინ მიასწრებს! ჰა, ჰა, ჰა!

(ხალხი აჩქარებით მიდი-მოდის).

გ ა ბ ო. რა ფლავიო? რის სასახლეო? რა მოხდა, პატივცემულო, გამაგებინე?

(ასსუბი რომ არაფერ გასცა, ერთს ხელი ჩაავლო და შეაჩერა. მგზავრმა ზეხლი ჰკრა და, ეტყობა, შემოგიხსნა კიდეც).

ბოდიში, ბატონო, მაპატიეთ!... რა ბურუსია ეს უსატრონო! რაღაცა დიდი უბედურება მოხდა, ეტყობა! აქეთ მომყევი, შვილო, სადმე უფრო საიმედოდ შევეფაროთ.

(იქით ეცა, აქეთ ეცა, მყუდრო თავშესაფარი ვერსად აღმოჩინა, ფარღალალა კეთილში მიიკუნტა. შვილს ისე გადაეფარა, როგორც კრუნი წიწილას).

გეშინია? რამ დაგამუნჯა! ხმა გამეცი! ძალიან გეშინია?

კ ო ტ ე. ისე ვარ, რაღაცნაირად... თითქოს არ მეშინია, მაგრამ უცაბ.. ძალიან მომეხარა გულში ჩვენი სოფელი! რა კარგია, ალილუ! მამლები რომ აყივლდებიან... ზაფხულში ჭრიჭინების ღამეული კრუალიც მომეხატა!... კრუუუ! კრუუუუ! კრუუუუუ!

გ ა ბ ო. მერე, შე მამაძაღლო, ამ არეულ-დარეულ ქალაქში ჩვენი სოფლის მამლები და ჭრიჭინები საიდან გაგიჩინო? დამშვიდდი! ჩვენ ეინ ხარ? ვინ ბრძანის! არავინ მოგვეკლავს და არავინ გაგვიძარცვავს. (ჩიბუხს ამოიღებს) ეს ოხერი თუთუნიც ახლა გაბოდალია. (ცარიელ ჩიბუხს მოსწეკს, ხელს ჩაიქნევს და ჩიბუხს შეინახავს). ახე თვალსა და ხელშუა რაფრად გაგვიძარა ის უცნოელი? ამ ანდდლეულულ-დანდდლეულულ დუნია ხალხში ვინღა მიაგნებს?! ოინა მაინც ხად დაეგეკარგა? ინ ოჯახქორს ქალები უყვარს და ვაითუ ხელს გადაპყვა... თავს გარეთ ნუ ჰყოფ, ბიჭო! ნუ გეშინია, მე აგერა ვარ!.. (უფრო გულმოდგინედ გადაეფოფრა, ხეტყინი და ნაბადიც კი მიაფარა). კაი, სხვაგან გადავიდეთ. (მიპყავს). დედა, რა არეულობაა?! ხელი არ გამიშვა, შენც არ დამეკარგო.

კ ო ტ ე. მამა, რა თქვა იმ ოჯახქორმა ოინამ, სად მივდივარო?

გ ა ბ ო. ჯანდაბაში. იქნება იმ ჩვენი ცოდვით სავსე უცხოელს, სადმე მივაგნოო. უცხოელს ვინღა დაეძებს, ნეტავი თვითონ არ დაგვკარგვოდ!

კ ო ტ ე. არ უნდა წამოვყოლოდით. თავიდანვე ვატყობდი, არც ჩვენებური იყო სანდო, არც — უცხოელი.

გ ა ბ ო. რა ვიცოდი... ახეო, ისეო, ქვეყნიერებას განეახვები, გაგამდიდრებო... არ მოგშვიდდ?

კ ო ტ ე. სმა-ჭამა ვიღას ეხსოვს. სადმე მყუდრო ადგილი ვიპოვოთ.

გ ა ბ ო. სადღაა სინშვიდე?! ჩემ ჯიბრზე აირია ქვეყნიერება.

კ ო ტ ე. მამა, წავიდეთ შინ. ოინას, ეტყობა, ვეღარ ვნახავთ...

გ ა ბ ო. მატარებელს, შვილო, დიდი ფული უნდა. მე ორიოდე გროშიღა დამრჩა. ფეხით ხომ ვერ წავალთ?

კ ო ტ ე. წავიდეთ, ფეხით წავიდეთ.

გ ა ბ ო. პეტერბურგიდან საქართველოში ფეხით სიკვდილამდე ვერ ჩავალთ, შვილო. რამე სარჩენი საქმეს მოვნახავ, ექვსიოდ თვეს წავიმუშავებ, სამგზავრო ფულს ვიშოვი და მერე წავალ, ანა, აქ რა ეშმაკებს გავუჩერდები!

(ისევ ნაცნობ ფარღალალა კუთხეს დაუბრუნდა).

ი ა კ ო ბ ი. (შემბოარბაცდა მთვრალი). ულვაშა, აქ რას უზიხარ თოფს? მოგყიდი, არ გინდა? ნაქურდალი არ გეგონოს, ჩემი ძმის სარდაფში ვიპოვე. ნამდვილად ისპრის. ვაზნებიც მაქვს. იყიდე.

გ ა ბ ო. მე თოფის კაცი არა ვარ, ბატონო.

ი ა კ ო ბ ი. ქვეყანა აირ-დაირია, გამოგადგება. თუნდაც თავის დასაცავად.

გ ა ბ ო. თავს ამითაც დავიცავ!

(მკლავებს გაშლის).

ი ა კ ო ბ ი. ვერ დაიცავ. თოფს თოფით უნდა შეებრძოლო.

გ ა ბ ო. რას გადამეკიდე მევალესავით, ადამიანო? არ მინდა თოფი!

ი ა კ ო ბ ი. თუ ვინმე გაგაბრაზებს, ბრაზ და...

გ ა ბ ო. რამდენი ვინმე ვინმეს გააბრაზებს, თუ ყველამ ერთმანეთს ტუკი ეხროოს, სად წავა! მე კაცს ვერ მოვკლავ! ვინმეს რომ ვაწყენინებ, სამი დღე ცხადსა და ძილში ვტირი.

ი ა კ ო ბ ი. საინტერესოა?! მე კი ღვიძლმა ძმამ არ დამინდო, უჰ, მე მისი!.. ერთი ეს გამიმხილე, რატომ ვერ მოკლავ შენ კაცს?

გ ა ბ ო. ასეა, ბატონო. მე მოგიდავე გახლავართ და მეტო�sეს მაგრად რომ დავანარცხებ ძირს, მაშინაც კი ენანობ ხოლმე. კაცი რომ მოგკლა, რა მომასვენებს? თოფი ბავშვობიდანვე მძულს. მე-

ზომელს გაუვარდა და ღვიძი ძმა მომიკლა. იმ დღიდან თოფიან კაცს ნუ დამანახვებ და მომკალი. შენ, გეტყობა, მშიერი ხარ...

(ხტერჩინიან პუტს ამოიღებს).

იაკობი. პური არა, მხოლოდ არაყი... არყის ფული მომეცი!

გაბო. ჰა, ოლონდ მომეშვი!

იაკობი. ნახევარ ბოთლს ეყოფა, ეხეც კარგია!..

(თოფი მიაყუდა).

გაბო. ნუ მიტოვებ.

იაკობი. შენ თუ არ გინდა, ვინმეს მიჰყიდე. აბლა ზოკი თოფში ოქრის იძლევა.

გაბო. მომაშორე! შენი თოფი შენვე გადაადგე, სადაც გინდა, შარში არ გამბეგონ.

იაკობი. ეს შენი ბარტყია? (გაბო თავს დაუქნევს). მიეცი, ეგ მოუვლის, თუმცა, მე ვაჩუკებ...

კოტე. არ მინდა მე თოფი!

იაკობი. თავს რომ ვინმე დაგეხსნა, შენც შიშველი ხელებით გაუმკლავდები?

კოტე. ქვას ჩავარტყამ თავში და მოვიშორებ. ქვა ყველგან იშოვება. ა, აგურიც ქვაა. თუ გამიკირდა, დანაც მაქვს. თოფი კი რა ჭირად მინდა. მამა ამბობს, ვისაც თოფი უჭირავს, ეშმაკის მუშაოა.

იაკობი. ახე პატოსან ხალხს კარგა ხანია არსად შევხვედრივარ. (ჩამოკდა). თქვენთან ხვაშიადის გაღდობა მომინდა. ჩემს ძმას იცნობთ? არ იცნობთ. იცით, რამ გამაალოთა? უპატიოსნო ძმამა. გაეძვერულად გამბარაცა. მამაჩემის დანატოვარი მსუყე კონება მარტო თვითონ მიისაკუთრა. მე დამატოვა მხოლოდ ერთი უბადრუკი სარდაფი, რომელშიც სამი კასრი არაყი იდგა. ბოღმით დავლიე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და დღეს ესა ვარ, რაც ვარ. ჩემი ღვიძი ძმა გრიგორი კი ოქრო-ვერცხლში ცურავს და მაინც ვერ ძღება. არა, არ მეხარბება, შურს მოუკვდეს პატრონი! ახლა ალბათ კანკალებს და შიშით სული ეპარება. ვეუბ-ებოდი: გრიგორი ალექსანდროვიჩ, ამდენი სიმდიდრე რა ეშველება დედ გინდა, ყველაფერი ფეხებზე დაიკიდე. დრო გემრიელად აბარე თორემ ბოლოს ინანებ-მეთქი. არ დამიჯერა და, ა, აუხდა ჩემი სიტყვა! ეგების დახვრიტონ კიდეც — ამდენი ქონება რატომ გაქვსო. ახიც იქნებაა! არ მისმენთ? რაღაცა მოდის! მგონი, კარგი, კარგი, მგონი, ცუდი! ეჰ, რა ჩემი საქმეა! დე! რევოლუციის სიავკარგე ხხვებმა გაარკვიონ! გაუშარჯოს ამას! (ვითომ არაყი გადაკრა და მერე ყელზე წკიპარტი მირტყა). ყველაფერს გავიწყვიტ, სიკვდილს, სიცოცხლეს, ტკივილს... მეგობარო, შენ ცალდე ნართალი ხარ, თოფი ჩვენი საქმე არ არის, არც ზარბაზნების ბ:ი:ა:ბუთები. მე მხოლოდ ერთ ბათქ:-ბოლქსა ვცემ პატიოს, შამპა:ნ:ურ:ის ბოთლები საკობებს რომ ისვრიან. ბახ, ბახ, ბახ!... და ვკდები ხიუ ბიზნეს! რევოლუციის უჩვენოდაც მოუფლიან, ჩვენ წავ-დეთ ოა ხ:დმე დავლიოთ. არ მომყვებით? სისტლში ჩახრჩობას ღვ-ოში ნ:ა:რჩობა ჯობია... ხომ ჯობია, მეგობარო?

გაბო. ჩახრჩობა არსად არ არის კარგი, ბატონო.

იაკობი. ეჰ, რას ვიზამთ... მეც თქვენსავით კეთილი ვარ. კაცს მოკვლა არც მე შემიძლია და ბოღმას ღვინონი ვ:ლ ვ:ა:ბ არ მომყვებით? კეთილი, მარტო წავალ და თქვენს სადღეგრძელოსაც დავლევ.

(ბარბაცით წავიდა, თოფს მიათრევს).

იურკა. (გაბოს მიეკრება მაუზერშემართული). ხელები მაღლა! ხელები მაღლა-მეთქი!

გაბო. კი, ბატონო.

(ხელები აწევა).

კოტე. მამა, რა უნდა?!

გაბო. შენც ასწიე, ბიჭო, ხელები!

(კოტე შეშინებული აწევს ხელებს).

იურკა. ო, რა სიფათის ხალხი ხართ! მტერს ერთი შეხედეთ ვინ ვაწონ. თქვენ ამ უბანში რაღაც საეჭვოდ ტრიალებთ.

(ხტერჩინს ჩხრეკს). აქ არაფერია?! შენ, ულვაში, აქ რას აკეთებ?

გაბო. არაფერს, ბატონო.

იურკა. ბატონობა მოისპო. ბატონო კი არა, ამხანაგო-თქო. მე კომუნისტი ვარ. შენ აქ რას აკეთებ?

გაბო. აკი გითხარი, ჯერჯერობით არაფერს, ბატონო... ამხანაგო... კუმანისტო... ბოდიში, ამხანაგო ბატონო კუმანისტოო.

იურკა. შენ ვიღაცა ან ძალიან გაიძვერა ხარ და მე მასულდ., ან თვითონა ხარ სულელი და ბოთე. აქ რას დაბორიალობ-მეთქი?

გაბო. მე?

იურკა. აბა, ინგლისის მეფისწული? ვინა ხარ?

გაბო. ბატონ ვარ გავაშელი. ბარიელ... ბერილ... ეს ჩემი ვაჟია, კოტე, კონსტანტინ.. ქართველი ვარ.

იურკა. პეტროგრადში რა ქარმა გადმოგაგდო?

გაბო. ქარი რა შუაშია, ბატონო... ბოდიში, ამხანაგო ბატონო კომანისტო. კაკალი გაგიგონიათ?

იურკა. ვლადიკავკაზი? (გაბომ თავი დაუქნია). მე რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში ვარ ნამყოფი. მერე?

გაბო. წამოვიწარიდე თუ არა, კაკალზე დავიწყე საშოვარზე სიარული. იქ ვეიდობდი კიდეც. პირველი ფალავანი გავხდი. სამიოდე თვის წინათ ერთმა უცხოელმა მნახა და გადამეკიდა: ამერიკაში ჩემ ხარჯზე წაგიყვანთ, ხეირიან სამუშაოზე დაგაყენებ და ფულს ჭიდალმითაც გაშოვნინებო. პირობის ქაღალდი დამიწერა. მე, ეს ჩემი ვაჟი და ერთი მეზობელი, იონა, წამოგვიყვანა. აქედან საზღვარგარეთ არ გაგვიშვეს. გზაზე არეულობაა. უცხოელი გაგვეპარა, იონა მის საძებრად წავიდა და ისიც დაგვეკარგა. დავრჩით მე და ჩემი ვაჟი ღვთის ანაბარად. ეს პირობის ქაღალდი-ღა შეგვრჩა.

იურკა. შეაყოლე აქედან!

გაბო. ბოდიში, ამხანაგო ბატონო... ისევ ბოდიში!..

(შეეხმარ ერთად თვალს მიეფარა).

სერგეი. იურკა-ცეცხლო, როგორა ხარ?

იურკა. როგორც ცეცხლად მონათლულ ადამიანს ეკადრება — მუდამ ვანთიგარ და ვხანძრავ ძველ სამყაროს.

სერგეი. ჯერ ვერავინ დაიჭირე?

იურკა. ჯერ ვერა. ვინც არ უნდა იყოს, აქ გამოიკლის სხვა გზა არა აქვს. ვერ გამეკეცვა.

პეტკა. ამხანაგო რევოლუცია, სად დამეკარგე?

იურკა. გესმის? ზოგი ახლა რევოლუციასაც მეძახის.

(პეტკას).

მე რა დამკარგავს, შტერო? რატომ მეძახ?

პეტკა. ხომ ხარ შენ ნამდვილი რევოლუცია?

იურკა. მაგაში თუ ეჭვი გეპარება, ახლავე აქვე მიგაბერავ.

პეტკა. ხომ ამიყვანე შეგირდად? მეც ხომ ვარ ახლა პატარა რევოლუციონერი?

იურკა. ეგ ჯერაც საკითხავია.

პეტკა. აკი მითხარი, შეგირდად დამიდეკი და ნამდვილ რევოლუციონერს გაგგხდო? ორიოდე კვირის წინათ ხომ მაკურთხე შეგირდად? ახლა ბარემ რევოლუციონერადაც მომნათლე.

იურკა. მოალედ მითხარი, რას მეკერტინებენ? რევოლუციას გრძლად ლაპარაკი არ უყვარს.

პეტკა. შენ რამდენი კაცი ჰყავს მოკლული?

იურკა. მაგის სათვლელად მცალია სწორედ. ვინც თვალში არ მომივა, ყველას ფიშტ! იაფად და ნისიად ვასალებ!

პეტკა. ესე იგი, ყველა ნამდვილმა რევოლუციონერმა კაცი უნდა მოკლას?

იურკა. აბა, რა ჩემი ფეხების რევოლუციონერია.

პეტკა. ჰოდა, მე ვიზე ნაკლები ვარ? რაკიდა რევოლუციონერი გამხადე, მომაკლდევინე ვინმე. რევოლუცია ისე ხომ არ უნდა დამთავრდეს, არავინ მოკვლა? შენ ხომ ფხიზელი თვალი გაკვს, დამანახვე მტერი, თორემ არ ვიცი, ღმერთმანი!..

სერგეი. არ თქვა, შე ღმერთგამწყრალო, თქვენ დაგხოცავთო. (იურკას). ე, ბიჭო, მოაკლევინე ვინმე, თორემ ისეა შემართული, ან შენ აგიგებს ანდერძს, ან — მე!

იურკა. საკუთარი ჭკუა სულ არა გაკვს, რეგვენო? მტერზე ადვილი საპოვნელი რა არის? ვინც ერეკ რევოლუციას არ ემხრობა, ყველა ჩვენი მტერია. კაცს რომ შეხვდები, გამოელაპარაკე და თუ ოდნავ საეჭვო გეჩვენოს, მიაეკენე კედელთან და ფიშტ! მიაკედინ ტყვია შუბლში. ერთი თუ მოკალი, მერე იოლია — სისხლმა გაბედლება იცის. დღესვე შეგიძლია დაიწყო. ე, ეგერ, ორი ვიღაც რომ დაბორიალობს, მგონი, საზღვარგარეთ აპირებენ გაპარვას, დაკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხე და... ახლა ყველაფრის გასარკვევად ვისა სცალია... ვერც გა-არკვევ.. მიდი!

(პეტკა გამოსკენ წავიდა)

ს ერ გ ე ი. იურკა-ცეცხლო. წინათ თითქოს ახეთი არ იყავი. ცუდ აზრებს უნერგავ შეგარდებს.

ი ო რ კ ა. სერგეი, დაგავიწყდა, რევოლუციონერობა მე რომ დავაწყებინე? შეგარდი ოსტატს ჭკუას მასწავლი?

ს ერ გ ე ი. ჭკუას არ გასწავლი, მეგობრულად გაფრთხილებ.

ი ო რ კ ა. მე ნამდვილ რევოლუციონერებსა ვწვრთნი.

ს ერ გ ე ი. ასე არ შეიძლება.

ი ო რ კ ა. ნუ მასწავლი-მეთქი! შენ ბევრი იცი... მე მეფემ ცხრაჯერ მიკრა კატორღაში თავი და ცხრაჯერვე გამოვიქეცი. ახლა იმდენი ხალხია გასაუფავი, მარტო რას გავხდები. ჩემი ამხანაგი თუ ხარ, ეს კარგად უნდა იცოდე. იქნებ ადარა ხარ ჩემი ამ-ხანაგი?

ს ერ გ ე ი. ერთ დროს ვიყავით ამხანაგები, ციხის ამხანაგები. მაგრამ დრო იცვლება. შენ წაიგე თავს, თორემ მე რა მენაღვ-ლება.

ი ო რ კ ა. შეაყოლე, შეაყოლე! შენს უბანს მიხედე, განძი ცწო. რედ იქ არ გაგასარონ. ვისაც ჩემ რევოლუციურ პატიონსებაში ოდ-ნავ მაინც ეპარება ექვი, მე ყველას ვუგებ ანდერძს. ცუდი არა-ფერი მაფიქრებინო, თორემ... ძველი ამხანაგობა არ ვიცი მე. გა-იგე?

ს ერ გ ე ი. ეჰ, იურკა, იურკა!..

(მიდის).

პ ე ტ კ ა. შენ აქ რას აკეთებ?

გ ა ბ ო. (დაბნეულად) აქ რა უნდა გავაკეთო? ერთ უცხოელს და ერი ჩვენებურს ვეძებ...

პ ე ტ კ ა. აჰ, უცხოელსაც?! მართლაც საინტერესო?! ეს შენი ლეკვი?

გ ა ბ ო. უფროსი შვილია, ბატონო... ბოდიში, ამხანაგო ბატო-ნო. ამის გარდა ექვსი მყავს.

პ ე ტ კ ა. შვილების მეტი არაფერი გიკეთებია?

გ ა ბ ო თვითონ რამდენი შვილი გყავს, ბატონო... ბოდი-ში...

პ ე ტ კ ა. არც ერთი. მე რევოლუციონერი ვარ. ჯერ ცოლ-შვილის საპაკრონოდ სად მცალია.

ი ო რ კ ა. (პეტკას) შენ აქ ხალხს სიყვარულს უხსნი? მო-ლედ' რევოლუციას ყველაფრის მოსასშენად არა სცალია. (გაბოს) არ მიყვარს, კაცი გაურკვეველი ფერის თვალებით რომ შემომყურებს. შენ ვის უუჭერ მხარს?

გ ა ბ ო. მე ვის უნდა დავუჭირო მხარი? ჩემთვისა ვარ... აგერ, შვილს ვუჭერ მხარს. აკი გითხარით, ჩემი ვაჟია-მეთქი.

ი ო რ კ ა. ბოლშევიკი ხარ, თუ...

გ ა ბ ო. ბოლშენიკი არ ვიცი მე რა ხილია. აკი გიამბე, მოჭი-დავე ვარ-მეთქი.

ი ო რ კ ა. ბოლშევიკი უნდა იყო ახლა!

გ ა ბ ო. პატივცემული ბატონო ამხანაგო, ერთი კაცი ყვე-ლაფერს ხომ ვერ ისწავლის? შვიდიოდე ხელობა ვიცი! დურგ-ლობა, კალატოზობა, მეკურტნეობა, მეპურეობა, მზარეულობა... სხვაც. სტვირი არა მაქვს წამოღებული, თორემ სტვირის დაკვრაც მემარჯვება. ბოლშენიკი არსად შემხვედრია, არ ვიცი, რა ხელო-ბის კაცია?!

პ ე ტ კ ა. გვაყეყეურებს, მგონი, გვაყეყეურებს!

ი ო რ კ ა. კი, ვიღაც დიდი გაიძვერა ჩანს, გამოქეკილი... ამე-რიკაში მიპატიჟების ქაღალდი უძევს ჯიბეში. ეს თავისთავად ხა-ეჭვოა. წეღან ამაზე სერიოზულად არც დავფიქრებულვარ. ამ ხე-რხით მტრებსაც ადვილად შეუძლიათ გაძრობა.

გ ა ბ ო. რა მტერი, ბატონო ამხანაგო? რაკი ბოლშენიკობა არ ვიცი, იმიტომ მნათლავთ თქვენს მტრად?!

პ ე ტ კ ა. ბოლშევიკი ლენინის კაცია..

გ ა ბ ო. ლენინი ვინ არის?

ი ო რ კ ა. დავიჯერო, ესეც არ იცის?! (პეტკას). დოყლაპია, რა-ღას უცდი?

პ ე ტ კ ა. ამხანაგო იურკა-ცეცხლო, ამხანაგო რევოლუციო... ეს მგონია... ეს კაცი არ არის ის... ვაითუ..

ი ო რ კ ა. შენ რაც გგონია, შენთვის შენიახე. ან გი'ფერაა, ან რეგვენი. რევოლუციას არც ერთი არგია, არც — მეორე. ჩემი თ-ვი რევოლუციას რომ არ სჭირდებ-ეს, დღესვე მოვიკლავ თავს. წაიყვანე!

კ ო ტ ე. მამა, სად მივყავართ?!

გ ა ბ ო. ნუ გეშინია, შვილო, ქვეყანა ჩალით არ არის ღასურუ-ლი.

ი ვ ა ნ ე. (შემოვიდა პაუზის შემდეგ, ეტყობა, ჭლეკ-ი სჭირს, ახველებს ხოლმე. იურკას დაკვირდა). იური?! მართლა იური ხარ?

ი ო რ კ ა. მიროლიუბოვ?! ივან ვიქტოროვიჩ?!

(გადაეხვევნენ).

ი ვ ა ნ ე. საიქიოდან მობრუნდი? მკვდარი მეგონე.

ი ო რ კ ა. ჩემი მომკვლელი ტკივა ჯერ არ ჩამოუსხა-ფთ, არც ჩემი მომრეცი ავადმყოფობა გაჩენილა ქვეყნად.

ი ვ ა ნ ე. ძლივს გიცანი. ეს რამხელა წვერი მოგიშვია?

ი ო რ კ ა. ეშმპარიტი მარქსისტი მარქსს იერითაც უნდა ჰგა-ვდეს.

ი ვ ა ნ ე. გარეგნული იერი, ჩემო იურა, ბევრს არაფერს ნიშ-ნავს. მთავარია, მარქსისტი და კომუნისტი შინაგანად იყო, სულით და გულით.

ი ო რ კ ა. შინაგანადაც ვარ. ერთხელ თვითონ ლენინმაც ჩამო-მართვა ხელი... ეს ვითომ ცოტას ნიშნავს? აბა, მეფე ხომ არ ჩამო-მართმევდა ხელს! თანაც ამხანაგივით გამესაუბრა, როგორც მარქ-სისტი მარქსისტს...

ი ვ ა ნ ე. ლენინი თავაზიანი კაცია, თავმდაბალი. ვისაც ლენინი ხელს ართმევს, ყველა მისი ჭკუა-გონებისა როდია.... ან მისებური წერილიგის. ახლა სწორედ შტაბიდან მოვდივარ. იქ ამაზეც გვქონდა საუბარი. რევოლუციას შინაგანი სიწმინდე, სინათლე და წერილ-გი სჭირდება. გარეგნული ეფექტური ამბებით შორს ვერ წავალთ. ოჯახური საქმე როგორა გაქვს? (იურკა მზრებს აიწურავს). დაცოლ-შვილდი, თუ ისევ ომ შენს ფიცს მისდევ?

ი ო რ კ ა. ვიდრე დედამიწას ერთიანად არ გავაწოლეს, ქალს არ ვითხოვ. ოჯახის მოსაკლელად სად მცალია! საერთოდაც, რად მინდა ცოლი. მალე ყველას ყველაფერი საერთო გვექნება. ვისაც ხელს დავადებ, ჩემი ცოლი არ იქნება?

ი ვ ა ნ ე. ეგ არახდროს მოხდება, ჩემო იური. შენ, გეტყობა, ერ-თობ ზერელედ გესმის რევოლუცია.

ი ო რ კ ა. მე, კაბორიდან ცხრაჯერ გამოქცეულს, რევოლუცია ზერელედ მესმის? ჩვენ ყველაფერს გავათანაბრებთ და საერთოს გავხდით? მიწას, ქარხანას, ქალს... შენ არ გინდა, ასე რომ იყოს? (ივანე თავს გადაკრეკავს) შენ, მგონი, ცოლი გყავდა?

ი ვ ა ნ ე. ცოლიც მყავდა, შვილიც. ცოლი ჭლექით მომიკვდა, შვილი დამეკარგა. მარტო დავრჩი.

ი ო რ კ ა. ეგრე ჯობია — მთელ შენს ფიქრსა და ენერგიას რევ-ოლუციას მოახმარ.

ი ვ ა ნ ე. ნეტავი შვილი მაპოვნინა და ხელს არ შემიშლის.

(მახლობლად გავარდა თოფი, ატყდა ჰმაური. გაბო თოფით მის-დევს პეტკას. პეტკა წაიქცა, წამოხტა, ისევ გამოიქცა).

გ ა ბ ო. თოფი გინდა მაჯობო? (მუხლზე გადაიმტვრია) ა, შენ თოფი! თუ ვაჟაცი ხარ, ხელდახელ გავსწორდეთ! (ცეცა და ეძ�-ვე ძირს გაშოტა). რა გინდა, თავს რატომ მაკვლევინებ, ბიძია?

(ლოტე მამას ეფარება).

ი ვ ა ნ ე. რა მოხდა? რატომ ჩხუბობთ?

გ ა ბ ო. ეს ოხერი რე ეს ჩემს შვილს დახვრეტას გვეპირებდა. ერთი მესროლა კიდეც. ტყვია ნაბადმა აისხლიტა. მერე კი თოფი წავართვი.

ი ვ ა ნ ე. (პეტკას). რა დაშავეს?

პ ე ტ კ ა. (დაბნეულმა ძლივს იჰოვა სიტყვა). იურკა-ცეცხლმ მითხრა, სანდო არ არიანო და...

გ ა ბ ო. მკითხეს, ლენინი ვინაა. ვერ ვუთხარი. ამისთვის დამი-პირეს დახვრეტა. ღმერთმანი, სხვა არაფერი დამიშავებია.

პ ე ტ კ ა. გაურკვეველი ვილაცაა. ესე იგი, რევოლუციის მტე-რია.

ი ვ ა ნ ე. ვინც გაურკვეველია, ყველა თუ რევოლუციის მტრად მოენათლეთ და მივახვრიტეთ, რაღა გვიშავს, უმალვე წესრიგს დავამყარებთ მთელ ქვეყანაზე, სასაფლაოს წესრიგს. (გაბოს) ვინა ხარ?.. რომელი ელსადან ხარ გამოსული?

გ ა ბ ო. სკოლაში სულ არ მივლია ბატონო. წერა-კითხვა ჩემით ვისწავლე...

ი უ რ კ ა. აწკარად ეტყობა, ვინცაა. თვალს გვიხვევს. საზღვარგარეთი მიიპარება.

გ ა ბ ო. შენ რას გადამეკიდე, ბატონო ამბანაგო? ხან ჩემი თვალების ფერი არ მოგწონს, ხან... თვითონ ვინა ხარ?

ი უ რ კ ა. გაჩუმდი, ბევრს ნუ ლაქლაქე, თორემ!...

ი ვ ა ნ ე. წუნარად (გაბოს) მამაშენი გლეხი იყო, მუშა, თუ თავადი?

გ ა ბ ო. აა! მივხედი. წმინდა წყლის გლეხი გახლდათ, ბატონო! ბოდიში, ამბანაგო ბატონო...

ი ვ ა ნ ე. ეტყობა, კაკასიელი ხარ. პეტროგრადში რა გაჭირვებამ გადმოგაგდო?

გ ა ბ ო. ბედის ძიებამ, ამხანაგო ბატონო, ბედის ძიებამ...

ი ვ ა ნ ე. მართლა საზღვარგარეთ მიიპარები?

გ ა ბ ო. გასაპარავი რა მჭირს. მოჭიდავე ვარ. მე და ერთ ჩვენებურ კაცს ვიღაც უცხოელმა გვითხრა: ამერიკაში წაგიყვანთ და ჭიდაობით ფულს გაშოვნინებთო. პირობის ქაღალდიც მოგვცა გავბრიყვდით და წამოვედით. აკ არ მოგვცეს წასვლის ნება. ის უცხოელი ხელიდან გაგვიძვრა, ჩვენებურიც დამეკარგა და დავრჩი ამ ქაღალდის ამარა.

ი უ რ კ ა. ამ ყალბი საბუთით საზღვარგარეთი აპირებს გაკრობას, კონტრაა.

ი ვ ა ნ ე. კონტრა ახე არ იქცევა, ამხანაგო იური. (გაბოს) თავისუფალი ხარ. წადი! წადი-მეთქი!

გ ა ბ ო. აგაშენა ღმერთმა! (წავიდა და მობრუნდა). ერთობ დიდი ბოდიში ბატონო ამხანაგო... თუ შეიძლება, პატარა შეკითხვა!... ვინც ლენინი არ იცის, ყველას დახვრეტას რომ უპირებენ, ამისთანა რა კაცია? იქნებ თქვენ მაინც გამარკვიოთ, თორემ... ამის უცოდინარობისთვის კიდევ რომ ვინმემ დაგხვრიტოს დამიპიროს, ყოველთვის ასე მშვიდობიანად ხომ ვერ გადავურჩებით? ან ის იქნება, ან — მე. მე კი არც ჩემი სისხლის დაღვრა მწადია, არც — სხვისი.

ი ვ ა ნ ე. ლენინი მშრომელი ხალხის — მუშებისა და გლ'ების დიდი ქომაგია... რევოლუციის ბელადი, წინამძღოლი...

გ ა ბ ო. თუ ჰეშმარიტად მშრომელი კაცის ქომაგია, კარგი ადამიანი ყოფილა, ღმერთმანი, და ღმერთმა ააშენოს... უცოცხლოს ნათესავ-მოყვრებიც! დღემდე მშრომელი კაცის ნამდვილი ქომაგი არავინ მინახავს. ეს დიახაც კარგია, ოღონდ... ერთი რამ მაინც გასარკვევი დამრჩა: ვისაც ლენინის სახელი აქამდე არ გაუგია, რატომ უნდა დახვრიტონ?!

ი ვ ა ნ ე. ეს უკვე გაუგებრობაა.

გ ა ბ ო. გაუგებრობით რომ უდანაშაულო კაცს მოკლავ, მერე ეშველება რამე? მკვდარს თავისი სიმართლე და სინდისი გააცოცხლებს ვითომ?

ი ვ ა ნ ე. ამხანაგო იური, გაეცი პასუხი!

ი უ რ კ ა. მე რა პასუხი გავცე?

ი ვ ა ნ ე. (ეტკაზე ანიშნებს); ეს, ეტყობა, შენი განკარგულებით ხვრეტს ხალხს.

ი უ რ კ ა. ჩემი განკარგულებით არა... თვითონ.. გამოუცდელი რევოლუციონერია.

პ ე ტ კ ა. მე... მე... იურკა-ცეცხლის შეგიდი ვარ.

ი ვ ა ნ ე. თოფი ყველას არ უნდა ვანდოთ, განსაკუთრებით ასეთ ხალხს. წავიდეთ! ეს ამბავი შტაბში უფრო საფუძვლიანად გავარკვიოთ...

ი უ რ კ ა. ჩემს რევოლუციურ სინდისში ეჭვი გეპარება? (მაუზერზე ტაცებს ხელს).

ი ვ ა ნ ე. ფრთხილად! იარაღს ნუ ეთამაშები! იარაღი მისთვის არ დაგვირიგეს, წადმა-უკუღმა ვატრიალოთ. შტაბში წავიდეთ და იქ უარაღოდ გავარკვიოთ, რა არის რევოლუციური სინდისი. გამიძეხი!

ი უ რ კ ა. მე აქ რაზმით ვარ, მოტაცებული განძი არ გვაქვს.

ი ვ ა ნ ე. კეთილი, დარჩი ამჯერად, ოღონდ კარგად აწონ-დაწონე, რას სჩადიხარ ხოლმე. ნუ გავიწყდება, რომ რევოლუციას თავისი წესრიგი აქვს.

(მიდის).

ი უ რ კ ა. ისღა მაკლია, ჭლექანმა ხალხმა ჭკუა მასწავლოს. (ეტკას). რადაც არ უნდა დაგვიდეს, ის განძი ჩვენ უნდა ჩავიგდოთ ხელში და პირადად ჩავაბარო ამხანაგ ლენინს! მერე მასწავლონ ჭკუა ჭლექანებმა. ნე რევოლუცია ტუუილად ხომ არ შემარქვეს!..

ბ ნ ე ლ დ ე ბ ა

ნათდება, ვხედავთ რკინიგზის სადგურის ერთ-ერთ კუთხეს. ხალხი მატარებელს ელოდება. ცივა. ზოგი მობუზული ზის, ზოგიც ბოლთას სცემს. ისმის მატარებლის საყვირის ხმა. ხალხი წამოშალა. გაბომ ხურჯინი სასწრაფოდ აიკიდა, კოტეს ჩაავლო ხელი და გაიქცა. კართან ბედავა. რამდენიმე კაცი წაიქცა, ხალხი ზედ გადადის. ისმის კვნესა და ყვირილი: „ვაიმე! მიშველეთ!“ ყველა გავიდა, დარჩა მხოლოდ ცარიელ აკვანზე თავჩაქნდრული ძაძიანი ქალი. ეტყობა, მატარებელმა სადგურს ჩაუქროლა. ისმის სასოწარკვეთილი ბღავილი. ხალხი შემობრუნდა. იგრძნობა გულგატეხილობა და ნერვიულობა. თათარი ფეხმორთხმით ლოცულობს.

ფ რ ა კ ი ა ნ ი მ გ ზ ა ვ რ ი. რატომ არ აჩერებენ მატარებელს? ეს სადგურიც დროებითი მთავრობასავით გააუქმეს?

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა. ამბობენ, სანამ ბობოლეებისგან გატაცებულ განძს არ იპოვნიან, ასე იქნებაო. თურმე განძის გაპარება მხოლოდ აქ შეიძლება.

გ ა ბ ო.. (შემობრუნდა. ჩაიდანი და ტოლჩა უჭირავს. კოტე ფეხთარეკით მოჰყვება. გაბო ძაძიან ქალთან შეჩერდა). ეს უბედური კიდევ აქ არის?! (ტოლჩა გაიცო. ხურჯინიდან პური ნატეხი ამოიღო.) ქალბატონო ელენა, ქალბატონო ელენა!... (ელენამ თავი არ ასწია, გაბომ ხელი მორიდებით მოჰკიდა). გამოფიზზლდი! ნუ ფიქრობ, რომ ალარც ქმარი გყავს ცოცხალი... ახე შავად ნუ ფიქრობ, ყველაფერი უფრო გაგიჭირდება. ჯერ ახალგაზრდა ხარ, ნაადრევად ნუ დამარხავ შენს ქალობას... ვიებით ვის რას უშველი...

ე ლ ე ნ ა. რა გინდა? რაკომ არ დამანებებ თავს? მომშორდი!

გ ა ბ ო. ცუდი კი არაფერი იფიქრო, მე ისე...

ე ლ ე ნ ა. ალარაფინაა სანდო, ალარაკენ!

გ ა ბ ო. და-ძმობის მადლმა, ცოდვა ხარ!... ადამიანები ვართ...

ე ლ ე ნ ა. ადამიანები?! სადღაა ადამიანი?!

გ ა ბ ო. ჩაი მოსვი, ლუკმა მიიტანე! გამომართვი!

ე ლ ე ნ ა. პური? რად მინდა პური?

გ ა ბ ო. უსმელ-უუმელი მოკვდები, უბედურო!

ე ლ ე ნ ა. (თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო). ვისთვისღა ვიცოცხლო? ორივე შვილი ტყვიამ შემიჭამა, ქმარი დაკარგე... მომშორდი! არავის დანახვაც არ მინდა!

(გაბო მხრებს აიჩეჩავს და შეელისკენ წავა).

ს ვ ე ტ ა. მიშველეთ! მიშველეთ! (შემობრუნა კაბაშემოხეული. ცალი წუღაღა აცვია. მოსდევს გურკეველი ჩაცმულობის კაცი, კოტე და გაბო იმ კაცს გადაეღობებიან).

გ ა ბ ო. შეჩერდი, უგუნურო! რამ გაგამხეცა?

მ დ ე ვ ა რ ი. შენ ვინ ბეკითხება?

(გაბომ ხელი დააყო და გაგდო. სვეტლანა ჩაიკეცა და ატირდა).

კ ო ტ ე. კიდევ ტირი? რაღა გატირებს?

გ ა ბ ო. დამშვიდდი, გოგონა! აქ ხელს ვერავინ გაბლებს.

კ ო ტ ე. მოკვლას გპირებდა?

ს ვ ე ტ ა. პური ვთხოვე. მომცა, მერე ჩიბში ჩაყენებულ ვაგონში შეთრევა დამიპირა. მეორეც მიეხმარა, ძლივს დავუსხლტი. მხეცები! ვიცი, რაც უნდოდათ!..

კ ო ტ ე. რა გქვია?

ს ვ ე ტ ა. სვეტლანა... სვეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ო ტ ე. მე კოტე მქვია... კონსტანტინ.

გ ა ბ ო. გოგონა, სად ცხოვრობ?

ს ვ ე ტ ა. ახლა არსად.

გ ა ბ ო. დედ-მამა გყავს?

ს ვ ე ტ ა. ბუნდოვნად მახსოვს. ჯერ მამა წაიყვანეს სადღაც, მერე დედა. შვიდი წლისა ღვთისანაბარად ქუჩაში დავრჩი. ერთმა კეთილმა მარტოხელა დედაბერმა სარდაფში შემიხიზნა. გუშინ ბებია მოკვდა. მე იმ სარდაფში ჩასვლა მშვნია. აღარ ვიცი, სად წავიდე.

(ანკალებს).

კ ო ტ ე. (ხურჯინიდან მაღალყელიან წყდებს ამოიღებს). ჩაიცვი.

(სვეტა უარის ნიშნად ხელს გაიქნევს).

გ ა ბ ო. გამოართვი, უბედურო! აბა, ამ ყინვა-ყიათეში ფეხშიველა ხომ ვერ იცლი? (თითქმის ძალით ჩააცვა). ფაუვედ გაქვს? რამე ჩაიფინე. თუნდაც ეს... (რაღაც ფალასი იპოვა. სვეტამ ჩაიფინა. ისევ ანკალებს). გცივა?

ს ვ ე ტ ა. რაგომღაც ახლა უფრო მეშნინია... რომ წარმოვიდგენ...

გ ა ბ ო. შიში გაგიფლის... შენ გცივა კიდეც.

(კოტე ნაბადს მოახურავს).

ს ვ ე ტ ა. არა, არა! მერე თქვენ?... არ შეგცივდებ.ოთ?!

(ნაბადს უბრალნებს კოტე. კოტე ისევ მოახურავს. ერთმანეთს ახლა უფრო დაკვირვებით შეხედავენ... პაუზა). შენთვის არ ცივა?

კ ო ტ ე. მე რა მიშავს, კაცი ვარ.

ს ვ ე ტ ა. მაშინ ორივემ მოვიხუროთ.

კ ო ტ ე. არა, არა!.. (სვეტამ მაინც გაუზიარა ნაბადი) კაი, ასე ვიყოთ ჩიტებივით.

ს ვ ე ტ ა. მე შენ კოსტიას დაგიძახებ, შეიძლება?

(კოტე დაეთანხმა).

ი ა კ ო ბ ი. (ბარბაკოთ შემოვიდა, ბოთლი გამოწურუპა, სახელოს დაყნოსა, ცარიელი ბოთლი ერთ ჯიბეში ჩაიდო და მეორე ჯიბიდან სავსე ამოაძვრინა, დახედა და სასოებით ჩაიხუტა. გაბოს მიაშტერდა). შენ ის არა ხარ, ის რომ... მე კეთილ ხალხს ადვილად ვცნობ. იმიტომ რომ თვითონაც კეთილი ვარ. მოდი ახლა მე და შენ ყველა კარგი კაცის სადღეგრძელო დავლოთ!... ვისაც თოფი არ უუვარს... ვისაც თოფი უჭირავს, ყოველთვის დიდგულზეა და უთოფოს ჩაგრავს. დავლოთ.

გ ა ბ ო. ბოდში, ბატონო, არაუს ვერ დავლევ ახლა... ისე ვარ გულზე გასიებული...

ი ა კ ო ბ ი. კეთილი! მე შენისთანა კაცის ყველა სიტყვა მჯერა. არ დაგაძალებ... მარტო მე დავლევ შენს სადღეგრძელოს. გაგიმარჯოს ძალიან კეთილო კაცო! მეც გამიმარჯოს შენთან ერთად!

(სვამს).

დ ა შ ა. (გიტარის დაკვრით მიუახლოვდა). საერთო ცოლი, საერთო ქმარი, ღმერთმაც არ იცის, ვისი შვილი?! ეს მომწონს! ახალი დროების — ყველაფერი საერთო იქნებაო. თურმე მთელი ქვეყანა ერთი სანინს ქვეშ დაიძინებს. შე იხერო, მარტო რომ ულოწავ, მეც დამალევინე! ერთად დავლიოთ... ახალი დროების სადღეგრძელო.

ი ა კ ო ბ ი. შენთან არ დავლევ, ქალი ხარ. მძულს ყველა ქალი.

დ ა შ ა. რატომ?

ი ა კ ო ბ ი. მე მიყვარს ის, რომელიც უფრო თბილია... ორმოცგრადუსიანი. ქალი მხოლოდ ოცდაჩვიდმეტ გრადუსიანია. როცა ქალს ორმოცი გრადუსი აქვს, მტრისას! არაყი სულ სხვა. არც ჭლანძღავს, არც მოგვლა-პატრონობას გთხოვს, არც ჭლალატობს... წითლები, თეთრები, თეთრები, წითლები... მე არ მჭირდება არც ერთი. გაუმარჯოს თეთრ არაყს! თუ თეთრი არაყი არ იშოვება, გაუმარჯოს წითელ ღვინოს! ვაშაკაა! ბიის! ჰა, ჰა, ჰა! მომშორდი, მეძინება!

(ბეწვიანი პალტოს საყელო აიწია და კუთხეში მიწვა).

კ ლ ა რ ა. (შემოვიდა ვაქაკაცური ნაბიჯით. მაღალ-მაღალია, აცვია ხაკის სამხედრო ხალათი და ხაკისავე კაბა. წელზე ჰკიდია რევოლვერიც და ხმალიც. შემოჰყვა რამდენიმე ჯარისკაცი). ამსანაგებო, მუდამ გახსოვდეთ რევოლუციური სიფხიზლე! შემომწმეთ ყველა! ის განდი უპირველესად აქ არის საძებარი! თქვენ სხვა ოთახები შეამოწმეთ! (ჯარისკაცები გავიდნენ. სერგეი კარში ჩადგა. კლარამ ხმალი ქარქაშიდან ამოაძრო და თავმომწონედ გაიქნ-გამოიქნია, თითქოს ბრძოლაშიაო). აბა, გავსინჯოთ, აქ რა ბრბოს შეუფარა თავი! (გზას იკვლევს ხმლის ქნევით). ამით თავს მოვჭრი რევოლუციის ყველა მტერს! (მიადგა იაკობს). ადე! მთელი რევოლუცია ძალიან ადვილად გაიტარო! ადე! ადე-მეთქი!

ი ა კ ო ბ ი. ე რ რომ ძმინავს, კარგ სიზმრებს მაინც ვხედავ, შენ რომ ფხიზლობ, რას ხედავ კარგს? ჩემს ნებაზე ძილი მაინ"ც დამანებეთ!

(წამოეგრებით).

ჩემი ყველა სიზმარი სავსე არის ლხინითა!

ნეტარების ტაძარში ვარ, ნუ გამაგდებ ძალიან!

(თავი კვლავ პალტოში შემალა).

კ ლ ა რ ა. ადე, რომ გეუბნებიან!

(ფეხი უხეშად გაჰკრა).

ეთრიე!

ი ა კ ო ბ ი. ბოლოს და ბოლოს, რა გინდა, რას გადამეკიდე?

კ ლ ა რ ა. პასპორტი დაუჯე!

ი ა კ ო ბ ი. (ცალ ხელში ცარიელ ბოთლს დაიჭერს, მეორეში— სავსეს). ინებე! ესაა ჩემი პასპორტი! შენ ვინა ხარ? ხმლიანი ქალი? გაიგეთ, ყველა ჭირივით მეჯავრება!

კ ლ ა რ ა. პასპორტი-მეთქი!

ი ა კ ო ბ ი. (ეძებს). მჭინია. ჩახედე!

კ ლ ა რ ა. ექსპლოატატორთა კლასის შვილი ყოფილხარ. რას აკეთებ?

ი ა კ ო ბ ი. ვსვამ. როცა არ ვსვამ, მძინავს.

კ ლ ა რ ა. სად გძინავს?

ი ა კ ო ბ ი. სადაც მიღამდება და სადაც ძილი მომერევა... ხედავ, რა თბილი ქუჩაი მაცვია? ესლა შემომრჩა...

ს ერ გ ე ი. კლარა ტრიფონოვნა, ეგ ლოთი ცხრაჯერ გვეავს შემოწმებული, არაფერს აშავებს, განძთანაც არაფერი ესაქმება.

კ ლ ა რ ა. რევოლუციის ბოღმამ გაგალოთა?

ი ა კ ო ბ ი. ძმამ გამალოთა. მთელი ჩემი ქონება მიისაკუთრა. მერე ჩემი კნეინაც იმასთან გადაბარგდა. სიმდიდრეს გაეკიდა... ძმამ ისიც მიისაკუთრა...

კ ლ ა რ ა. მოშორდი აქაურობას, სადგურს ნუ ანაგვინებს!

ი ა კ ო ბ ი. შენთვის სულ ერთი არ არის, სად დავიძინებ?

(მიწვა).

კ ლ ა რ ა. (მიადგა ბაბოს). საბუთები! (გაბო ქალაღლს შარვლის შიდა ჯიბიდან ამოიღებს).

შენ აქ რა გინდა?

გ ა ბ ო. მე, ქალბატონო... ბოდიში, ამხანაგო ბატონო ქალბატონო... ეს ჩემი ვაჟი, ერთი მეზობელი და მე კაკაკვიდან წამოგვიყვანა ერთმა ამერიკელმა...

კ ლ ა რ ა. საზღვარგარეთ მიიპარები?

გ ა ბ ო. არსადაც არ მივიპარები. ისინი დამეკარგნენ და მე ამ სადგურში გავეჩხირე.

ს ერ გ ე ი. კლარა ტრიფონოვნა, ეგ ქართველიც შემოწმებული გვყავს რამდენჯერმე. ეგეც და სხვებიც. მე ვარ თავდები.

კ ლ ა რ ა. (ელენას მიადგა). ეს ვინლაა?

გ ა ბ ო. ნუ შეაწუხებთ ქალბატონო. მაგ ქალი ორმხრივ სროლაში მოჰყვა და ორი შვილი ერთად დავამარხვინეთ. ეს ცარიელი აკვანიც შერჩა. ჰოდა, მოგეხსენებათ... ორი შვილი რომ მოუკვდა...

კ ლ ა რ ა. მოუკვდა და მოუკვდა... ამ ქვეყანაზე ვინ დარჩენილა, ყველა დავიხოცებით... (ელენას).

ს აბუთები! (ელენამ გაუწოდა). მასწავლებლად მუშაობდი? ქმარი სად გყავს?

ე ლ ე ნ ა. წელიწადნახევარია ფრონტზე წაჰყვა ნებაყოფლობითაც...

კ ლ ა რ ა. ანდა ვის მხარეზე იბრძვის?

ე ლ ე ნ ა. ვერ გეტყვი.... პოლიტიკაში არ ერევიდა...

კ ლ ა რ ა. დაიკარგა?

ე ლ ე ნ ა. მკვლელობისა და დაჭრილების სიაში არ მინახავს, არც უჭმნ-უკვლოდ დაკარგულთა სიაში. ისიც არ ვიცი, ცოცხალი თუა სადმე...

კ ლ ა რ ა. საეჭვოა... ეს უფრო საეჭვოა.

ელენა. (აფეთქდა). რა გინდა, რა? შვილები დამიხოცე და მეც აღარ მასვენებ?

კლარა. მე დაგიხოცე შვილები?! რას ბოდავ?

ელენა. შენც! შენც!... ვერ გავიგე, იქ ვინ ვის ესროდა... მოგშორდით! ყველანი მეზიზღებით!

კლარა. კონტრა ხარ!...

დაშა. ჰეი, საფრთხობელავ, მოასვენე ადამიანები! ჭალს თავისი უბედურება ჰყოფნის. ადამიანობა და სინდის-ნამუსი მაგ ხმალში გასცვლე?

კლარა. ეს ვინ მელაპარაკება სინდის-ნამუსზე? შენ კიდევ აქ დაწესწყალება? ხომ ვგიჟრძალე?

დაშა. მაშინ წახდა ჭვეყანა, შენისთანები მბრძანებლებად რომ მოგვევლინენ!

კლარა. მოგახვრიტავ!

დაშა. თვალები ნუ მიბრიალებ! მე აღარავისი მეშინია — არც ღმერთის, არც შენისთანების. ახლა ყველა ერთმანეთს უფრთხის, ერთიმეორეს მგელივით უყურებს, მე არხეინად ვარ, მთელი ჭვეყნიერება ფეხებზე მკიდია!.. თქვენ, ყველანი, უბედურები ხართ, მე კი — ბედნიერი.

კლარა. შენ რომ კარგი ქალი ყოფილიყავი, ქმარს არ უღალატებდი.

დაშა. ვიდრე ქმარმა არ მიღალატა, მე არ მიღალატნია. მერედა, რისთვის მიღალატა? ფუუი იდეალებისთვის! რევოლუციურ ოცნებებში გამცვალა. ცხრა კვირის პატარძალი ღვთისანაბარად მიმატოვა... გამექცა...

კლარა. ტატუები! კი არ გაგექცა, მეფემ გადაასახლა.

დაშა. მეფემ არა, ნიახურმა, თვითონ გადაასახლა თავი. დატუელიყო საკუთარ ტკაცში და აღარავინ გადაასახლებდა. გგონიათ, ძალიან მომწონს და მსიამოვნებს, თითქმის ყოველ ღამე სხვადასხვა ხვადს რომ ვეალერსები? კახპას სისხლი არ დამეოლია, იძულებული გამხადეს. დედობა მეწადა, იმ ჩემმა ქმარმა კი არ მაღირსა ეს ბედნიერება. ერთხელ მაინც რომ გამომბერეოდა ეს ოხერი მუცელი, დედური საზრუნავი გამიჩნდებოდა და ჩემს ბედს ძალელი არ დაჰყეფდა. მერე სხვა მამრს სათოფეზე აღარ გავეკარებოდი. ახლა ვიღას დავუზოგო ჩემი ქალობა, ვის შევუნახო ჩემი პატიოსნება? რომ შემეძლოს, მთელ ჩემს განვლილ გზას შავ ხაზს გადავუსვამდი და წავშლიდი, ცხოვრებას ხელახლა დავიწყებდი... გვიან არის.

კლარა. გვიან არაფერი არ არის.

დაშა. მომეცით საკუთრად ერთი მამაკაცი და ნახავთ, თუ ყველაზე პატიოსანი არ ვიქნები. კაკლად ერთი მამრი მინდა, ვისაც ნამდვილად ვეყვარები. მეც ჭეშმარიტად შევიყვარებ. მოიძებნება ამჟამად ჩემთვის ასეთი მამრი? არ მოიძებნება. ჰოდა, მეც რა ვქნა? სულ უმამროდ ხომ არ დავრჩები? რისთვის ჩნდება ქალი, რისთვის?

კლარა. ყოველ შემთხვევაში, მარტო ინისთვის არა, ჭუჩაჭუჩა ეთრიოს ძუძუსასვიო!

დაშა. გიმეორებ: კაკლად ერთი მამრი მეწადა, კაკლად ერთი, იმ ერთმა კი ღვთისანაბარად მიმატოვა, გესმის? მე ვარ დამნაშავე?

კლარა. თუ მხოლოდ იმ ერთის ერთგული იყავი, გადასახლებაში რატომ არ გაჰყევი?

დაშა. დეკაბრისტის ცოლი არა ვარ, ბორკილდადებულ ქმარს ციმბირის ყინულოვან გზებზე კუდში ვსდევ. ჩემს მგზნებარე ქმარს ჩემზე მეტად რევოლუციაზე ოცნება უყვარდა.

კლარა. პატიოსანი, ჭეშმარიტი რევოლუციონერი, სხვანაირად ვერ მოიქცოდა.

დაშა. სხვისი რა მოგახსენო და, მე მისი პატიოსანი რევოლუციონერობა არაფერში გამომადგა, პირიქით, უპატიოსნობისკენ მიბიძგა, მოლიპული გზაზე დამაყენა. თქვენ, ყველანი, ალბათ ჰაერისა და წყლისაგან ხართ შედგენილნი, მე კი მიწისა და ცეცხლოსაგან ვარ შექმნილი, ცეცხლოვანი მიწა ვარ. სხვა მოვლა-პატრონობა მჭირდება. შენ გრიშკა რასპუტინს იცნობდი? (კლარამ თავი გადააქნია). ბევრი რამ დაგიკარგავს.

კლარა. სულაც არ ვნანობ, რომ არ ვიცნობდი.

დაშა. მე, მართალია, მისი ალერსი არ მეღირსა, სამოდეკერ კი ჩემი თვალით ვნახე, შენ რომ გიყურებ ახლა, ა, ასე. ჩვენი გრიშკა არ უნდა მოეკლათ. ვის რას უშავებდა? გრიშკა რასპუტინი რომ დაჩეხეს, რუსეთის ბედი ჩარხუკუღმა მერე დატრიალდა.

კლარა. საბრალო ხარ. იმის მაგივრად, რომ ქმარზე ფიქრობ....

დაშა. თუ მეტყვი, ამჟამად სად ჭანდაბაშია, ვიფიქრებ ეს-თი სადმე შემომხვდეს და... დავახვრეს ჩემი ბედნიერებისთვის!... ა, ამ ხელებით. ბოლოს და ბოლოს, რას მემართლებით? მეც რევოლუციის საქმეს არ ვაკეთებ? რევოლუციონერებმა ქალების ძებნის და აღტაცებული სისხლის დასაწყნარებლად დრო რომ კრ დაკარგონ, აგერა ვარ მე — მზაზარეული და იაფი. ერთი ღამით ყველას მივუვები. (სერგეი). აი, თუნდაც შენც გეცოლები ერთი ღამით. ძვირფასო ფისო, ასე ამბობენ, კომუნისტები მთელი ქვეყნისთვის ერთ დიდ საბანსა კერავენო, მდედრი და მამრი, ბებერი და ჭორფა ერთად დაწვებიანო. მართალია?

(სერგეი ხელს ჩაუქნევს).

კლარა. ლაყე და ჩერჩეტი ხარ.

დაშა. ეს ჩერჩეტობაა? მე ასეთი საბანი დიახაც მომწონს. იმასაც ამბობენ: მალე ქალებსა და კაცებს ერთი ანარო ექნებათო. ისიც ერთიო, სადაც მეფე თავის ფეხით დადგა. (თითით ჰაერში ორი ნული შემოხაზა, კლარამაც ხელი ჩაუქნია აქაოდა, შენთან ლაპარაკი არ ღირსო. შემოვიდა რამდენიმე ადამიანი. მათ შემოჰყვა ბრმა. დამონძილი ფარაჯა აცვია, ქოდი სამოწყალოდ გაუშვერია. ხის ფეხებსა და ჯოხს მოარახუნებს. მთელი ჭვეყანა მათხოვრად იქცა. მათხოვრები მათხოვრებს სთხოვენ მოწყალებას. ი, რა მოაჭეს რევოლუციას!

(დროებით მეორე ოთახს მიაშურა).

ბრმა. მოიღეთ მოწყალება! შეიბრალეთ ომისგან გაუბედურებული ადამიანი — ბრმა და ხეიბარი! მე ვეღარასდროს დავინახავ მზეს, ვეღარ დავინახავ ვარსკვლავებს, ვეღარ დავინახავ ადამიანის ღიმილს.

(მღერის ხმაჩახლეჩილი).

ტყვიის წვიმა მოდიოდა ციდან,
სისხლი რწყავდა ბალებსა და ყანებს,
მე ეუმბარამ დამიბნელა თვალი,
ერთი გაგდა ჩემთვის დღე და ღამე.

დედაბერი. ვაი, შე საწყალო! ვაი შენი დედის ბრალი!

(ქუდში ხელა ჩაუყარა).

ბრმა. გმადლობთ! ღმერთიც შეგეწევათ!

დედაბერი. ეჰ, სადღა ღმერთი, თორემ... მოკლეს ამ ურწმუნოებმა, მოკლეს!

კაფანდარა. ეჰ, ღმერთი რომ იყოს!..

(ხელს ჩაიქნევს).

ბრმა. მოიღეთ მოწყალება!

კლარა (სერგეის) შეამოწმე! მგონი, იგონებს. ბობოლები ათასნაირად თაღლითობენ, რომ გაგვიძარნენ.

(სერგეი ბრმას თვალებთან თითებს მიუტანს, მერე ომბოხზე თოფის კონდახს შემოჰკრავს).

ბრმა. (წაიქცევა). ბოდიში! (წელაძრევით წამოდგა). მოიღეთ მოწყალება! თუნდა სადმეა, ღმერთი გადაგიხდიოთ სამაგიერს! უფალმა ყველას აშოროს სიბრმავე!

(ცალკე გაიმეტა მავანმა ხურდა).

გმადლობთ!

კლარა. (სერგეის) გაიყვანე ორმოსთან და მიახვრიტე.

სერგეი. ნამდვილად ბრმა და ხეიბარია. კიდევ გეეჭვებათ?

კლარა. მათხოვრები რევოლუციას არ სჭირდება. ეგ უკვე ჯართია, ზედმეტი ბარგი.

სერგეი. ამხანაგო კლარა, ცოდვაა. ჩვენც იურკას ნუ დავემსგავსებთ.

კლარა. იურკა-ცეცხლი ბევრ რამეში მართალია. ჩვენ ომისათვის ვიბრძვით, არც ერთი მათხოვარი არ დარჩეს დედამიწის ზურგზე.

სერგეი. ყველა თუ დავხვრიტეთ, რა თქმა უნდა, აღარ დარჩება. ომი ჯერ არ დამთავრებულა, არც რევოლუცია. კლარა ტროფონოვნა, იქნება მალე ჩვენც ამ ხეიბარის დავემსგავსოთ და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ლ ა რ ა. კარგი, გაუშვი. ჯანდაბას მაგის თავი!

(ვგვიდა. სერგეი გაჰყვა).

ს ვ ე ტ ა. კოსტია, მე წავალ.

კ ო ტ ე. სად?

ს ვ ე ტ ა. სულ აკ ხომ არ ვიქნები?! გმადლობთ ყველაფრისთვის!

კ ო ტ ე. დარჩი.

ს ვ ე ტ ა. სადმე საიმედო თავშესაფარს მოვნახავ. სადგური საშიშია.

კ ო ტ ე. მამა, სვეტა მიდის.

გ ა ბ ო. თავისი ნებაა, შვილო. სადგურის იმედად მართლაც ძნელია. აქ ათასნაირი ხალხი ირევა. ჯობია სხვა თავშესაფარი მოვნახოთ.

(ოტემ და სვეტამ ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს. ეტყობა ორივეს ეძნელება განშორება).

კ ო ტ ე. შენ რომ აქ გხედავდი, ისე კარგი იყო... თავი შინ მეგონა.

ს ვ ე ტ ა. მე შენ არასოდეს დამავიწყდები.

კ ო ტ ე. არც მე. ფრთხილად იარე, ყველას ნუ ენდობი. ნახვამდის!

ს ვ ე ტ ა. ნახვამდის!

(უკან უყურებთ წავიდა).

გ რ ი გ ო რ ი. (ფანჯარაში შემოყოფს თავს). ჰეი, მთხოვარო, აქეთ! (ბრმა მისკენ წავიდა). ჰა, შენ! (ჩუმად). ოქროს მანეთიანია. შინ თუ წამომყვები, გემრიელადაც გაკეთებებ.

ბ რ მ ა. მე დასაკარგები აღარაფერი მაქვს.

(მიდის. ისმის დოლის ბრახუნი და ყრიალული: „იურკა მოდის! იურკა-ცეცცლი მობრძანდება! ალბათ აქაც თავისებურ მიტინგს გამართავს!“ შემოვიდა დაშა).

ი ო რ კ ა. (ფედიდურად შემოაბიჯა. პეტკამ ტრიბუნისმაგვარი რაღაც დაუფცგა. იურკა იმ ტრიბუნასთან ამაყად მივიდა). ამხანაგებო, ახალმა საზოგადოებრივმა ვითარებამ უამრავი სირთულე მოიტანა. თქვენ ალბათ ბევრი რამ წესიერად არც გესმით. მოდა, ვსარგებლობ შემთხვევით, გაგაკეთეოთ. რატომ ხართ ასე მოღუშულნი? იქნებ არ გიხარია, კომუნისტური იდეალების ჭეშმარიტი მატერიალიზაციის დრო რომ დადგა?

ფ რ ა ე ი ა ნ ი. რა დადგა, ბატონო? ,

ი ო რ კ ა. თუ წესიერად მომიმესენ, ყველაფერს გაიგებთ.

გ ა ბ ო. ვაი?! (ოტეს) ეს ის კაცია, ბიჭო, იქ რომ... ჰო, ის არის ნამდვილად, მოვშორდეთ აქაურობას, თვარა...

კ ო ტ ე. არა, მაგ, ჯერ ნუ წავალთ! მოვუსმინთ, რას იტყვის. ჩვენ მივიკუნჭოთ და კრინტს ნუ დავძრავთ.

(ხან იურკას უყურებს, ხან დაშას).

ი ო რ კ ა. ამხანაგებო, მოგეხსენებათ, რევოლუციის მნიშვნელობა ბევრმა სწორად ვერ გიგო. ჩემი ვალია, ხალხს თვალებიდან ბურუსი ჩამოვაცალო და მრავალ ბუნდოვან საკითხს ჭეშმარიტების ნათელი მოვფინო. (პეტკას). ამხანაგო ხლებაოო, იქნებ აქ ზოგს ჯერ არ გაუგონია, ვინცა ვარ მე! აუხსენი!

პ ე ტ კ ა. ამხანაგებო და აქ შემთხვევით შეკრებილო მოქალაქენო, თქვენ წინაშეა კატორღიდან ცამეტჯერ გმირულად გამოკცეული რევოლუციონერი იური. მისი გვარი ყველამ დაივიწყა, მავანი ცეცხლს ეძახის, მავანი — რევოლუციას, ზოგიც ორივეს ერთად — რევოლუციის ცეცხლს. ვისაც სწადია, რევოლუციის ჭეშმარიტი ბაზრ წარმოიდგინოს, ეს დიდი ადამიანი უნდა დახატოს, შეხედეთ, რა ნათელი გადასდის პირისახეზე. ეს მისი გულის გამონაშუქია, მისი ცეცხლის ელვარება. ჩვენ ამ ნათელით გადავხანძრავთ მთელ მსოფლიოს...

(იურკა ხელის აწევით შეაჩერებს).

ი ა კ ო ბ ი. ღვინის სარდაფებს ნუ დასწვავთ, დანარჩენი ფერ-ფლად აქციეთ, მე ნებას გაძლევთ.

ი ო რ კ ა. დიახ, მე მთელი ჩემი კეთილი ცეცხლი დიდებული რევოლუციისათვის მჭირდება. ეს ცეცხლი მანამდე იბრიალებს, სანამ მთელ მსოფლიოს არ გავაწითლებთ.

დ ა შ ა. გაუმარჯოს მსოფლიოს გაწითლებას, ვაშა!

ი ო რ კ ა. შენ, დაშა, გაჩუმდი მანდ! უხმოდ დამეთანხმე! (ერთი ტირის). ვიღაცა ხარ, რა ტირილი აგიტყდა? დახვრეტა მოგინდა? არ გიხარია, რასაც ვამბობ?

მ ტ ი რ ა ლ ა. მე... მე... სიხარულისგან ვტირი.., ახეთი კარგი რევოლუცია რომ მოხდა.

(ხაძალდეკად იცინის).

ი ო რ კ ა. ჰოდა, ასე. ჩვენს რევოლუციას ცრემლი არ უუვარს, დარდის, სევდის და ტანჯვის მეფე დამბობილია. ჩვენ ვაუქმებთ ვაების ყოველგვარ გამოხატულებას. ამირიდან ყველაფერი სხვანაირად იქნება. ქვეყნიერება გადადგრიალდა. ვინც ქვევით იყო, ზევით მოექცა, ვინც ზევით იჯდა — ქვევით.

დ ა შ ა. მაშასადამე, ამირიდან დიაცები ზევით და მამრები — ქვევით?

ი ო რ კ ა. დაშა, ნუ სარგებლობ ჩვენი ძველი ნაცნობობით და სიტყვას პირიდან ნუ მაცლი!

დ ა შ ა. ჩიტებმა თუ გიგიეს, დიდი რევოლუცია რომ მოხდა? ამირიდან ბეღურებს ალარ შუსცივდებთან? სოციალისტური რევოლუციით გაათბარი ზამთარი ცოტა მაინც არ შემოკლდება?

ი ო რ კ ა. ეს ლაშლაშა დიაცი გამიჩერეთ, თორემ!...

დ ა შ ა. ამირიდან მთლიანად თქვენს სამსახურში ვდგები. მეტი რა ვქნა? თუ გინდათ, თოფსაც დავიჭერ და ვინც არ მომწონს, ყველას ტყვიით დავცხრილავ.

ი ო რ კ ა. დაშა!... (დაძაძ პირზე ხელი მიიდო — ეჩუმდებოდ). ამირიდან ჩვენ ყველას გავათანასწორებთ...

ა ხ ვ ა ხ ი. ვინც მაღალია, თავს წაიკრით და დაბალს მიუმატებთ?

მ ა ხ ი ნ ჯ ი. ლამაზნიცა და მახინჯის საქმე როგორ იქნება?... როგორ გაათანასწორებთ-მეთქი? ლამაზის ცხვირს მახინჯს მიაბამენ და მახინჯის ყურებს — ლამაზს?

ი ო რ კ ა. (დაფიქრდა). სილამაზე-სიმახინჯის ძველებური გაგება აღარ იარსებებს. ყველა მშრომელი ლამაზი იქნება, არამშრომელი — მახინჯი. ჩვენ, მარქსისტები, ვამტკიცებთ, რომ შრომამ შექმნა ადამიანი... მაიმუნი აქცია ადამიანად. ჰოდა, შრომა ალამაზებს ადამიანს, უსაქმურობა — ამახინჯებს.

დ ე დ ა ბ ე რ ი. ღმერთო, გვფარავდეს!..

ი ო რ კ ა. ღმერთს მოეშვით! ჩვენ ბევრ რამეს გაკაუქმებთ. უპირველეს ყოვლისა კი — ღმერთს.

დ ე დ ა ბ ე რ ი. უღმერთოდ ვერ იცხოვრებთ.

ი ო რ კ ა. ჩვენი ღმერთი იქნება კომუნიზმი. გაუმარჯოს ჩვენს ახალ ღმერთს, ახალ რწმენას!

(მხოლოდ ერთმა წამოიძახა „ვაშა“).

ფ რ ა ე ი ა ნ ი. (ხელს პირზე დაიფარებს) რა გაუვარებს? ფრთხილად, ეგ ობამიანი ვაშა ხვალ ძვირად არ დაგიჯღეს — ვაების ზაზად არ გექცეს. ასობიენ, ბოლშევიკების გამარჯვება მოჩვენებითია, ხელისუფლების სათავეში დიდი-დიდი ოლიოდე თვეს იჩალიჩინ, პარიზის კომუნამ რომ გასძლო, იმდენ ხანსო.

ი ო რ კ ა. ჩვენ ხალხს მოვუტანეთ დიდი ხნის თავისუფლება.

ფ რ ა ე ი ა ნ ი. ამირიდან ყველა ადამიანი თავისუფლად ილაპარაკებს სიმართლეს, პირში ბურთი არ ჩასჩრიან ან არ დაიბერენ?

ი ო რ კ ა. რა თქმა უნდა. თავისუფლება, აბა, რისი თავისუფლებაა?!

დ ა შ ა. გაუმარჯოს ყველაფრის თავისუფლებას!

ფ რ ა ე ი ა ნ ი. თუ ვინმე შეგეკამათის ხოლმე, არ გეწყინოს.

დ ა შ ა. განსაკუთრებით გაუმარჯოს ხიტყვის თავისუფლებას!

ი ო რ კ ა. მოუკუსრეთ პირი! მოაშორეთ აქაურობას! პეტკას!..

დ ა შ ა. ანხანაგო, ნუ ბრაზდები, განაგრძე! ამ მოენტში უფრო მეტადაც გაუმარჯოს ხიტყვის თავისუფლებას!

ი ო რ კ ა. (დაშას მხოლოდ შეუბღვერს, არ აჰყვება). ჩვენ ვაუქმებთ კერძო საკუთრებას ყველაფერზე.

მ ა ხ ი ნ ჯ ი. ჩემი ცოლი შენიც იქნება და შენი ცოლი — ჩემიც?

ი ო რ კ ა. მე ცოლი არა მყავს.

მ ა ხ ი ნ ჯ ი. რომ გყავდეს?

ი ო რ კ ა. ყველა თუ უტარო კოჭნივით პირში შემომეჩხირა, ვერ ვილაპარაკებ. სიტყვა დამამთავრებინეთ, თორემ!... ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მოვსპობთ შინაურ მიკერძოებას, დედაშვილ-მამა-დაშვილ-ბიძაშვილობას. ამისთვის კი საჭიროა დაიბადოს კომუნის-

ტური ბავშვები. მათ არც დედა ეცოდინებათ, არც — მამა. ამდენად, არც დედაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილობა ეცოდინებათ, როგორც ეს იმ წყეული მეფის დროს იყო.

დ ა შ ა. წინასწარმეტყველივით ლაპარაკობს. პირდაპირ ცხო^ე-ბული გრიშკა რასპუტინი მაგონდება. ეეჰ, გაუმარჯოს გრიშკა რასპუტინის ახალ კოკორს!

ი ო რ კ ა. (დაშას კვლავ წაუყურებს). აკამდე თქვენ იყავით პირუტყვების ჯოგი, ამირიდან იქცევით ადამიანებად...

დ ა შ ა. გაუმარჯოს ადამიანებად ქცეულ პირუტყვებს! სიკვდილი პირუტყვებად ქცეულ ადამიანებს! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერიდით!

ი ო რ კ ა. დაშა, ბოლოს და ბოლოს, რა ამბავში ხარ? თავი მოგძულდა?

დ ა შ ა. მე ვიმეორებ იმას, რასაც თქვენ ყოველ ნაბიჯზე გაიძახით. ეს დანაშაულია? სიმართლე რომ გითხრათ, ყველაზე მეტად თქვენი ეს ლოზუნგი მომწონს. ადამიანებო, ჩაეხვეთ ერთმანეთს, შეერიდეთ სისხლხორცეულად!

(ხალხი აჩოჩქოვდა, ისმის გაურკვეველი ხმები).

ი ო რ კ ა. დაშა, ავად სარგებლობ ძველი ნაცნობობით! პირზე ბოძლომის დადება მოგიწევს!

დ ა შ ა. რად მინდა თავისუფლება და გონება, თუ ჩემს აზრს არ მთქმევინებენ? იცით, ადამიანი ნამდვილად ბედნიერი როდის იქნება? მდედრს მამრი არ უნდა აკლდეს, მამრს — მდედრი... მოთხოვნილების მიხედვით, არც მეტი, არც ნაკლები. მე ასე მწამს ის თქვენი კომუნიზმი თუ ვაშბუქა, ასე მწამს ადამიანების ბედნიერება...

ი ო რ კ ა. შეგიძლია!... (პეტკამ და ერთმა ჯარისკაცმა ანაზდად პირი შეუკრა დაშას და ძალით გიიყვანა. მერე პეტკა ისევ შემობრუნდა). ყველას ვუჩრეკ, პირი მაგრად მომუწოს და რევოლუციას პატივი სცეს მდუმარე თანხმობით, თორემ... ისე ვატყობ, სამედამოდ მოუწევს დადუმება!

მ ე ლ ო ტ ი. (თავზე გადაისვამს ხელს). ერთი პატარა შეკითხვა! ჭაჭალს რევოლუციის დამთავრების შემდეგ თმა ამოუვა?

ი ო რ კ ა. ბეს რამდენიც არ უნდა ელაპარაკო, ვერ გაგებინებენ. როგორია ბზნანი დღე. მალე ყველა მშრომელი იგრძნობს რევოლუციის სიკეთეს. მიწა მიეცემა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს.

მ ტ ი რ ა ლ ა. ჰკითხე, მიწის პირნახულს და ფაბრიკა-ქარხნების მოგებას ვინ დაეპატრონება-თქო? ვის ბეღელსა და ჯიბეში ჩაიყრებაო-თქო?

მ ე ლ ო ტ ი. მერე ვკითხავ.

მ ტ ი რ ა ლ ა. მერე გვიან რომ იყოს?

კ ო ფ ა ნ დ ა რ ა. აკამდე მშრომელ ადამიანს ყველა ჩაგრავდა და ატყუებდა. ამიერიდან ვითომ აღარავინ დაჩაგრავს და აღარც მოატყუებს!

ი ო რ კ ა. რატომ უნდა დაჩაგროს და მოატყუოს, მისივე არჩეული ხელისუფლება ეყოლება.

ა ხ მ ა ხ ი. ყველა პატიოსანი მშრომელი მამაძაღლზე უკეთ იცხოვრებს? გაიძვერების, მლიქნეველების, მოქთახრობების და გაქნილი ქორ-ვაჟრების აღარ იქნება კვეყანა?

ი ო რ კ ა. ცხოვრების ხორცმეტებს სამუდამოდ მოვსპობთ!

კ ო ფ ა ნ დ ა რ ა. დიდი თანამდებობის კაცი თავისი პატარა ოჯახით დარბაზში არ გამოიჭიმება და მუშა ადამიანი თავისი დიდი ჯალაბი ერთ ვიწრო სარდაფში არ იცხოვრებს?

ი ო რ კ ა. აკი მოგახსენეთ, უთანასწორობას მოვსპობთ-მეთქი... ერთობლივ თანასწორობას დავამყარებთ.

მ ტ ი რ ა ლ ა. ჩვენი არჩეული მთავრობის ხალხი თანამდებობას ბორობად არ გამოიყენებს საკუთარი ინტერესებისთვის?

ი ო რ კ ა. როგორ ეეკადრებათ!

კ ო ფ ა ნ დ ა რ ა. ქურდობა და წამგლეჯელობა აღარ იქნება?

ი ო რ კ ა. არა. სახალხო სასამართლო გვეყოლება, ჩვენივე არჩეული.

მ ე ლ ო ტ ი. მერე, ის მოსამართლეები ყველაფერს სიმართლით გაარიგებენ? ძველებურად ქრთამს აღარ აიღებენ და სამართალს არ გაამრეულებენ? პატიოსნად იცხოვრებენ? სუფთა ჯამაგრის დასკერდებიან?

ი ო რ კ ა. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

მ ე ლ ო ტ ი. აგაშენა ღმერთმა! თუ ყველას ერთნაირ სამართალს გაუჩენს, თუ მეკრთამეობას და ინის მაგვარ შავ-შავ ამბებს ბრძოლ-ვიანად მოსპობს, ასეთ რევოლუციას რა ჯობია. კი, ბატონო, ასეთს— სულით და გულით ვეფხრთნი ვარ ბანაა. ვაშა ასეთ რევოლუციას! ხალხო, არ მეთანხმებიხთ?

(ისმის ვაშა. შემდეგ ორი კაცი ჩურჩულებს).

მ ტ ი რ ა ლ ა. ადი ტრიბუნაზე, თქვი რამე!

თ ო ფ ი ნ ი ი ა. მე სიტყვის თქმა არ მეხერხება. არცაა საჭირო. თუ რამე მაქვს სათქმელი, ამას (თოფს შეატრიალებს). ვალაპარკებ. ვინც ჩემს ნებაზე არ ივლის, დედას ვუტირებ!

(ისმის იაოობის ხვრინვა).

ი ო რ კ ა. წყალი დასცხიათ და გამოაფხიზლეთო!

ა ხ მ ა ხ ი. ჰე, ადე! გაიღვიძე, ძილისგუდა!

ი ა კ ო ბ ი. საყოველთაო მშვიდობა რომ დამყარდება, მერე გამაღვიძეთ. მასხრობაა ეს ყველაფერიც, ამის პატრონის დედაც!.. (ხელი ჩაუქნევს. იაკობმა ორი ბოთლი ჩაიხუტა, თითქოს ეშინია, არავინ წამართვასო, და კვლავ მიწვა). ჰო, მართლა! არეულ საქმე როგორ იქნება? ვინაც რამდენი მოგვწყურდება, იმდენს დავლევთ?

ა ხ მ ა ხ ი. არაყს ვინ დაეძებს, ოღონდაც პური გვეღირსოს სა-ძღომად!

(ისმის წამოძახილი: „პური! ჩვენ პური გვინდა საძღომად!“).

ი ო რ კ ა. დაწყნარდით! დამშვიდდით! მეფის შავბნელ ხელში მშრომელ ხალხს შავი პურიც არ ჰქონდა საძღომად. ჩვენ თეთრ პურს ვაჭმევთ, ყველას. (წამოძახილი: ოღონდ შავი პური გვქონდეს საძღომად და!...) არა! შავი პური არა! მხოლოდ თეთრი უნდა ჭამეთ! არ შეჭამთ? ძალით გაჭმევთ (გაისმის უკმაყოფილების ბუზღუნი). ვერ გაგიგეთ? (ხიშტიანი თოფი ასწია) თეთრ პურს ამაზე წამოვიცვამთ... ხიშტიანი ჩაგატენით პირში! ეს განცხადება ტუფილი აჯავის ეგონოს. მე რევოლუციური სინდისის უერთგულესი რაინდი ვარ. იქნებ სხვა სინდისი ადვილად დაკკარგო, ჩემს რევოლუციურ სი^დისს კი არასდროს ვუღალატებ.

ფ რ ა კ ი ა ნ ი. ოდესმე თუ დაფიქრებულხარ, ვცდებიო?

ი ო რ კ ა. ჯერჯერობით ასეთი უთაური ეჭვი არასდროს გაჩენია. ხოლო თუ ოდესმე გავმტკუნდები, ტყვია საფეთქელში და მი-სი ჯანი! მე ჩემი რწმენის კაცი ვარ — პატიოსანი რევოლუციური რწმენის.

ფ რ ა კ ი ა ნ ი. დიდი გზის საგზლად ეგ რწმენა არ გამოგადგებათ.

ი ო რ კ ა. სამუდამოდ გამოგადგება. ამხანაგებო, მუშები და გლეხები ერთი რწმენის და სულისკვეთების ხალხი ვართ. ჩვენ გვაერთიანებს სიღარიბე. ასე წარმოიდგინეთ, გიმნაზიებში უსწავ-ლელობა და ზოგიერთ რაფში უფიცობაც კი.. დიახ, არ დაგიმა-ლავთ, რაც გაბატონებული კლასის შვილებმა იციან, ჩვენ ყველა-ფერი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ მტკიცედ და თავდაჯერებულად ვი-ცით ის, რომ ისინი უნდა მოვსპოთ, სამუდამოდ აღვგავთ დედამი-წის პირიდან რკინის ცოცხით!

ფ რ ა კ ი ა ნ ი. მაშასადამე, მცოდნე, გონიერ ხალხს მოსპობთ და უფიცებს გაბატონებენ? ნაკატორღლა კაცი მთავრობის კაცად რომ გამოგეკიმება, მისგან უფრო გონიერსულ რას უნდა მოელოდე! შენ, ბიძია, რევოლუცია რომ მოახდინე, სახელმწიფოს მართვის ტკუა გაკვეს?

ი ო რ კ ა. ეს ვინ იგდებს რევოლუციას მასხრად?

ფ რ ა კ ი ა ნ ი. მამალივით ყივილი რომ გისწავლია, გვო^ნი, შენ ყივილზე გაფენდება?

ი ო რ კ ა. პეტკა, დაადუმე საპრის ლოდივით!

ფ რ ა კ ი ა ნ ი. წყდან სიტყვის თავისუფლება ხელგაშლილად მომეცი და ასე მალე მართმევ?

ი ო რ კ ა. თავისუფლება იმას არ ნიშნავს, ყველაფერი იყრანტალო!

ფ რ ა კ ი ა ნ ი. ყრანტალი შენგან მესმის, ხეპრევ!

ი ო რ კ ა. გაჩუმდი! ცხრაკლატუოლი შეუკრით პირი!

ფ რ ა კ ი ა ნ ი. პირს იმისთვის მიკრავ, სიმართლეს რატომ ლა-პარაკობ?

ი ო რ კ ა. მაშასადამე, გწადია, ტყვია ჩაგასხან ხახაში და ისე გაგაჩუმონ? ნაღდი კონტრა ხარ! შეგიძლია!...

(ეტაკამ და ერთმა ჯარისკაცმა ფარაიანს ხელი დაადვეს და წაიყიდეოკენ. ისმის სროლა).

დ ა შ ა ნ ს ხ ბ ი. ჰა, ჰა, ჰა! გაუმარჯოს სიტყვის თავისუფლებას, ვაშაა! ჰა, ჰა, ჰა!

(ხალხი ჯერ შეძრწუნებული დადუმდა, მერე აჩურჩულდა).

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა. ამ ბურუსიან არეულ-დარეულობას, შვონი ისევ იმ წყეული ნიკოლოზის მეფობა ჯობდა, ღმერთმანი!

მ ე ლ ო ტ ი. ეს გაუგებრობაა. ასე ნამდვილად არ შეიძლება!

ი ო რ კ ა. ვინ არის მანდ, კიდევ რომ მეკამათება? (მელოტი გაიპარა). რევოლუციას სხვანაირი ლაპარაკი არ ემარ,ვება. არც სხვანაირად შეუძლია მოქცევა. თუ ლმობიერად მოეპარა ყველა მტერს, დამარცხდება. ჩვენ წესრიგს მხოლოდ ასე დავამყარებთ — თოფით. ხუთ კაცს დავხვრეტთ, ორმოცდაათი წესიერად მოიქცევა. დიახ, დიახ, ვინც რევოლუციას შეეკამათება, არავის დავინდობთ! დიახ, დიახ! მე, მაგალითად, თუ რევოლუცია მომთხოვს, დედასაც მოვკლავ, მამასაც მოვკლავ, მერე და-ძმასაც მივაყოლებ.

(ისევ ატყდა ჩურჩული).

ა ხ მ ა ხ ი. ეს ვიღაც ძალიან საშიშია.

კ ა ფ ა ნ დ ა რ ა. (აფეთქდა). შე უპატრონო, ყველა შენიანი თუ დახოცე. რევოლუცია ვიღასთვის გინდა?

ი ო რ კ ა. მანდ ვინ მეკამათება? მოკეტეთ ლაყაფი, თორემ თქვენც იმ ფრაკიანივით ტყვიას შეგაკმევთ!

ა ხ მ ა ხ ი. აქ ხალხი კითხულობს, დედ-მამა თუ ჰყავ,ო?

ი ო რ კ ა. ეს თქვენ არ გესაქმებით!

ა ხ მ ა ხ ი. ეტყობა, არა ჰყავს, არც ახსოვს, ოდესმე დედ-ნა,ა თუ ჰყავდა.

ი ო რ კ ა. დიახ, არა მყავს დედ-მამა, არც მახსოვს, ვინ იყა,ე. მერე, ამით რა იცვლება?

მ ტ ი რ ა ლ ა. ვაი თქვენს მოსწრებას! თავი ნი დედ-ნა,ა თუ არა ჰყავს, სხვისას დახოცავს, სულ ერთი არაა? ამიერიდან ხომ ყველაფერი საერთოდ ცხადდება!

ი ო რ კ ა. რევოლუციას თუ დასჭირდება, გავიხდი ჩემს ერთადერთ ყველ ჩექმას და ვაჩუქებ... (ჩექმა გაიძრო). ჰა, წაიღოს, ვისაც უფრო სჭირდება, ვისაც უნეკმოდ სიარული არ შეუძლია... მე ქალამნებს ჩავიცვამ. მერე ქალამნებსაც თუ მომთხოვს, ისასაც მოვცემ და თვითონ ფეხშიშველი ვიტრატუნებ ზამთარშიც კი... მე ყველაფრის ატანა შემიძლია.

(ხალხი ახმაურდა გაურკვევლად. ეტყობა, ზოგი აკმაყ იორკას, ზოგი ანაგვის, მავანიც დასცინის). **ბუმაგ!** (ჩექმას ტრიბუნაზე ურტყამს). თუ გნებავთ, ტანსაცმელსაც გავიხდი!

(წელზეკით შიშველდება).

ხ მ ა. ქმარ! ქმარ! გვკერა!

ი ო რ კ ა. ჰოდა, ასე. რევოლუციისათვის მე არაფერი მენანება, ჩემი სიცოცხლეც კი... (ტანსაცმელს იცვამს, ჩექმასაც. არც სხვის სიცოცხლეს დავინდობ, ვინც... ჩემს რევოლუციურ პროგრესებში თუ ვინმეს ოდნავ ეკვი ეპარება, აქვე დამხვრეტს, ხელს არ გავაძრევ.

(პეტკა დაბრუნდა. თოფს წმენდს).

დ ა შ ა. (თავს შემოყოფს). ამხანაგო იორკა, ძვირფასი განძის ამბავი გიანდერესებს, არა? ეს წუთია გავიგე მისი საიდუმლო!.. (იორკა დაშას სიხარულით მივპრა). ხელი გამიშვი! ადამიანის ყველაზე ძვირფასი განძი სიცოცხლეა, თქვე შტერებო! სიცოცხლეს მოუარეთ! ერთმანეთს მოუარეთ, ადამიანებო!

(გაწბილებულმა იორკამ ხელი ჩაიქნია და წავიდა. პეტკა გაჰყვა. ისმის ჩურჩული: „მაგ თავქარიანის იარაღი ვინ ანდო?“).

ი ვ ა ნ. (შემოვიდა სერგეისთან ერთად. ეტყობა, ისინი იორკას ორატორობას შორიდან ადევნებდნენ თვალ-ყურს). ამხანაგო სერგეი, იორკაზე ფხიზლად გეკერის თვალი, ერთმა საშიში კაცი გამხდარა.

(გავიდნენ).

გ ა ბ ო. რას ლაყბობდნენ? წესიერად ვერაფერი გავიგე?! ვინ არის მართალი? ვინ სტყუის? ვის დავუჯერო?

ი ა კ ო ბ ი. არავისაც არ დაუჯერო, ძმობილო! წამოუყენებ და მე გეტყვი სიმართლეს. ჭეშმარიტება ბოთლშია დამალული, ბატონო! წამო!

გ ა ბ ო. ახლა ვერაფერს დავლევ... ბოდიშს!...

ი ა კ ო ბ ი. აუდებელი ციხე-სიმაგრე ხარ. ყველა რომ შენისთანა იყოს... ეჰეი, წამომყევით ვინმე! ოღონდ დავლოთთ და თუ გერპიანებამ ამ ანდდლეული დღეების სადღეგრძელო დავლოთთ, დიდი ბურუსის სადღეგრძელო დავლოთთ! ვინც არ დალიოს!...

(მიღის სეედიანი სიმღერით).

კ ო ტ ე. რა ჭირად წამოვედით?! დედას რატომ არ დავუჯერეთ? ეჰ!

(ხურჯინზე მიდგმს თავს).

მამა, სვეტა თუ გამოჩნდეს, უმალვე გამაფრთხილე.

გ ა ბ ო. ძალიან გეძინება, შვილო? აგერ, კალთაზე დაწექ თავი, ბალიშად ხელისგულს დაგიდებ, ამაზე თბილი და რბილი არაფერია.

(დაიწვინა და ნაბადი მიაფარა).

კ ო ტ ე. მამა, დედა მომეწყალა.

გ ა ბ ო. მამაძალლო, დედაშენი შენზე ნაკლებად კი არ მოეწყალება, მარა რა ვქნა?

კ ო ტ ე. მიმღერე, მამა!

გ ა ბ ო. გიმღერო? მე მარტო სუფრაზე ვიცი სიმღერა.

კ ო ტ ე. ახლა მე მიმღერე... აი, ის, ერთხელ რომ მითბარი, დედაშენი აკვანზე დაგალიანებდაო.

(გაბო მღერის ძილისპირულს. კოტეს დაეძინა. ისმის მატარებლის საყვირის შებდაკვლება. ხალხი გაიქცა-გამოიქცა).

გ ა ბ ო. შვილო, მგონი, გაეღირსა!

(გაიქცნენ).

ბნელდება. ეტყობა, მატარებელი არც ახლა გააჩერეს. ისმის სასოწარკვეთილი გაძახილ-გამოძახილი. ნათდება. სადგურის იგივე კუთხე. ერთად ყრია აკვანი და კუბო. ელენა წინააღდეგობად ზის თავჩაქინდრული, გეგონებათ, სძინავსო. ფარაჯიანი კაცი მიუახლოვდა და ხელი მიხვია.

ე ლ ე ნ ა. (დამფრთხალი წამოხტა). ვინა ხარ?

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. რაშ შეგაშინა, ქალო? წამომყევი!

ე ლ ე ნ ა. სად?

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. ჩიხში ჩაყენებულ ვაგონში გეპატიები, იქ ყუდროობაა. ახლა მარტო ვარ, გემრიელად გაგაობობ.

ე ლ ე ნ ა. მოგშორდი!

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. წამი, წამო. თავს ზედმეტად ნუ იფასებ! სხვა რაღა შეგარჩენს? მაინც ცდამანც წაგათრიო?

ე ლ ე ნ ა. ეიშველეთ! ვინა ხართ ადამიანი, მიშველეთ!

გ ა ბ ო. რა მოხდა? (ფარაჯიანს). მოშორდი აქაურობას!

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. სხვის საქმეში რას ეჩრები? ვი,ი ტიკატომარა ხარ?

გ ა ბ ო. მოასვენე ადამიანი, თავისი ჰყოფნის!... გულზე უსაშველო ვარაში აწევს.

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. ჰოდა, ვარაში რომ აწევს, საშველად ,ოვაკითხე. ისეთი წამალი ვიცი, ყველა ვარაშს ერთბაშად გავუ,არწყლებ.

გ ა ბ ო. მგლოვიარეა-მეთქი ქალი!

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. მგლოვიარეს უფრო სჭირდება თავდავიწყება, ნამდვილ ცხოვრებას რომ შემოუბრუნდეს. განზე გადექი, თორემ!...

გ ა ბ ო. თოფით ნუ მაშინებ! გირჩევნია, აჭაურობას ,ბეიდობიანად გაშორდე. მოთმინებიდან არ გამომიყვანო, სიხსელი არ ა,ინმღვრიო, თორემ!...

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. თორემ რა ფეხებს მომჭამ?

გ ა ბ ო. ერთს ვიყვირებ და შენს კაიკაცობას ყველა გავაგებინებ. (ფარაჯიანს თოფი შემართა. კოტემ შეაკვირა — მამამ! გაბომ ადილად აჯობა და თოფი წაართვა. ფარაჯიანი შეშინებულ ეგზატა განზე, მოიკუნტა). ნუ გეშინია, მე კაცს არა ვსლავ! მგლოვიარე ქალზე იერიშის მიტანა სირცხვილია, ხომ ხარ შენ ადამიანი? სინდის-ნამუსი მთლად კი არ უნდა დაკარგო! წადი

ახლა მშვიდობიანად. მოიცა! მომშორე, ეს შენი ოხერი თოფი, მე რა ჭირად მინდა!

(ფარაჯიანს ეშინია გაბოსთან მიახლოვება).

თუ კაცი ხარ, წყენას გულში ნუ ჩაიდებ, ხომ იცი...

(გაბო დამფრთხალ ფარაჯიანს თოფს ხელში შეაჩეჩებს).

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. (გაკვირვებული ხან გაბოს უყურებს, ხან — თოფს). ჩემ დღეში ასეთი არავინ შემხვედრია?! შენ ვინ ყოფილხარ, ადამიანო?!

გ ა ბ ო. მე ერთი უბრალო მოჭიდავე ვარ, ადამიანო. ფალავანს ბეკებზე რომ დავცემ, ხელს ჩამოვართმევ და მშვიდობიანად გავშორდები. კაცის მოკვლა ჩემი ხელობა არ არის. მომკალით და ხელში თოფს ნუ დამაკერინებთ. ვისაც გწადიათ, დამეკვიდეთ, ტყვიას კი ნუ მასროლინებთ. კაცის კვლა მამაზეციერმა ადამიანებს პირველ ცოდვად დაგვიწესა. მომშორე, გეთაყვა!

(ფარაჯიანი გაოგნებული დგას).

დ ა შ ა. (ფარაჯიანს). ვაი შენს პატრონს! ახლად ბედგამწარებულ ადამიანს რომ არ ეტირნილო, დიაცი გაწყდა ქვეყანაზე? წამომეცვი!

ფ ა რ ა ჯ ი ა ნ ი. სად?

დ ა შ ა. ბისკვიტების საკმელად. არ გიყვარს ბისკვიტი? ნე მეშოვება შენისთანების წამალი ბლომად (ფარაჯიანი ახლა დაშას მიაშტერდა). რას მიიყურებ, ვერ მიცანი? (ფარაჯიანი დაიბნა, უსატყვოდ ანიშნებს — ვერ გიცანო). ხომ ხედავ, მდედრი ვარ? სხვა რაღა ჭირი გინდა? მთვარიდან ანგელოზის ჩამოფრენას ელოდები? წავიდეთ შენთან ან ჩემთან. ფუუუ, მშიშარა! წამო!

(ფარაჯიანი შიშნარევი ღიმილით გაჰყვება).

ე ლ ე ნ ა. გმადლობ! თქვენ რომ არა.. სიკვდილის აღარ ეშინია, მაგრამ მაინც... ასე არა.

გ ა ბ ო. მადლობა რა საჭიროა, ადამიანმა ადამიანობა არ უნდა დაკარგოს, არ უნდა გაპირუტყვდეს!

ე ლ ე ნ ა. (თითქმის თავისთვის). რისთვისღა ვიარო მიწაზე? ამიერიდან ჩემს ჩიტუნებს სიზმარშიღა თუ ვნახავ...

გ ა ბ ო. ეგეც ნუგეშია, ქალბატონო... სიზმარში ნახვაც ხუეშია.

ე ლ ე ნ ა. მერე, რომ გამოფხიზლდები, ის სიზმარი უარეს სატანჯველად მექცევა ხოლმე. ამისთვის ვიცოცხლო? სიკვდილი ყველაფერს დამავიწყებს...

გ ა ბ ო. ვიდრე ვცოცხლობთ, იმედი არ უნდა დავკარგოთ, ქალბატონო. ეგრე შავადაც ნუ იფიქრებ. ქმარს იპოვი... ისევ გაგიჩნდება შვილები...

ე ლ ე ნ ა. რომ მერე ისევ ტყვიან შემიჭამოს?

გ ა ბ ო. ყოველთვის ასეთი არეულობა და განუკოსობა არ იქნება. (ციბიდან ბუთის ნატეხი ამოიღო). მიირთვი, მიირთვი!... პატარა ლუმა მაინც... თუნდაც შვილების სოფლავის სასატრონოდ უნდა იცოცხლო, სხვა არავინ მოუვლის. ქვეყანა რომ დაწყნარდება, იქნებ ქმარი გამოგიჩნდეს და... მიირთვი, მიირთვი! (ელენას უცქერ მადა გიდეიძა, ხარბად შეექცევა). შვილო, წყალი მოგვიბერეთინე, ზეხს გიბარებას! (ოტემ ჩაიდანი აიღო). თოფიან ხალხს ერიდე, თუ ვინმემ რამე გითხრას, ხმა არ გასცე, მაში ვე ჩემკენ გამოიქეცი.

(ოტემ თავი დაუქნია და წავიდა).

კ ლ ა ო ა. (შემოვიდა. დარაბაში მითთვალიერ-მოთვალიერა. მიადგა გაბოს და ელენას). ოჰო! ერთმანეთს მიუჩოჩდით? რაღაც საეჭვოა?!

გ ა ბ ო. როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ქვეყანაზე ადამიანობა კი არ დაკარგულა! დაამძიმის მადლს გეფიცებით!...

ე ლ ე ნ ა. ქალბატონო?!

კ ლ ა ო ა. ასეა თუ ოუ, ჭკვიანად იყავით!

(თითო დაუქნია და გაშორდა. პაუზა. ისმის სროლის ხმა და ჩოჩქოლი).

გ ა ბ ო. ვაინე, შვილო!..

(ისე გიაქვა, ხელრანიე კი დარჩა).

კ ა ფ ა ნ ა ნ ა. რა ამბავია, ვის ესროლეს?

ა ხ ვ ა ხ ი. იურკამ კიდევ მიახვრიტა სამოიდე კაცი ტუეულ-უბრალოდ. არც მისმა შეგირდმა დააკლო ხელი. რა უპატრონობაა! როდის იპოვნინ ამ ოხერ განმს! თორემ გაბოლმბულები ყველას აგვიგებენ ანდერძს!

(გაბო დამშვიდებული შემობრუნდა კოტესთან ერთად). ტემ წყალი ტოლჩაში ჩაასხა, გაბრიელმა ელენას მიაწოდა, ... ხარბად სვამს, გამოცოცხლდა).

კ ლ ა ო ა. (ახლად შემოსულ იურკას და პეტკას გაინაპირებს). ამხანაგებო, მგონი, მივაგენი გატაცებული გაბონის კვალს. სადგურზე უცბო კაცი გამოჩნდა. რა თქმა უნდა, საბუთები მაშინვე ვიჩრდილდ გავფსინჯე, თითქოს საეჭვო არაფერი იყო. მაგრამ... მერე იმ კაცმა ბრმა მათხოვარი წაიყვანა სადღაც საეჭვოდ. რა თქმა უ და, დავუდარაჯდი. ჯერ მათხოვარი გამოჩნდა იმ კაცის პალტოთი, ხელე ის კაცი — მათხოვრის ფარაჯით. რისთვის დასჭირდათ ეა? ჩემი ვარაუდით, იმ კაცს ყალბი საბუთები აქვს. ახლაც სადგურთან დაძრწის, ზვერავს აქაურობას. რა თქმა უნდა, ავი რაღე აქვს განზრახული. იმ ბრმა მათხოვარმაც მე ადრეეე დამიეჭვა, საგრამ შენმა ნაშეგირდალმა სერგეიმ არ დამიჯერა და არ გაასაღა. როგორ მოვიქცეთ, ამხანაგო რევოლუციონ?

ი ურ კ ა. შენი ვარაუდი, ამხანაგო კლარა, სწორედ ნიშანია. ახლა საკირია ისე დავიჭიროთ თავი, თითქოს არავითარი ეჭვი არა გვაქვს არც იმ ყალბსაბუთიან კაცზე, არც ბრმა მათხოვარზე. ორივე თავის ნებაზე მივუშვათ, თან თვალყური ვადევნოთ ფხიზლად. განძი უეჭველად ჩვენ უნდა ჩავიგდოთ ხელში. სერგეის და ივანეს ნუ გაანდობთ ამ ამბავს. მომეცეთო!

(ადგიან).

გ რ ი გ ო რ ი. (შემოიპარა. ახლა მათხოვრის ფარაჯითაა. გაბოს მიადგა). აქ რას აკეთებ, ულაეშა?

გ ა ბ ო. სადგურში რას გავაკეთებ? მატარებელს ველოდები. ოღონდ აქედან გავადწიო და...

გ რ ი გ ო რ ი. ფულს გაგაკეთებინებენ, გინდა?

გ ა ბ ო. ფულს? მგონი, ფულობა სულ დაიკარგა და რა ჭირად მინდა?

გ რ ი გ ო რ ი. ეს ქაღალდის ფულმა დაკარგა ფულობა. ოქრო არ ცვდება, არც ფასი აკლდება. ჰა, ნუთარ მაყოვნებ, გინდა?

გ ა ბ ო. ოქროს ფული ვის არ უნდა, ოღონდ საკმეს გააჩნია. მამაძაღლითა ჩემს სიცოცხლეში არ ჩამიდენია და ვერც ახლა ვიკადრებ. თუ პატიოსანი სამუშაოა, ვნახოთ...

გ რ ი გ ო რ ი. უბედურება შემემთხვა, უცაბ ძმა გარდამეცალა. ანდერძი ვიპოვე — მშობლიურ სოფელში დამასაფლავეთო. მინდა გადავიტანო.

გ ა ბ ო. აჰ, ვერა, ბატონო!

გ რ ი გ ო რ ი. მკვდრის გეშინია?

გ ა ბ ო. (თავს გადააქნევს). ახლა ისეთი არეულობაა...

გ რ ი გ ო რ ი. გაკვირვებულ ადამიანს ნუ მეტეკი უარს დახეარებაზე. შენ მხოლოდ ჩემი სახლიდან სადგურის გადადა გადატანანენე. სოფელში ნუ წამომყვები. აქ ახლო ვცხოვრობ. ა, რამდენიმე ოქროს ბედ მოგცემ.

გ ა ბ ო. (დახედავს). ეს მატარებლის ბილეთს მაყიდვი ებ..?

გ რ ი გ ო ლ ი. სად მიდიხარ?

გ ა ბ ო. კაკეასიაში. შვილიც მახლავს.

გ რ ი გ ო რ ი. დაგიმატებ და გეყოფა.

გ ა ბ ო. წავყვეთ, შვილო.

გ რ ი გ ო რ ი. აჰ, შვილს ნუ წამოიყვან. ისევ აქ არ უ და მოხვიდე?.. აქ უფრო მუუდროეობაა...

გ ა ბ ო. ჰო, დროებით ისევ აქ ჯობია დატოვება.

გ რ ი გ ო რ ი. ოღონდ, ეგერ რომ კუბო გდია უქმად, წ ნოიღე. ბარემ ჩავასვენებ. მკვდარს ყველამ ხომ არ უნდა უყუროს. ნუ გეწყრება, საქმეს რომ მოვთავეებდ, კიდევ გაჩუქებ ოქროებს.

გ ა ბ ო. კუბოს მოკიდება ზურგზე ვის ეხალისება, ბატ ონ, მაგრამ... რას ვიზამთ, შენც გიჭირს, მეც მიჭირს. გაკირვებული ხალხი თუ ერთმანეთს არ დაეხმარა, დალხინებულს გაკირვებული როდის ახსოვს! შვილო, ფეხი არ მოიცვალო ჯერჯერობით ხალხს ერიდე. მალე მოვალ. არ წავყვებოდი, მაგრამ მატარებლის ფული ხომ უნდა ვიშოვნთ რაღაცნირად? ამ უბედურ ქალწე თვალყური გეჭიროს, (ჩუმად) თავი არ მოიკლას. აბა, შენ იცი, ეოჩალდ! ხომ არ შეგეშინდება უჩემოდ? (კოტე ხელით ანიშნებს

— არაო. გბმო მოუალერსებს). ჰო, ეგრე, ჩემო გულ დო ბიჭო! (კუბოს აიკიდებს და გრიგორს გაჰყვება).

კ ლ ა რ ა. (შემოუძღვა იურკას და ჩუმად ეუბნება). ჩემი ეჭვი მართლდება. ყალბსაბუთიანმა იმ კაცმა ახლა ულვაშა ქართველი წაიყვანა სადღაც. სადღაც აქ იმალება გატაცებული განმ.ის ამბავი. აი, რას ნიშნავს რევოლუციური სიფხიზლე! კლარა ტრიფონოვნას ვერავინ გაიცურებს, ვერა!

(ხმალს იშიშვლებს და მხედრულად იქნევს).

ᲔᲗᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

სადგურის იგივე ადგილი. აქ ახლა ცოტა ხალხია. კოტე თვლემს. შემოდის სვეტა და ბიჭს ფრთხილად ჩაიდებს ხელს. ძილ-ბურანში მყოფი კოტე თვალს ახელს და ხუჭავს, ეტყობა, სვეტა მოლანდება ჰგონია.

სვ ე ტ ა. კოსტია, მე დავბრუნდი. გაიღვიძე, გაიღვიძ!ე! კოსტია!...

კ ო ტ ე. სვეტა?! სიზმარში მგონია თავი?!

სვ ე ტ ა. უოქვენოდ ყველგან მეშინია... სანდოს ვერავის ვჭედავ. თქვენ სად მიდიხართ?

კ ო ტ ე. შორს. კაკუასია გაგიგონია?

სვ ე ტ ა. კი. იქ ბევრი მზეაო, ამბობენ. სანამ წახვალთ, თქვენთან ვიქნები, შეიძლება?

კ ო ტ ე. თუ გწადია, სულაც წამოგვყევი ჩვენს ქვეყანაში?

სვ ე ტ ა. (ბეგერდით მიეკედა). მართლა ძალიან კარგია?

კ ო ტ ე. სანამ აქ არ მოვხედი, არ ვიცოდი, ძალიან კარგი რომ იყო. ახლა ცხადად და ძილში მენატრება.

სვ ე ტ ა. მაინც რა გენატრება?

კ ო ტ ე. ყველფერი. განსაკუთრებით დედა და... კიდევ ჩვენებური მამლის ყივილი.

სვ ე ტ ა. რა?

კ ო ტ ე. ჩვენებური მამლის ყივილი... კარგა ხანია არ გამიგონია. როცა მამლის ყივილს გავიხსენებ, მერე ჩემი სოფელიც მაგონდება. იქ სიმშვიდე იყო, თოფს არავინ ისროდა... არავის კლავდნენ.

სვ ე ტ ა. იქნებ ახლა ისვრიან და კლავენ?

კ ო ტ ე. მაინც მენატრება იქაურობა. ჩემი სოფლის მა?ლებას ყივილი მენატრება.

სვ ე ტ ა. უცნაური ბიჭი ხარ, სულელი!

(ქოჩორს ალერსით აუბერდავს).

კ ო ტ ე. (გაბუტვით). რაღომ ვარ სულელი?

სვ ე ტ ა. არა, სულელი კი არა... (ისევ ქოჩორზე ეალერსება) შენ ძალიან, ძალიან ცუდი ბიჭი ხარ, კოსტია.

კ ო ტ ე. ცუდი? ცუდი სულელს რითი ჯობია?

სვ ე ტ ა. ნამდვილი ცუდი კი არა, კარგი ცუდი... კარგი ცუდი რომ ხარ, იმიტომ მომინდა ისევ შენთან ყოფნა, იმიტომ ?ოგიბრუნდი... დღეს თქვენ გადამარჩინეთ. შენ რომ გაგშორდი, წამდაუწუმ მეჩვენებოდა, თითქოს მომდევდი და მეხვეწებოდი, დაბრუნდიო. ეს ალბათ იმიტომ, რომ შენზე ვფიქრობდი. ჰოდა, დაგიბრუნდი. შენზე რომ ვფიქრობდი, რაღაც მიხაროდა. ჰოდა, დაგიბრუნდი, რას მივაწეროთ ეს?... ესე იგი, რას ნიშნავს ეს? მე ვერ ამიხსნია და იქნებ შენ იცი?

კ ო ტ ე. მე რა უნდა ვიცოდე?!

სვ ე ტ ა. ეს ის ხომ არ არის...

კ ო ტ ე. რა ის?!

სვ ე ტ ა. როგორ გითხრა... აი, ის... წიგნებში მაინც არ წაგიკითხავს?... ჭალ-ვიი უერთმანეოოდ რომ ველარ ძლებს... ?ოკალედ: სიყვარული რომ ჰქვია...

კ ო ტ ე. მერედა, შეიძლება ასე ჩქარა?!

სვ ე ტ ა. წიგნებში თუ შეიძლება? აბა, რად დამაბრუნა შენთან? ესე იგი, უშნოდ ყოფნა ალარ შემიძლია... შენ?

კ ო ტ ე. მე ძალიან მესიამოვნა, რომ დამიბრუნდი... როცა წაა?ვედი, ძალიან მეწყინა.

სვ ე ტ ა. ჰოდა, ეტყობა, ეს არის ის...

კ ო ტ ე. შენც კარგი სულელი ხარ ჩემსავით...

(თმას აუბერდავს. ორი ჯარისკაცი შემოიჭრება. ბედტერი ფარაჯა მოაქვს).

პ ი რ ვ ე ლ ი. ინ ბიჭზე გვითხრა, ე! ა! (ფარაჯას გადასცემს მეორე ჯარისკაცს). ჩაიცვი და წამოიყვანე.

მ ე ო რ ე. იურკა მეთაურის ბრძანებაა. საგანგებო რაზ.ს ვადგენთ. ყველა ახალგაზრდა, ვისაც ხელში თოფის დაჭერა შეუ.ლია, უნდა გავაჯარისკაცოთ. შენზე კი კერძო მითითება მოგვცა — დაუყოვნებლივ წამოიყვანეთო.

კ ო ტ ე. მე თოფის სროლა არ ვიცი.

პ ი რ ვ ე ლ ი. წუთში გასწავლიან. თოფის სროლას დ:დი ფილოსოფია და ტვინის ქულტა არ სჭირდება — ერთი, ორი, სამი! გამოჭკარი თითი სახსლტეს, დაიცემინე ჩაბმახს და ტუკია თავისით გავარდება, საითკენაც გწადია. ჩაიცვი!

კ ო ტ ე. ვერა! ამ მამას ველოდები, რომ არ დავბედვდ, გ:დირევა.

მ ე ო რ ე. ჩაიცვი-მეთქი!

კ ო ტ ე. ვიიმე! ეს ის ფარაჯაა, მოკლულ ჯარისკაცს რომ გა.ა.დეს ღილით! ნამდვილად ის არის, სისხლითაა მოთხვრილი. ვერა, ამ ფარაჯას ვერ ჩავიცვამ... სისხლიანა ფარაჯას ვერ ჩავიცვამ...

პ ი რ ვ ე ლ ი. ჯანდაბას შენი თავი, წამო, სხვას გიშოვით.

კ ო ტ ე. ვერ წამოვალ... აკი გითხარით, მამას ველოდები-მეთქი. მამა რომ დაბრუნდება, მერე...

პ ი რ ვ ე ლ ი. დახვრეტა მოგინდა?

კ ო ტ ე. მამაჩემის მოსვლამდე მადროვეთ! გეხვეწებით, გემუდარებით!.. მამაჩემის მოსვლამდე!...

ე ლ ე ნ ა. ქრისტიანები არა ხართ? ნამდვილად ?ამას ელოდება.

პ ი რ ვ ე ლ ი. მამა მოძღვნის. საგანგებო რაზმი იკოთ.ოს. (კოტეს). მაშასადამე, არ მოგვყვები? (მეორე ჯარისკაცს). ?იაკენე კედელთან და მიახვრიტე ხალხის თვალწინ! დაე, დაინახოს ყველა ურჩმა!..

ე ლ ე ნ ა. (გადაეღობა). რას სჩადიხართ, უგუნურებო?

სვ ე ტ ა. ვიიმე, კოსტია?!

(ისიც აეფარა).

პ ი რ ვ ე ლ ი. იურკა-ცეცხლის ბრძანებას ვერ გადავუსვევთ. თუ არ შეგასრულეთ, ჩვენ დაგვხვრეტენ.

კ ო ტ ე. წამოგყვებით, წამოგყვებით!... ბიცოლა ელენა, თქვენ ხომ დარჩებით აქ... მამაჩემს უთხარით, ასე იყო.-თქო. მომ?ებინის.

სვ ე ტ ა. ნუ წახვალ.. მარტო ნუ დამტოვებ.. უშენოდ რა მეშველება?

(მკლავზე მოეკიდა)

კ ო ტ ე. ხომ ხედავ, ყოველად შეუძლებელია!

სვ ე ტ ა. ამ ხალხს ნუ წაჰყვები, მოგლავენ. არ გაგიშვებ!

კ ო ტ ე. დამხვრეტენ, თუ არ წავყვები, აქვე დამხვრეტენ ნამდვილად. ვინც ამათ არ დაემორჩილა, დღეს ყველა დახვრეტს... ვიცი მე.

სვ ე ტ ა. მაშინ, მეც წამოგყვები... აქ მარტო მეშინია... შე?ზე ახლობელი არავინ მყავს, ვეღარ მოგშორდები!

პ ი რ ვ ე ლ ი. წამოიყვანე ესეც!... მოწყალების დად გამოგვადგება.

(ჯარისკაცებს მიჰყავთ ორივე).

კ ო ტ ე. ბიცოლა ელენა, მამა რომ დაბრუნდება, მომძებნოს!.. (ჯარისკაცებს). სად მომძებნოს?

მ ე ო რ ე. იურკა-ცეცხლის საგანგებო რაზმი იკოთხოს.

(გავიდნენ. შორიდან ისმის სროლის ხმა. რამდენიმე ადამიანმა გაიარა-გამოიარა).

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი (შემობრუნდა) დასცალეთ დირბაზი! დასცალეთ-მეთქი! ხეიბარი, ავადმყოფი და დედაბერი არ ვიცი მე! შეაყოლეთ, შეაყოლეთ!... სადაც მოგეპრიანთო! ?ვეყანა დიდია!

(შემოვიდა პეტკა).

ა ხ მ ა ხ ი. აქაც ალარ გვაყენებთ?

პ ე ტ კ ა. ჩქარა! საგანგებო ბრძანებაა! ჩქარა-მეთქი!

(ხალხი გარეკეს).

ელენა. არსადაც არ წავალ! დამხვრიტეთ აქვე!... ჩემთვის სულ ერთია!...

ჯარისკაცი. ამხანაგო უფროსო, ეს ერთი დედაკაცი არ მემორჩილება.

პეტკა. ეგდოს, მაგის დედაც!... თუ ხელს შემიშლის, ჭერე მაგასაც აქვე დავამწყვდევ. (შემოიყვანა დაპატიმრებული იგორი, მწერალი, მეცნიერი, მსახიობი. შერეკა ფართოკარიან სადგომში, სატვირთო საწყობს რომ გეკარნებს. კარი გარეულნ რკინის ურდულით დაკეტა. ეხეკ ახე! (ჯარისკაცს ანიშნა — წადით. ჯარისკაცი უხმოდ წავიდა).

იურკა. ჩემო უყოჩალესო შეგირდო, გავიდე, ვიღაცეები დაგიკეთოდა.

პეტკა. დიახ, აგერ დავამწყვდიე საიმედოდ.

იურკა. გაბმის ამბავია?

პეტკა. არა, თავისთავად საეჭვო ხალხია.

იურკა. მერე, საეჭვო ხალხთან სალოლიავოდ გცალია? ვერ გაასაღე?

პეტკა. მთლად ისეთები არ ჩანან, ჰოდა, უშენოდ ვერ ვიკისრე, ოხტატო. ვიფიქრე, ამხანაგმა დიდმა რევოლუციაკაც ნახოს-მეთქი. ერთი იძახის, არტისტი ვარო, მეორე — ბლეხიო, ეხსაე — მწერალიო, მეოთხე მეცნიერებას იჩემებს. (კარს ფართოდ გაიღებს). ა, ოჯეფნი თვალით ნახეთ. შენ, ბერახრუკ, რას დაჩიკიალხარ.

იგორი. ვლოცულობ.

იურკა. რევოლუციის მტრებმა რომ გაიმარჯვნონ, იმაზე ლოცულობ?

იგორი. არა... ნამდვილმა კომუნისტებმა რომ გაიმარჯვონ.

იურკა. სტყუი! კომუნისტებს დმერთი, ხატი და ლოცვა არა სწამთ. ისინი არავის ეკედრებიან — არც ზეციერს, არც მიწიერს, ყველაფრის მოსაპოვებლად თოფი უპირავთ ხელში. შენ ვინა ხარ?

მსახიობი. არტისტი გახლავართ. ერთი დამწვარ-დაფერფლილი თეატრის არტისტი.

იურკა. დამიმტკიცე.. მიმღერე, მიმღერე, თუ არტისტი ხარ.

მსახიობი. ყველა არტისტი მომღერალი არ არის. თქვენი ხაორით მაინც ვეცდები.

(მღერის სევდიანად).

იურკა. ეგ რა სიმღერაა, ტირილს ჰგავს. რამე ცეცხლოვანი, მგზნებარე, რევოლუციური!

მსახიობი. რევოლუციური არ ვიცი. მელოდრამის არტისტი ვარ.

იურკა. მაშასადამე, ჩვენი ხელისუფლება არა გწამს!

მსახიობი. ჯერ არ ვიცი, თქვენი ხელისუფლება რა ხილია. მისი ნაყოფი არ მინახავს, არც გემო გამისინჯავს. ჰოდა, ტუილად როგორ ვთქვა, ტკბილია თუ მწარე?

იურკა. გამოტყდი, რომ არა გწამს!

მსახიობი. ჯერ არ ვიცი-მეთქი! (იურკამ მაუზერი მოიმარჯვა) წწამს, წწამს!... გასწე ეგ ოხერი ზავთვალა სიკვდილი! თუ მაუზერს დამიმიზნება, ვიწამებ, აბა, რა ჭირი ვქნა?! არ გაგივარდეს!... წწამს-მეთქი, ქრისტიანნო!

იურკა. ჰოდა, ასე! ქრისტეს კი მოეშვი! მე თვითონ ვარ ახალი ქრისტე!

ახმახი. (თავს შემოყოფს). ერთი შეკითხვა, იურკა ცეცხლო!..

იურკა. ჩქარა, არ მცალია!

ახმახი. როგორ უნდა მოიქცეს სიძე-კაცი, როცა სიდედრი ბოლშევიკი ჰყავს, სიმამრი — პირშავაძრწნილი ნეშევიკი, ცოლი — ანარქისტი, თვითონ კი გაკანებული ტერორისტია?

იურკა. რეგვენო, რევოლუციის სამსახურად არა ცალია!. ჩვენ მსოფლიოს სერიოზულ პერსპექტივებზე ფიქრით ვიმტვრევთ თავს, შენ კი...

ახმახი. ბოდაში!.. მეზობლად ერთ კაცს აინტერესებდა და...

იურკა. შეაყოლე! შეაყოლე-მეთქი! ამ წუთში ორივეს ჩეკი შეგრიდი გაგაკეთო პასუხს. (ახმახი მიიმალა). პეტუშოკ!

პეტკა. გისმენ, ამხანაგო დიდო რევოლუციავ!

იურკა. ახეთი თავხედი ხალხი სანდო არ არის — წმიდა-თა წმიდა რევოლუციას მასხრად იგდებენ. ფიშტ!

პეტკა. ორივე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურკა. აბა, მეორეს ვიღას უზოგავ? (პეტკა გარბის გასასვლელ ბელ. იურკა მეცნიერს მიადგა). შენც არტისტი ხარ?

მეცნიერი. არტისტს რა მიგავს?! მეცნიერი ვარ, ბატონო.

იურკა. რევოლუციას მეცნიერებისთვის არა ცალია. რევოლუცია რომ დაშშიმინდება, მერე ვნახოთ... თუ საჭირო იქნება.. ახლა კი, ვისაც ულუფა უნდა, თოფი დაიჭიროს რევოლუციის დასაცავად. სხვებისთვის ულუფა არა გვაქვს. იქნებ ასე კოტრაც კი დავაპაროთ. გასაგებია, რეგვენო?

მეცნიერი. მე თოფის არაფერი გამეგება. სანადირდოდაც არ ვყოფილვარ არასოდეს.

იურკა. რას მეცნიერობ?

მეცნიერი. ვმუშაობ პრობლემაზე — როგორ დავაჩქაროთ ქლეიტის განკურნება.

იურკა. მაგ პრობლემაზე რევოლუცია მუშაობს. დაეთავრდება რევოლუცია და ქლეიტე მოიხსობა. შენ ვინა ხარ?

მწერალი. მწერალი.

იურკა. რას ჩხაპნი? ღმერთო, ჰფარვიდე მეფესო?

მწერალი. ახლა ერი სტრეიკისაკენ ვერაფერს ვწერ. ნაზერმწყურვალი ადამიანის მდგომარეობა მოგეხსენებათ. საკუთარს ვერაფერს ვწერ, ამიტომ ვთარგმნი... სულ რომ არ მოვცდე, დიდ ენციკლოპედიას ვთარგმნი...

იურკა. (ეროლის ხმას გაიგონებს, გაიხედავს და უმალვე შემობრუნდება). მერედა, ცოუკაკუნა, ის შენი დიდი ენციკლოპედია დღეს რა საჭიროა? იქმებს თუ ისმება?

მწერალი. არც იქმებს, არც ისმება — ხვალ კი დაგვჭირდება. ენციკლოპედია ყოველთვის სჭირდება ხალხსა და ქვეყანას.

იურკა. მე არ მეჭიდება. ძველი, დახავსებული აზროვნების ჩვენ არაფერი გვეჭირდება! მაგისთვის პურს ვერავის ვაჭმევთ, მუქთა-ხორავ!..

პეტკა. (შემოვიდა პირგაბადრული). არის, ამხანაგო ოხტატო!.. რა ოქმა, უნდა, ორივე!

იურკა. საერთოდ, უკვე რამდენს აუვე ანდერძი?

პეტკა. მარტო ჩემი ხელით — ცამეტს. აქაც ხომ არავინაა გასასალებელი?

იურკა. ჯერჯერობით იყვნენ ასე. (კარი თვითონ დაკეტა). რიგიანად მერე გავაკვეთო. როცა...

პეტკა. როცა გაბმის ამბავი გაირკვევა?

იურკა. ზოგჯერ შენც გიფუთფუთებს ჭკუა. დიახ, ახლა მთავარია გაბმის ამბავი. ივანემ და სერგეიმ ხომ არაფერი იუნსეს?

პეტკა. არა მგონია. არც ერთი ახლოსაც არ გვეკარება.

იურკა. გაუტიე ახლა!.. ისევ შენს უბანს მიხედე, ოლონდ ძალიან შორსაც ნუ გაუტევე, ხმა ვერ მოგაწვდინო. მე აქვე ვიტრიალებ. (პეტკა წავიდა). სერგეი! (გამოჩნდა სერგეი). ჩემო ნაშეგირდალო, რა შორშორს დადიხარ? გვიკადრე ხოლმე! ჩვენს რაზზს რატომ გაუშინიხარ? არ მომწონს სერიოზეა, ეს ამბავი. ვატყობ, ზოგიერთი უკვე სანდო ალარაა, ფეხდადგეს ზენა სდიო, მტრებისკენ რომ არ გადაუხვიოს.

სერგეი. არ იშლი შენებურს! ბარემ თავში ჩამომიძვერი, რას ვფიქრობ, და ჩეჩმაშიც გამომეკვი, რას ვაკეთებ. ეს რა უნდობლობაა?

იურკა. უნდობლობა კი არა, კონტროლია — რევოლუციური სიფხიზლე. პეტკას რატომ არ ეხმარები?

სერგეი. პეტკას რა ჩემი დახმარება სჭირდება?

იურკა. მტრებს რომ მუსრავს, შენ სადა ხარ?

სერგეი. ის შენი სანაკენო შეგრიდი, პეტკა, მგონი, მტრებსაც ანადგურებს და მოუკვრებსაც... ყველას, ვინც თვალში არ მოუვა. მე ყველა სულელს ვერ ავკვები.

იურკა. იქნებ დაგვიწყდა, პეტკა იმ ხალხს ჩემი განკარგულებით რომ იმსჭვალება?...

სერგეი. მერე, ვარგა ასე?

იურკა. საჭიროა ასე. ამჟამად ორი სამყაროა. აქეთ წითელი, იქით ბრელი. ვინც წითელი არ არის, ყველა ჩვენი მტერია და დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს!

სერგეი. სცდები, იურკა! ვისაც წითელი დროშა უჭირავს, ყველა ნამდვილი კომუნისტი არ არის. ვინც წითელ დროშას არ დაფრიალებს, ყველა ჩვენი მტერი არ არის. განუსჯელად ხალხის ხვრეტა კარ შეიძლება.

ი უ რ კ ა. მტკუანს და მართალს საქართველოში გაარჩევენ. ჩვენ აქ ასეთი წვრილმანებისთვის არა გვცალია. ნამდვილი რევოლუცია თუ არის, ხალხიც ბლომად უნდა დაიბოცოს, აბა, რა! ჯერ სადა ხარ. რევოლუციას რომ მოვრჩებით, ყველას თვალებში ჩავხედავთ და ვინც არ მოგვეწონება, მაშინვე ავუგებთ ანდერძს. დიახ, ჯერ სადა ხარ!...

ს ერ გ ე ი. მანამდე შენ რომ აგიგონ ანდერძი?

ი უ რ კ ა. ვინ? იქნება შენისთანა გუდაფშუტებმა? ჩვენები ხართ. რევოლუციას ჩემისთანა გიზგიზა ცეცხლი სჭირდება, თქვენ კი ქრაქოვით მეუტავთ.

ს ერ გ ე ი. ყველაზე კარგი სუნი თოფის წამლით გაბოლილი მაუზერის ლულასა აქვს. ესაა რევოლუციის ვარდი. ჰა, უფნოსე!

ს ერ გ ე ი. მეცოდები!

ი უ რ კ ა. ერთობ გამითამამდი. რევოლუციონერი მე გიგბადე და აქეთ მასწავლი ჭკუაზ?

ს ერ გ ე ი. ჭკუას არ გასწავლი. შენი შეცდომებისთვის პასუხს მეც ვაგებ... ხხვებიც აგებენ... მთელი ქვეყანა... ახალი დროება:::

ი უ რ კ ა. მიჭკრავ! ჩემი შეცდომებისთვის პასუხს მხოლოდ თვითონ ვაგებ... მაგრამ მე შეცდომას არასდროს ვუშვებ... მე დიქტატურა ვარ და ვინც დიქტატურას არ ემორჩილება, ფიშტ! უგუნურ თავს წავაპრით და საქართველო დოლ-გარმონით გავაცილებთ. შენ აქ ერთობ საეჭვოდ მებეუზღუნები, ასე რომ...

ს ერ გ ე ი. ოღონდაც, ბეთაჯვა, ნუ მაშინებ, თორემ!..

(ოურკამ უცებ აართვა იარაღი და ხელები შეუკრა).

ი უ რ კ ა. სლეპაოვ! პატკა!

პ ე ტ კ ა (შემოვარდა) ბისმენ!.. ეს რაღას ნიშნავს?! თქვენ, ძველისძველი მეგობრები?!.

ი უ რ კ ა. ამ უსინდისომ ჩემი მოკვლა გაიფლო გულში. ეტყობა, წითელი სისხლი გაუთეთრდა. ცალკე ჯიხურში შეიგდე! მერე მარტო მოველაპარაკები!.. ვერ გაიგე? მე მოველაპარაკები-მეთქი! გუშაგი დაუფენე! (სერგეიმ კბილები გაიჩენა და ჯერ-ჯერობით ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, პეტკას წინ გაუძღვა). გამომივიდა დიდი ბრძენი! ბიუშუა! ჩემი აზრები აღარ მოსწონს, ჭკუას მარიგებს!.. (აღელვებული ბოლოს სცემს ბუზღუნით, ეტყობა, იგინება, შემობრუნდა პეტკა). ესეც ასე! დროულად ჩამოვიცილეთ გზიდან. განძი მხოლოდ ჩვენ უნდა ჩავიგდოთ ხელში, მხოლოდ ჩვენ! აბა, ჩემო საუკეთესო შეგიჩდო, ჩამიბუღბუღე. ვინ ვარ მე?

პ ე ტ კ ა. რევოლუციის ეკუმპარიტი განსაზიერება, უტყუარი ხატი!

ი უ რ კ ა. მიხარია, ასე რომ გწამს რევოლუცია... რევოლუციაც და ოურკა-ცეცხლიც.

პ ე ტ კ ა. ეს შენი ცეცხლი მე ჯიგარს მითბობს.. და მწამს, ეს ცეცხლი საუკუნეებსაც გაათბობს.

ი უ რ კ ა. დამავიწყდა, რევოლუციის უტყუარი ხატის გარდა, კიდევ ვინა ვარ მე? ჩამიბუღბუღეს!

პ ე ტ კ ა. შენზე რომ ვფიქრობ, ჩემ თვალწინ ანგელოზების გუნდი დაფრინავს და... ყველას შენი სათნო სახე შვენის. საერთოდ, მომავალი ბურუსითია მოცული, მაგრამ შენს ნათელ დიდებას მომავლის ბურუსშიც აშკარად ხედავ. მეოცე საუკუნის პეტრე დიდი ხარ.

ი უ რ კ ა. პეტრე დიდი — არა...

პ ე ტ კ ა. პეტრე დიდზე უფრო დიდი.

ი უ რ კ ა. პეტრე დიდი — არა-მეთქი. პეტრე მეფე იყო, მე ყველა მეფის დაუძინებელი მტერი ვარ, მძულს ყველა მეფე — მკვდარი თუ ცოცხალი.

პ ე ტ კ ა. მაპატიე, შენა ხარ მეოცე საუკუნის უდიდესი იმედი, ბრძოლის საუკუნის პირველი რაინდი, მშვენება და სიამაყე, რუსეთის გადამრჩენელი მესია...

ი უ რ კ ა. მარტო რუსეთის?

პ ე ტ კ ა. მთელი კაცობრიობის. დიახ, შენა ხარ მთელი კაცობრიობის გამაწყინებელი გმირი... ტიტანი... ბოდიში, ტიტანი ხომ კარგ რამეს ნიშნავს?

ი უ რ კ ა. გაჯილდოებ მაუზერით. ეს — ჩემი ორდენია.

პ ე ტ კ ა. მე თუ მკითხავენ, ყველა ორდენზე დიდი ჯილდოა. ამ ორდენს მკვდარიც არ შეველევი.

ი უ რ კ ა. ეს ჯილდო, იცოდე, რევოლუციამ მოგცა. აბა, შენ იცი, ამ სახელოვანი მაუზერით რამდენ მტერს მოსპობ. რევოლუცია შენს თავდადებას გულზე ოქროს ასოებით დაიბეჭდავს.

პ ე ტ კ ა. აქამდე გამზელის მრცხვენოდა... ძალიან მინდა, რევოლუციას თავი შევწირო და არ გამომდის... არავინ მკლავს.

ი უ რ კ ა. ყველაფერს ჭკუა უნდა, ბოთე. სულელურად თავის შეწირვას ფასი არა აქვს. თუ თავს გიამტკეს, ისე უნდა გასწირო, ქვეყნიერებამ დაგიმახსოვროს, შენი სიკვდილის ექომ საუკუნეები გადაიგრაფოს. კიდევ ხომ არავინ დაგიხვრეტია?

პ ე ტ კ ა. კი. ცამეტი რიცხვი არ მიყვარს და გავათოთმეტე. ამიერდან აღარ დავითვლი. ახლაც არ მაღიარებ ნამდვილ რევოლუციონერად?

ი უ რ კ ა. გაღიარებ. შენ ყველაზე მეტად გამომადექი. (ღურბინდიკი გახეულა). გამონნდა. ულვაშას ის ყალბსაბუთიანი ბობოლა მოშორებინო მოჰყვება. ულვაშა აქეთ გამოუშვით და მათხოვრის ფარაჯიანს შენ და კლარამ გადაუჭერით გზა. აბა, მარდად! ულვაშას მე მოვუფლი ჩემი ბიუროთი!

(პეტკა გაიქცა. ოურკამ ელენას დახედა და ხელი ჩაიქნია. გამოჩნდა ბაბო. შორიახლოს მოჰყვება სამი ჯარისკაცი. ბაბოს ზურგზე კუბო ჰკიდია).

ბ ა ბ ო. კოტე! კოტე ბიჭო! (დარწმუნდა, დარბაზში ელენას გარდა აღარავინაა). ვაიმე, შვილო! (კუბო ფანჯრის რაფაზე დდო). ჭალბაკლონი ელენა, ჩემი შვილი?.. სად არის ჩემი შვილი?

ე ლ ე ნ ა. ჯარისკაცად წაიყვანეს ძალით...

ბ ა ბ ო. ვაიმე, შვილო!..

ე ლ ე ნ ა. ნუ გეშინია, ჯერ შორს არ წაიყვანდნენ. დამიბარა — ოურკა-ცეცხლის ხაგანგებო რაზმში მეძებოსო.

(ოურკას ნიშანზე ჯარისკაცებმა ბაბო გათოკეს. ბაბომ თოკი შემოიწყვიტა. ჯარისკაცებმა თოფები დაუმიზნეს, ოურკამ — მაუზერი).

ბ ა ბ ო. რას მერჩინთ, წყეულებო?

ი უ რ კ ა. თავიდანვე მიეხედი, გადაცმული ბობოლა რომ იყავი, მაგრამ არ დამიჯერეს. გამოტედი, ვინა ხარ?

(მაუზერი შუბლთან დაუტრიალა).

ბ ა ბ ო. ღმერთო, ნუ გადამრევ?! ვინც ვიყავი, ისეც ისა ვარ... ბაბო გავაშელი... გავრილ... სხვა ვინ ვიქნები? კიდევ გაჩვენოთ პასპორტი?

ი უ რ კ ა. შენი ყალბი ხაბუთი ბებიაშენს აჩვენე, თალლითო! ნიღაბი ახდილი გაქვს. გამოტედი, ნამდვილად ვინაა ხარ!

ბ ა ბ ო. დედა, რა ხალხში ჩავვარდი?! ნეტავი ვინა ვგონივარ? კაი, ბატონო.. ბოდიში, ამხანაგო ბატონო, თუ გესიამოვნებთ, ყველაფერს გავიხდი და გამჩხრიკეთ. იქნება მაშინ მაინც დარწმუნდეთ, რომ არაფერი მაქვს დამალული. დედაა?! აღარ დამხვრეტენ თავს?! ვაიმე, შვილო, შენც თუ ასე გეშარეშინა და გაწვალებენ ხალმე!

ი უ რ კ ა. ეს რა მოგაქვს?

(კუბოს წაჰკრავს ხელს).

ბ ა ბ ო. რასაც ხედავ, შიგ მიცვალებული ასვენია...

ი უ რ კ ა. ვნახოთ. თუ ნამდვილად მიცვალებულია, რა გვეოქმის...

(გადმოაგდო კუბო. კუბოს სახურავი აეხადა. გადმოცვივდა პარკები. ზოგი გასცდა და ოქრო-ვეცცხლი დაიბნა, სხვა განძეულიც).

გულმძიანი ვარ! ვარაუდი გაგვიმართლდა! ჰა, ჰა, ჰა!

ბ ა ბ ო. მე... მე, ბატონო... პატივცემულო ბატონო ამხანაგო.., მითხრეს, მიცვალებული გადაგვატანინეო... გასამჯელოც მომცეს წინდაწინ... მატარებლის ფუფლ მჭირდებოდა ძალიან... დედაჩემის სული არ წამიწყდება, არაფერი ვიცოდი...

ი უ რ კ ა. ვინ აგიდგა ტვირთი?

ბ ა ბ ო. თვითონ სახელი არ უთქვამს, არც მე მიკითხავს. სახიერად ვიცნობ. დაჭედილი კუბო ორ კაცს გამოატანინა სარდაფიდან და ამიდგა: სადგურის გადადგმა გადამიტანეო. სხვა არაფერი ვიცი, ამ ულვაშს გეფიცები! დამჭირავებელი ფეხდაფეხ მომყვებოდა, მეგონა.. აკ ცოტა ხნით გადმოვუხვევ, შვილი მარტო დავტოვე და შევეხმიანები, არ შეეშინდეს-მეთქი.

ი უ რ კ ა. შენი ცხვირი მოატყუე! სრულიად უცნობმა კაცმა ამდენი განძეული განდო მარტო შენ?

ბ ა ბ ო. რას ვიფიქრებდი, თუ... თუ კუბოში სხვა რამეს ჩაპიდებდნენ?! ძმიმე კი მეჩვენა ეს ოხერი, მაგრამ.. ცოტაა ძმიმე მკვდარი?

ი ურ კ ა. ნადდან ის გაჩინა, ჩვენ რომ ვეძებდით... დასანახავად ძეჯავრება, მომაშორეთ კუბო! ყველაფერი ამაში ჩაყარეთ!

(გაბოს ხურჯინი გამობერტყა და მიუგდო ჯარისკაცებს. მათ ხურჯინის ორივე თვალი აავსეს პარკებით. კუბო ფანჯარაში გადაგდეს).

გ ა ბ ო. (პირველი ეცა ხურჯინს). ვერ გაგაკეთან! ეს რაღაცა განძია თუ ჯანდაბა, ვინც აბერდა, იმასვე უნდა ჩავაბარო, მერე თქვენი ნებაა, გნებავთ, დაუბოვეთ, გნებავთ, წაართვით. მე კარგა ხანს მეკურტნედაც ვმუშაობდი და მეკურტნის პატიოსნებას ვერ ვუღალატებ. ვინც რა ჩამბარო, იმასვე უნდა ჩავაბარო მისხალ-მისხალ. ახეთია მეკურტნეთა წეს-წესეულება.

ი ურ კ ა. რაღას უდგახართ? ამ თალლითს უგდეთ ყურს? (პირველ ჯარისკაცს). შენ ეს განძი აიკიდე! თქვენ კი თაღლითი წამოჯჯიგლიგეთ! შეაბრმავა გავარკვევთ ყველაფერს.

გ ა ბ ო. მოიცათ!... მაშინ ბეჭედდასმული ხელწერილი მაინც მოგეცით, განძი რომ თქვენ ჩაიბარეთ ჩემგან... ოღონდ, ბეჭედი თუ გაკეთ...

ი ურ კ ა. საბუთიც მოუნდა გაიძვერას—ეგების ბედი შემომტრიალდეს და ამ ხალხს პასუხს მოვთხოვო. რა ეშმაკია, რა შორს უმიზნებს!? სწადია, თავიც გადაირჩინოს, განძიც გადაარჩინოს და თავისინაგებსაც პირნათლად შეხვდეს!...

გ ა ბ ო. ღმერთო, დიდებულო!..

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი. (ხურჯინს მოეკიდა, ვერ ასწია, მიეშველნენ და აჰკიდეს). ვაი, ვაი! (ჩაიკეცა) დასწყევლოს ეშმაკმა, ბგონი, ტკვინის ლოდებია?! ტომრები ვიშოვოთ და გადავვაწოლოთ.

ი ურ კ ა. ტომრების საძებელად გვცალია ახლა?! ისევ ამ კამეჩს წამოალებინეთ! აიკიდე, მამაძალლო! აიკიდე და გაგვიძეხი წინ!

გ ა ბ ო. მე, ბატონო, აქედან ფეხს ვერ მოვიცალი ჯერ! ამ რაღაცას ვერც თქვენ გაგაკანთ და ვერც მე წამოგიღებთ. აკი გითხარით, ჯერ პატრონს ჩავაბაროთ. მეკურტნის პატიოსნებას ვერ ვუღალატებ! ბნეზავი, აქვე მომკალითო, ჯერ ვერ წამოგიღებთ.

(ადდაც ორმხრივი სროლაა).

ი ურ კ ა. ნადდად კონტრების კაცია. განგებ შემოგვიგზავნეს — მზვერავად. თავს უვიცადაც იმატომ გვაჩვენებდა, ახლაც თვალთმაქცობს. (ელეზნაზე). ეხეცი, ეტყოთა, ამის ძუნაა. განგებ მოგვევლინა მგლოვიარე დედაკაცად. (გაბოს). ერთობ ერთგული ძუნაა კი გიშოვია!..

ე ლ ე ნ ა. გრცხვენოდეთ!.. ღმერთო ჩემო, ძლივს ერთი სანდო ადამიანი გამიმიჩნდა და... რა ცილისწამებაა!..

ი ურ კ ა. აიკიდე!

გ ა ბ ო. (მწვიდდე). ვერა!

ი ურ კ ა. ნუ გვეურჩები, თორემ... ჩვენ ტყვია არ გვეწანება!

გ ა ბ ო. დამხვრიტეთ!

ი ურ კ ა. დახვრეტას არ გაკმარებთ. ცხენის ძუაზე ცოცხლად გაბოგაბამთ და გაათრევთ!...

გ ა ბ ო. ვის რა ვაწყენინე, ბატონო?! თუ რამე უნებურად დავაშავე, აგერა ვარ მე და აჯერი ხართ თქვენ! გნებავთ, დამხვრიტეთ, გნებავთ, ცხენის ძუაზე გამომბმული მთარიეთ, სიკვდილის არ მეშინია. ოღონდ, თუ ადამიანობის ნატამალი გწამთ, ისე ნუ მომკლავთ, შვილი ვერ ვნახო და ანდერძი ვერ დავუბარო. ოღონდ ჯერ შვილი მაპოვნინეთ და მერე, სადაც გნებავთ წამოგიღებთ ამ ოხერტიალს დ... და ხელწერილთან ჩაგაბარებთ.

ი ურ კ ა. რა დროს შენი შვილია, მიჰქარავ რაღაცას!

გ ა ბ ო. შვილი რომ ვეღარ ვნახო, სიცოცხლეც რადად მინდა? ამდენ არეულობაა საღ-სალამათი რომ გადავურჩე, შინ დასაბრუნებელი პირი მაინც ადარ მექნება, დედამისი ისედაც მაშლიდა, ნუ წაიყვანო.. ხიერის შვილია, შევიშლები ჭკუაზე, თუ..

(გაბოს ძალით აჰკიდეს ხურჯინი და წაყვანას უპირებენ. ადგილიდან ფეხი ვერ მოაცილეს ვერაფერს).

დ ა შ ა. (შემოიხედავს). ამ ორი ადამიანის გარდა ყველა დახვრიტეთ?

ი ურ კ ა. დაშა, მოგვშორდი, თორემ შენც მიგახვრიტავთ?

დ ა შ ა. მე მიხვრეტა არ მაკლია!...

(თვალს მიეფარა ღიღინით).

პ ე ტ კ ა. (მოთრეულს ბრძანა). ჩაიბარეთ!

ბ რ მ ა. რას მეშფლებიან, რას?!

ი ურ კ ა. მათხოვარს ახალი პალტო საიდან გაგიჩნდა?

ბ რ მ ა. კარგ პალტოიანი მათხოვარი არ გინახავთ? ეიღაცამ ძველ ფარაჯაში გამიცვალა. ააშენოს ღმერთმა!... არაყიც გადამიბუნა ვინა...

ი ურ კ ა. ესეც ბობოლების დამქაშია! (გაბოს) ვინ არის?

გ ა ბ ო. რა ვიცი, ბატონო ამხანაგო?! დავინახე, მათხოვრობდა, ეგ არის და ეგ!

ი ურ კ ა. (ბრმას შეანჯღრევს). რა კავშირი გაქვს განძის გამტაცებლებთან?

ბ რ მ ა. ვინ არიან განძის გამტაცებლები?!

ი ურ კ ა. რაზეა ეს თალლითს!

ბ რ მ ა. ძველ ფარაჯაში ეს ობლი პალტო მომცა ერთმა, ღმერთმანი სხვა არაფერი ვიცი?! (ტრტყამენ). მიშველეთ, მიშველეთ!

დ ა შ ა. (მოსეირნობს. ანაზდად შეჩერდა გოიცესტენი) ღმერთო ჩემო, ამას ვის ეხებოდ?! ხელი გაუშვით! ხელი გაუშვით-მეთქი!.. ალეკსი ნიკიფოროვიჩ! ალეკსეი ნიკიფოროვიჩ!..

(ეხვევა).

ი ურ კ ა. დაშა, შენ მაინც გაგვიმხილე, ვინ არის ეს ბრმა?

დ ა შ ა. ჩემი ქმარია ეს უბედური, ჩემი ქმარი!..

ბ რ მ ა. ის არა ვარ, ალეკსეი არა ვარ... გეშლება! არ გიცნობ! გამიშვი! ის არა ვარ, ვინც გგონივარ!..

დ ა შ ა. ვაი, რომ ისა ხარ, შენ საწყალო! ასე როგორ დაგჩაგრა ბედმა?

(ეფერება).

ბ რ მ ა. (ატირდება). დაშა! დაშა!.. ალარ მეგონა, თუ ვინმე მიცნობდა... მე ხომ ადამიანს ალარ ვგავარ ალბათ!

დ ა შ ა. ხმით გიცანი, ხმით!.. ისე მიყვარდა შენი ხმა!...

ი ურ კ ა. დაშა, აქ საეკვო ამბავია, იცოდე!

დ ა შ ა. რაღაა საეკვო? ნამდვილად ჩემი ქმარია.

ი ურ კ ა. ეს ბრმაც განძის გამტაცებელი ბანდის დამქაშია.

ბ რ მ ა. არავისი დამქაში არა ვარ! ერთი გაუბედურებული ადამიანია მჭვინ. არავისი დამქაში არა ვარ!...

(ისმის სროლა).

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი. (აჭოშინებული შემოიჭრა). თავს დაგვეხეს! კლარა ტრიფონოვნა მოგვიელეს! მათხოვრის ფარაჯიანი კაცი გაიტაცეს!... კვლავ გვიტეევენ!... ეტყოთა, ის ობოლის დამქაშთა შეიარაღებული ბანდაა. ჩვენი რაზმი სადგურს იცავს!.. რა ვქნათ?

ი ურ კ ა. აქედან უკან დახევა ცოცხალი თავით არ შეიძლება რევოლუცია საკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლას მოითხოვს. (პირველ ჯარისკაცს). ამ განძისა და ხალხის დარაჯად დარჩები! ჯერჯერობით ეს ყველაზე საიმედო ადგილია! ჩვენ მალე დავბრუნდებით!

(დანარჩენებს). მომყევით! (გარბიან).

გ ა ბ ო. (აკმაღე ბობიევი იდგა. ხურჯინს ბრაზიანად დაადგება). მოგიკვდეს პატრონი, რა ჭირად ამეკიდე! (ხურჯინზეევე დაჯდა). ვაიმე, შვილო!..

დ ა შ ა. (ბრმას). დაჯექი. ა, გვერდით მომიჯექი! რატომ არ მოგაკითხე?

ბ რ მ ა. მერიდებოდა. ახეთი ვიღას ვუნდოვარ-მეთქი!

დ ა შ ა. ხად დაპკეცი აკამდე, სად?

ბ რ მ ა. გადასახლებიდან გამოვიქეცი და ისევ გადამასახლეს. მერე ფრონტზე მიკრეს თავი, ხუთჯერ დავიჭერი... მერჩია, იქვე ჩავძალებულიყავი... არ მოვკვდი. ვერც თავი მოვიკალი... ტკბილი ყოფილა სული... სიბრმავეშ მათხოვრობას მიმაჩვია...

დ ა შ ა. ეჰ, საცოდავო, ის შენი რევოლუციური იდეები ჩემზე მეტად ამისთვის შეიეკარე? სად გაკრა ის შენი მგზნებარებება?

ბ რ მ ა. რა ვიცოდი... მეზობლებმა მითხრეს: შენ თურმე ის... სხვანაირი ქალი გამხდარხარ...

დ ა შ ა. ის ალარ გითხრეს, ვისი ბრალიაო? ახლად მოყვანილი პატარძალი ბედისანაბარად მიმატოვე. ჰოდა, კიდევ მე ვარ დამნაშავე?

ბ რ მ ა. არა, შენ ვინ გადანაშაულებს? ეს ისე...

დ ა შ ა. მეც გამბუბედურე, შენი თავიც გაბუბედურე. მალე რომ არ მიგეტოვებინე, იქნებ შვილიც გაგვეჩენოდა... მერე ჩვენც ბედნიერებოდა. სხვასთან რომ ღამეს ვათევდი, მაშინც კი შენზე ვფიქრობდი... სიყვარულით მხოლოდ შენ მიყვარდი... ბნეტრობდი... მერე ბუღეკა მომდიოდა ხოლმე. გემოქკრებოდი: თუ სადმე ვიპოვე, ჩემი ხელით დავაბრჩობ-მეთქი.

ბ რ მ ა. მერედა, რაღას უყურებ?.. სამუდამოდ მოვისვენებ...

დ ა შ ა. აკამდე მომკვდარიყავი და არ მენახე, კარგი იყო... ახლა რა ვქნა, მაინც ჩემი ხარ. (ბრმა კვლავ ატირდა). რა გატირებს, ალექსი? (თვითონაც ატირდა). ახლა ან მე და ან შენ რაღას ვგიშ-ველის ცრემლი და ვაება? წამო, ისევ მე გიპატრონებ, შე უბედურ. დავიწყოთ ხელახლა ცხოვრება, იქნებ ახლა მაინც გაგვიმართ-ლოს... ჯერ არ არის გვიან... არადა, თუ ერთად სიცოცხლე კარ გვე-ღირსა, ერთად მაინც მოვკვდეთ...

ბ რ მ ა. დაშა! დარიგ! დაშენკა! ჩემი ლამაზი გოგო.. ისევ ისე-თი მგონიხარ... ეჰ, უკან დაბრუნება რომ შემეძლოს!..

დ ა შ ა. უკან დაბრუნება აღარავის შეუძლია... წინ წავიდეთ. წა-მომყევი. ამიერიდან სულ ერთად ვიქნებით... ბავშვივით მოგივლი...

ჯ ა რ ი ს ა კ ი ი. დაეგდეთ მანდ! დაეგდეთ-მეთქი, თორემ ვეხეთრით!

დ ა შ ა. კაი, დავიცადოთ.. შენ იმ ხალხთან მართლა ხომ არ დაიპირე კავშირი?

ბ რ მ ა. ღმერთმანი, არაფერი ვიცი. ისიც არ ვიცი, აქ რა მოხდა.

დ ა შ ა. ჰოდა, აქაურობის დაწყნარებამდე დავიცადოთ. მერე ყველაფერი გაირკვევა და შინ წავალთ ერთად.

ბ ა ბ ო. ვაიმე, შვილო, ვაიმე, შვილო! სად გეძებო?

(ბოლთას სცემს).

ჯ ა რ ი ს ა კ ი ი. ნუ წრიალებ, დაეგდე!

ბ ა ბ ო. იცით, ჩემი შვილი... სიყრმის შვილი...

ჯ ა რ ი ს ა კ ი ი. არ ვიცი მე შენი შვილი...

ბ ა ბ ო. წუთით გარეთ მაინც გავიხედავ... იქნებ...

ჯ ა რ ი ს ა კ ი ი. არ შეიძლება...

ე ლ ე ნ ა. ადამიანი არა ხარ? გაუშვი! განძთან მძვინვლად მე დავრჩები!

ჯ ა რ ი ს ა კ ი ი. შენ მანდ დაეგდე, დიაცო! გამოუჩნდა ქომაგი! (ელენამ ამოიხედნა და თავი ჩაჰკიდა. ბაბო კვლავ ვერ ისვენებს. ესიტყვიდ ემუდარება ჯარისკაცს — წაეკალ). არ შეიძლება-მეთქი! ცრუ ხარ? არ მითხრა ახლა, კუჭი ამეშალა და ჩეჩმაში გამიშვიო, თორემ მიგაყენებ შავ კედელთან და მიგაკედებ ტყვიით. ჩვენ მტრე-ბის დანდობა არ ვიცით. დაჯექი! დიაცო, გვერდით მოუჯექი! გაქცევა არც ფიქრით, თორემ!..

(თოფს შემართავს).

ბ ა ბ ო. თქვენი ვერაფერი გამიგია, სად უნდა გაგექცეთ? რომ არ ვიცი, სად გავიქცე? (თოფზე ანიშნებს). გასწე იქით ეს ოხე-რი! ტყვია არ გაგიკარდეს! დედა, რა არეულობაა, კაცო?! ვაიმე, შვილო, სად მყავხარ? ვაიოუ... რა მეშველება? შინ რომ დავბრუნ-დე, რა ვუთხრა, ბიჭო, დედაშენს? ტყვიის შესაჭმელად წავიყვანე-მეთქი? (ისმის კვლავ სროლა და ყიჟინა). ვაიმე, შვილო!

(სროლის ხმა ახლოვდება).

ჯ ა რ ი ს ა კ ი ი. (შეშინებული იყურება). წყეულები გვიახლო-ვდებიან! ხელში თუ ჩამიგდეს, ლუკმა-ლუკმა დამჩეხავენ... ლუკმა-ლუკმა დამჩეხავენ...

ბ ა ბ ო. რა გაცცაცხებს, გეშინია, ბიძიკო?

ჯ ა რ ი ს ა კ ი ი. არაფრისაც არ მეშინია... ისე... მცივა...

ბ ა ბ ო. თუ გინდა, გაიქეცი, ბიძიკო. შენ, გეტყობა, გეშინია, მე არ მეშინია... ჯარი ნუ გაჭეს, აქედან ფეხს არ მოვიცვლი. სხვი-სი განძეული ნაარმი ქონგანა, რა ჭირად მინდა, არ გავიტაცებ.

(სროლა უფრო მოახლოვდა).

ჯ ა რ ი ს ა კ ი ი. (ქედლთან განერთხო). დაწექით! (ბაბომ ელე-ნას ნაბადი და ხურჯინი მიაფარა, თვითონაც იქვე დაწვა. დაშა და ბრმა ერთად მიიყუჭენ. ჯარისკაცი წამდაფუწემ გარეთ იყურება). ოი, დედავ! ოი დედოკო!... მიშველე!... მე ის.. სამოიდე წუთით გა-ვალ....

ბ ა ბ ო. კუჭი აგეშალა, ბიძიკო? (ტტყობა, ეცოდება). წადი, წა-დი! მე სიტყვის კაცი ვარ. (ჯარისკაცმა გაქცევას აპირებს, დაიბნა, თოფი დარჩა. ბაბო თოფს დაადევნებს). წიდე, ბიძიკო, შენი თო-ფი, მე რად მინდა! (ჯარისკაცმა თოფს ხელი დაავლო და და გაიქცა. ელენა დაბნეული იყურება). თქვენ ნურაფრისა გეშინიათ, ქალბა-ტონო ელენა! ჩვენ ვინ რას გვერჩის! ვაიმე, შვილო, რა დროს წამართვეს შენი თავი! ეს რა დავდარაბაში გავდი?!

დ ა შ ა. გავიქცეთ, ყველა გავიქცეთ!

ბ ა ბ ო. თქვენ გაიქეცით. მე სანამ ამ ოხერს (ხურჯინს წიხლი ჰკრა). პატრონს არ ჩავაბარებ და მერე შვილს არ ვნახავ, სად გავიქ-ცე?

ბნელდება. ისმის ორმხრივი სროლა. ნათდება, იგივე ადგილი. ელენა ნაბადში შეყუჟულა, გაბო ხარჯინთან ზის და ცარიელი ჩი-ბუხის ტარს ღეჭავს.

ი ო რ კ ა. (დაფეთებული შემოვარდა და მიმოიხედა). დარაჯი სადაა?

ბ ა ბ ო. კუჭაშლილი გაგვექცა.

ი ო რ კ ა. ფაბრა და ის ბრმა?

ბ ა ბ ო. შინ წავიდნენ.

ი ო რ კ ა. (ხურჯინს ჩახედავს). რაკიღა ეს აქ არის, ჯანდაბას სხვა ყველაფერი! ბანდა მოგერიებულია, ასე რომ... (საწყობის კარი გააღო) შედით! შედით-მეთქი! თორემ შეგრეკავთ ნახირივით!

ბ ა ბ ო. (მხრებს აიწურავს). ჩემთვის სულ ერთია?!

ი ო რ კ ა. (მარტო დარჩა). ჰეი, ჩემო უფროსუნო შეგირდო! (პეტკა გამოეკიდა). მოამზადე ჩვენი რაზმი! აქ ვინც დავაშეკუდე-თო, ყველას გაასალებ! ხელს ვეღარავინ შეგვიშლის, განძს ნამდვი-ლად ჩვენ ჩავაბარებთ შტაბს.

პ ე ტ კ ა. შტაბს, თუ?...

ი ო რ კ ა. რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე. ჯერ არავისთან გაამ-ხილო, განძი ჩვენ რომ ჩავიგდეთ ხელში. ეს ხალხი ჩუმად იმასკენი, საჯარო ალიაქოთს ნუ ასტეხავ. მერე განძს ერთად მოვუვლინ, გეს-მის!

პ ე ტ კ ა. არის! გასაგებია!

ი ო რ კ ა. მოიც! ხომ იცი, ჩემს თანაშემწეად სერგეის დანიშვ-ნას ფიქრობენ. ჩემი თანაშემწე შენ იქნები დღეიდანვე!

პ ე ტ კ ა. მეუხერხულება.

ი ო რ კ ა. რა გეუხერხულება, ბოთე?

პ ე ტ კ ა. მართალია, ჯიხურში ვვიზის, მაგრამ... ასე თუ ისე, ჯერ კაცი ცოცხალია და...

ი ო რ კ ა. მერე, მაგაზე ადვილი რაა, შტერო! მიდი და მოელა-პარაკე!

პ ე ტ კ ა. აკი გამაფრთხილე, თვითონ ცალკე მოველაპარაკებიო?! მე, სწორი ვითხრა, არც ვიცი, რა ვუთხრა?

ი ო რ კ ა. შენებურად. მოალედ მოელაპარაკე. მოალე ლაპარა-კი კი ახლა ჩემზე ნაკლებად არ გემარჯვება. (პეტკა მბრუნ აიწუ-რავს). ვერ მიხვდი, ყველაზე მოალე ლაპარაკი რამ იცის?

პ ე ტ კ ა. ტყვიამ?

ი ო რ კ ა. ჰო, შტერო. ერთი ეყოფა. ოღონდ მარჯვედ და ჩუ-მად. რაც არ უნდა იყოს... გაიგე, რეგვენო?

პ ე ტ კ ა. გაუგებარი რაღაა, ოსტატო.

ი ო რ კ ა. ამიერიდან იურკა-ცეცხლის რაზმის რევოლუციურ სი-ფხიზლეს შენ განდობ, ოღონდ, სხვებივით არ მიდალატო, თო-რემ!..

პ ე ტ კ ა. ეშმაკს მივყიდი სულს, ჩემს მასწავლებელ რევოლუ-ციას კი არ ვუღალატებ, ამხანაგო დიდო რევოლუციავ! ვფიცავ, ღირსეული თანაშემწეობა გაგიწევ!

(გაიქცა. იურკა ბოლთას სცემს!., თან ღიღინებს).

მ ე ზ ღ ვ ა ფ რ ი. იურკა-ცეცხლო, მთავარ შტაბში გიბარებენ!

ი ო რ კ ა. ვისაც საქმე აქვს, ჩემთან მოვიდეს! (სერგეი მოეულო-ნდეოდ შემოიჭრა ორი ჯარისკაცითურთ, იურკას იარაღი აჰყარეს და ხელები შეუკრეს). ღალატია! მიშველეთო! ბიჭებო!..

ს ე რ გ ე ი. ამაოდ იხლეჩავ ყელს, იურკა. არავითარი ღალატი არაა. რევოლუციური შტაბის ბრძანებით გაპატიმრები.

ი ო რ კ ა. (სერგეის). ჩემი ნაშეგირდალო, მე მაპატიმრებთ რე-ვოლუციური შტაბის ბრძანებით?! მე — იურკა-რევოლუციას?! რაკი შენ დაგაპატიმრე, გამეკეცი და აწალ შურს იძიებ?

ს ერ გ ე ი. მე ვინც გამათავისუფლა, ის გაპატიმრებს შენც.

ი ო რ კ ა. რა მიზეზით?

ს ე რ გ ე ი. მიზეზსაც მალე გიგიგებ, ნუ ჩქარობ!

პ ე ტ კ ა. (შემოვარდა). ამხანაგო დიდო რევოლუციავ, სერგეი გაუპარებიათ...

ს ე რ გ ე ი. აგერა ვარ, პეტია.

პ ე ტ კ ა. ვაი?!

(უკანუკან იხევს, მაგრამ უკვე ალყაშია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი უ რ კ ა. სლეპაოოვ, მაუზერი რომ გაჩუქე, დაგავიწყდა?

პ ე ტ კ ა. არა, მაგრამ... ამბანაგო იურკა, აქ ისეთი ამბავია... მარტო მე რა შემიძლია?! მე — ვერა...

ი უ რ კ ა. გგ არის შენი რევოლუციური სიფხიზლე და ერთგულება? ახე მალე დაგავიწყდა, ვინა ვარ მე? გაუგებრობა გაირკვევა, გავთავისუფლდები და დედას გიტარებს!.. ყველას გიტარები დედას!.. მე იურკა ცეცხლი მქვია!..

პ ე ტ კ ა. ეს ჩვენ შეგარკვით ახე...

ი უ რ კ ა. თავგი ხარ, წრეწუნ!..

პ ე ტ კ ა. მე ახლა რა შემიძლია, თორემ...

ს ე რ ე ე ი. (პეტკაზე). ესეც წამოიყვანეთ და თვალყური ადევნეთ!

ი უ რ კ ა. (პეტკას). ვაი შენს პატრონს!..

ბნელდება. ისმის ბორზეს ანბანის ხმა. იგი მთელ სცენას გასდევს. შემდეგ რეკავს ტელეფონი. ამას მოსდევს ივანეს ხმა.

ი ვ ა ნ ე. ალო, დიახ. რევოლუციური სიფხიზლე იმას არ ნიშნავს, განუსჯელად ყველანი კედელთან მივაყენოთ. დიახ, მეც ასე ვფიქრობ. ბორცმეტი დროულად უნდა მოვიკვეთოს. ახე თუ არ მოვიქეცით, კვლავაც ბევრ უდანაშაულოს შეიწირავს. ამ ცეცხლს მალე ჩავაქრობთ. დიახ, დაპატიმრებულია... მაშინვე მოგახსენებთ!..

განათდა. ივანემ სწყობის კარი ფართოდ გააღო. გამოჩნდა იქ დამწყვდეული ხალხი.

ამა, გავეცნოთ ერთმანეთს. ზოგი რამ ვიცი, ზოგიც დავაზუსტოთ.

ი გ ო რ ი. მე გლეხი გახლავართ — მიწის კაცი. რევოლუციაა ელეტს იმდენ სიკეთეს ჰპირდება, უკმეაოფილონი აღარაფრით არ უნდა ვიყოთ, მაგრამა... ხანწუხაროდ, ბოდმა მახრჩობს. ესაა სამეფოთა ხელისუფლება? ამდენი ეანალობა თავის დღეში არ ყოფილა. რამდენი პარტიაა რუსეთში, ვეღარ გავიგე. ყველა გაიძახის, მე ვარ მართალიო და ხხვებს ანგარიშს ტკვინი უსწორებს. მოკლედ: ერთმანეთს მუსრავენ და არც ხალხს ინდობენ ალალმართალს.... ყველა მართალი არ შეიძლება იყოს...

ი ვ ა ნ ე. რა თქმა უნდა, ამას დრო გაარკვევს.

ი გ ო რ ი. როდის? მე მოვესწრება?

ი ვ ა ნ ე. მეცნიერი რომელია? (მეცნიერი წინ წამოდგა). მართლა ჭლეკის დროული მურნალობის პრობლემაზე მუშაობთ?

მ ე ც ნ ი ე რ ი. დიახ, ჩვენ უეჭველად შევძლებთ, ჭლეკი საშინი დაავადება აღარ იყოს — ძნელად მოსარჩენი.

ი ვ ა ნ ე. ეგენი ვარაუდით, ეს დაახლოებით როდისთვის იქნება შესაძლებელი?

მ ე ც ნ ი ე რ ი. სამწუხაროდ, მედიცინა ტექნიკასავით სწრაფად ვერ მიიწევს წინ. ოცი-ოცდაათი წელიწადი მაინც დასჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, ამ პრობლემაზე მომუშავე ადამიანებს შიშველი თვითონ არ შეჰყრის ჭლეკს.

ი ვ ა ნ ე. თუ ვიგულისხმებთ, რომ კაცობრიობას ეს საჭიბოროტო პრობლემა ოცდაათ საუკუნეზე მეტია აწუხებს, ოცდაათი წელიწადი არც ისე ზორსაა — წამის გაელვებაა მხოლოდ. ჩემისთანებს ვეღარ მოესწრება, ხხვებს კი უშველის. მწერალი შენ ხარ?

მ წ ე რ ა ლ ი. დიახ! ამჟამად საკუთარს ვერაფერს ვწერ, თუმცა, გულხლდაკრეფილიც არ ვზივარ. შევკრიბე მწერალთა ჯგუფი და ვთარგმნით დიდ ენციკლოპედიას — მრავალტომიანს. ვიცით, ასეთი წიგნების დაბეჭდვა ამჟამად ძნელია, მაინც ვთარგმნით. ასეთი ენციკლოპედია თითქმის ყველა კულტურულ ერსა აქვს, ჩვენ რატომ ჩამოვრჩეთ? გვშია, გვწყურია და ამ საჭმელს მაინც არ ვეშვებით. გვეგონა, ახალი მთავრობა მხარს დაგვიჭერდა, მაგრამ... ერთმა გამოჩნდა კიდეც... უსამართლო ყოფილა ეს თქვენი რევოლუცია, ბატონებო.

ი ვ ა ნ ე. მეგობრებო, ახე შევთანხმდით, ხელალებით ნუ ვაგინებთ ერთმანეთს. თქვენი სატკივარი ჩვენც გვტკივა. ახალი სამყარო ტკივილით იბადება. ყველაფერი ახალი ტკივილით იბადება. რევოლუციას ბევრი არამზადა ეტმასნება. ზოგსაც რევოლუციური შეგნება არ ჰყოფნის — ჰგონია, რევოლუციური საქმეს ვემსახურებიო, ნამდვილად კი ხელს უშლის. ისინი სახელს უტეხენ რევოლუციას. რაც შეეხება თქვენს მდგომარეობას, მომავლისათვის პასუხისმგებლობა ჩვენ ერთნაირად გვეკისრება. ჯერჭერობით მუშაობის იდეალურ პირობებს ვერ შეგიქმნით, შეძლებისდაგვარად ხელს კი შეგიწყობთ. თქვენისთანა ინტელიგენციას ასეთ პირობებში სხვაზე მეტად უჭირს და მეტი ფულობილი დამოკიდებულება სჭირდება. სერგეი! (სერგეი გამოეკეტა). წაიყვანე ეს ხალხი და გაეცი განკარგულება, სუნსაი გამოუყონ ჩვენი ფონდიდან. იქნებ თბილი ბინაც გამოუნახოთ.

მ ხ ა ნ ი ობ ი. ძლივს არ გავიგონე ნამდვილი ადამიანის ხმა?!

მ წ ე რ ა ლ ი. მადლობის თქმაც კი გვეუბრებულება.

ი ვ ა ნ ე. შემომიარეთ ხოლმე, ვუ მომეცინდებით.

(ხელის ჩამორთმევეთ დაემშვიდობა მწერალს, მეცნიერს და მსაზხობს. წამოხვალენთანს პირზე ხელსახოცს იფარებს). ქალბატონო, თქვენ რაშ შეგაწუხეთ?

ე ლ ე ნ ა. მე ყველაფერი დავკარგე. ვმასწავლებლობდი და სკოლა დაიხურა. სახლ-კარი დამეწვა. შვილები დამეხოცა, ქმარი დამეკარგა.. ალარ ვიცი, რისთვის ვარსებობ... დავცარიელდი ადამიანი...

ი ვ ა ნ ე. დიდი უბედურება დაგაწყდომია თან, მაგრამ... ახე სასოწარკვეთაც არ ვარგა. კიდევ შეგიძლიათ, ცხოვრების მიზანი იპოვოთ. ჩვენ უამრავ უპატრონო ბავშვს მოვუფარეთ თავი. ეგების დაგვეხმარით. ძნელია სხვისი ბავშვების მოვლა-პატრონობა, როცა საკუთარი ახე... მაგრამ თუ თავს მოერევით... უპატრონო ბავშვებს თუ გულით მოუვლით, საზრუნავი გაგიჩნდებათ. მერე, თანდათანობით, ბავშვებზე დახარჯული ის თქვენი ამაგი შეგიყვარდებათ და... შეგიყვარდებათ ბავშვებიც. ამ ზრუნვაში იქნებ თქვენი დედური ბედნიერებაც იპოვოთ. არ გაძალებთ, დაუფიქრდით და... როგორც გული გირჩევთ...

ე ლ ე ნ ა. ვეცდები. ეგების მართლაც ახე სჯობდეს.

გ ა ბ ო. ჭეშმარიტად კეთილი რჩევაა, ღმერთმანი.

ი ვ ა ნ ე. თქვენ ამ ქალისა რა ხართ?

გ ა ბ ო. არაფერი, ბატონო... ვნახე, უჭირდა და... როცა ადამიანს უჭირს, ოდაღაცნაირად ხომ უნდა ანუგეშო?

ი ვ ა ნ ე. შენ ის კაკანიეი არ ხარ? (გაბომ თავი დაუქნია). აქ რა დაგკარგვია?

გ ა ბ ო. შვილი, ამხანაგო ბატონო. სადგურში დავტოვე. დაუვლიათ ხელი და საგანგებო რაზმში გაუმწესებიათ. იქნებ იცით, საგანგებო რაზმი სად დგას?

ი ვ ა ნ ე. საგანგებო რაზმები ახლა ბევრგან დგას. მერე ერთად გავიკითხ-გამოვიკითხოთ.

გ ა ბ ო. საშვილიშვილოდ დამავალებთ, ბატონო... ბატონო ამხანაგო. ისე, ახლა დავრწმუნდი, შვილის გარდა სხვაც ბევრი რაქ ჭკოდა ხაძებარი. ახლა უკვე შვილსა და სიმპარილეს ერთად ვეძებ. თქვენ საადგურის მეზობლად ხომ შემხვედით მაშინ... ხამრთლიან კაცად დამამახსოვრდით. აქ ყველაფერს რომ მორჩებით, ბოლოს მარტო მინდა მოგეხაუბროთ.

ი ვ ა ნ ე. მაინც რაზე?

გ ა ბ ო. მე მეკურტნედაც ვმუშაობდი ხოლმე და მ:თი პატიოსნების ერთგული ვარ ახლაც.

ი ვ ა ნ ე. მეკურტნის პატიოსნება რას ნიშნავს?

გ ა ბ ო. იცით, რა! ყველაფერს აჯობებს, თუ თქვენს ყველაზე დიდ უფროსთან მიმიყვანეთ. ერთი ისეთი საიდუმლო შემომეპარა გულში, ყველასთან არ გიამბილება.

ი ვ ა ნ ე. არც ჩემთან?

გ ა ბ ო. თქვენ დიახაც პატიოსანი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ... რა ვიცი... ხომ შეიძლება, ჩემი ხურჯინანდან აქვე მოვიცალო ჯერ? ყველა საქმეს რომ მოითავებთ და მარტო დარჩებთ, მერე შეიძლება?

ი ვ ა ნ ე. კეთილი, შენებურად იყოს.

(ჯარისკაცებმა სერგეის თანხლებით შემოიყვანეს ქმარშეხსნილი იურკა. იურკას უკან მოჰყვება პეტკა).

ი უ რ კ ა. ივან ნიკოლაევიჩ, დამაპატიმრეს.

ი ვ ა ნ ე. ვიცი.

ი უ რ კ ა. იქნებ შენი განკარგულებითაც დამაპატიმრეს?

ი ვ ა ნ ე. ჩვენ დაგაპატიმრეთ... იძულებული გაგეხადე. თასმები და ღილები შეიკარი, იური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ო რ კ ა. ჩემო ძველო მეგობარო, ამას ისტორიისთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს?

ი ვ ა ნ ე. ეს მხოლოდ იმას აკეთებ, რასაც ისტორიისთვის აქვს მნიშვნელობა?

ი ო რ კ ა. აქამდე ასე იყო, დღეიდან — ვნახოთ.

ი ვ ა ნ ე. კი, მაგრამ... ეს რა წესია, შენ რომ ისტორიაში შეხვიდე, სხვები საიქიოში უნდა გაგზავნო?

ი ო რ კ ა. ხომ არ აჯობებდა, მე და შენ მარტო გველაპარაკა? საჭიროა, რევოლუციის აპტორიტეტს გავფფრთხილდეთ. ვაითუ, ხალხში ცუდი ხმა გავარდეს...

ი ვ ა ნ ე. ეს მარტო ჩემი და შენი დამოკიდებულების ამბავი რომ იყოს... ესენი ხელს ვერ შეგვიშლიან, სალაპარაკო ბევრი არაფერი გვაქვს, ჩემო ძველო მეგობარო. ძნელია, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა დაგხვრიტოთ.

ი ო რ კ ა. (მშვიდად) ივან ნიკოლაევიჩ, ნუ მაშინებ. ყველამ იცის, ლაჩარი არა ვარ. ნურც მემახსენები.

ი ვ ა ნ ე. არ ვმახსრობ, ღმერთმანი. ნამდვილად უნდა დაგხვრიტოთ. ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოოა — გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ი ო რ კ ა. თვალი გამისწორე. რატომ? რატომ? რატომ?

ი ვ ა ნ ე. იარაღის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის.

ი ო რ კ ა. გაუგებრობაა, ბურუსი!... მე რევოლუციის მშვენებას და სიამაყეს მეძახიან, იოტა-რევოლუციის მეძახიან. ვისა აქვს უფლება, ხელი მახლოს? შენ მაინც მიცემ კარგად? რამდენი კატორღა გამოვიარე... ასე ადვილად მომეტებ?

ი ვ ა ნ ე. მე არ გიმეტებ. რევოლუციას სჭირდება ასე. შენი გამოსწორება უკვე შეუძლებელია — არც გონება შეგიცვლება, აღარც — სისხლი.

ი ო რ კ ა. თუ არ დაიდვარა?

ი ვ ა ნ ე. თუ არ დაიდვარა. შენი რწმენა სისხლისღვრაა მხოლოდ. ვინც შენსავით არ აზროვნებს, ვინც შენი გუნება-ხასიათისა არ არის, ყველას ტყვიით უსწორდები. ვისაც მართლაც არ მიანჩიხარო, ტყვიით გინდა დაარწმუნო შენს სიმართლეში.

ი ო რ კ ა. რევოლუცია მხოლოდ ტყვიით ამტკიცებს თავის სიმართლეს.

ი ვ ა ნ ე. ესაა შენი მთავარი შეცდომა... მარტო შეცდომაც არა — ჩვენი ჭეშმარიტი რწმენის ღალატიცაა.

ი ო რ კ ა. ცხრაჯერ გამოვიქეცი კატორღიდან, ცხრაჯერ დამჭრეს. აი, აი, აი! (აჩვენებს). ძალლივით ყველაფერს გავუძელი. ჩემი კლასისთვის ცხრაჯერ დავდვარე სისხლი, თქვენ კი ღალატს მწამებთ.

ი ვ ა ნ ე. მრუდე გზას დაადექი. თუ არ დაგხვრიტეთ, შენი სისხლიანი მაუზერი აკლავ ბევრ უდანაშაულო ადამიანს მოუსპობს სიცოცხლეს. (სერგეის ქალაღლს მიაწოდებს). ხალხს წინ დააყენებ და ამ ბრძანებას წაიკითხავ. დე, ყველამ გაიგოს, რევოლუციის მშვენებასა და სიამაყეს რისთვის ხვრეტენ. ესენი პირადად შენ, სერგეი!

(იორკამ სერგეის შეხედა და უცნაურად გაიცინა).

ს ე რ გ ე ი. ამხანაგო მოროლიუბოვ, მე არ შემიძლია იორკას დახვრეტა.

ი ვ ა ნ ე. ტრიბუნალის გადაწყვეტილება უკანონოდ მიგაჩნია?

ს ე რ გ ე ი. გადაწყვეტილება აბსოლუტურად სამართლიანია მე ნუ დამახვრეტინებთ. რომელ მოღალატესაც გინდათ, ვესვრი. იორკას კი — ვერა... თვითონ, ალბათ, რომ დაეხწრო, თავისი ხელით ამიგებდა ანდერძს, მე კი არ შემიძლია. რევოლუციონერად იორკამ მაკურთხა.

პ ე ტ კ ა. მე დავხვრეტ. დამიბრუნეთ ჩემი იარაღი და... ივან ნიკოლაევიჩ, თქვენმა ბრძნულმა საუბარმა მოლიანად დამარწმუნა, რომ ეს ვიგინდარა ნამდვილად ღირსია დახვრეტის.

ი ო რ კ ა. სლეპკოვ, შეენ?! შეენ?!

პ ე ტ კ ა. დიახ, მე! ახია შენზე ყველაფერი!...

ი ო რ კ ა. დაუბრუნეთ ჩემი ნაჩუქარი მაუზერი. სლეპკოვი დამხვრეტს. უჰ, შენი დედა!.. კაცი მეგონე?!

ი ვ ა ნ ე. (პეტკას). შენ იორკას ვერ დახვრეტ, გვერდიდან უდგები იორკას დახვრეტისას.

პ ე ტ კ ა. რატომ? მე რაღა დავაშავე?

(გაიბრძოლა. ხელები შეუკრეს).

ი ო რ კ ა. გმადლობ, სერგეი! ეგეც კაცობაა. მომეცით იარაღი, თავს მოვიკლავ... გგონიათ, თქვენ გეხვრით? დავარწმუნდი — მართლები ხართ. სერგეის ვაჟკაცობამ და ამ ნაძირალას (პეტკაზე ანიშნებს) საქციელმა დამარწმუნა. (თითქოს თავის თავს ესაუბრებაო) რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს. მე ტყვიას დავაწლი რევოლუციის მოღალატე რევოლუციას... იგივე იორკა-ცეცხლს. თუ რევოლუციისთვის ასეა საჭირო, ალალი იყოს მისთვის ჩემი თავი!.. რტეიანი თავი!.. გეხვეწებით, მომეცით იარაღი და დამტოვეთ მარტო... აქ დადეთ. სანამ არ გამწარდებით, თუ ხელი ვახლო, მაშინვე მეხროლეთ. ნამდვილად თავის მოკვლა მწადია. გემუდარებით!

ი ვ ა ნ ე. არ შეიძლება, იორკა. შენ მოგიხაჯეს დახვრეტა საჯაროდ. განაჩენს ვერ შევცვლით. ტრიბუნალს მარტოოდენ შენი სიკვდილი რიდი ინტტერესებს.

ი ო რ კ ა. თავის მოკვლასაც არ მანებებ? გასაგებია. რევოლუციის მტერი მე კი არა, შენა ხარ... მხოლოდ შენ, სხვა არავინ! მხოლოდ შენ მიპირებ დახვრეტას. გაშორს ჩემი და...

ი ვ ა ნ ე. მშვიდად, იორკა! შენი რა უნდა მშურდეს?!

ი ო რ კ ა. შენზე სახელოვანი ვარ, ხალხი პატივს მცემს, რევოლუციას მეძახის. მე ბუღასავით ჭანჭრთელი ვარ, შენ — ჭლექანი. ციხეშ და გადახალლებამ შენსავით კი არ დამსნეულა, უფრო გამაკეკეკა. შენ ცოლ-შვილის დაკარგვამ გაგაბორბატა!...

ი ვ ა ნ ე. დაწუნარდი და მომისმინე. ბოლოს და ბოლოს, შეიგვენ — შენი დახვრეტა აუცილებელია.

ი ო რ კ ა. აუცილებელია მხოლოდ შენთვის. შენ ხვრეტ სახელოვან რევოლუციონერს, ვიღაც კონტრა, უპარტიო მეცნიერს კი ხელს აფარებ, იქნება ჭლექი მოგარჩინოს.

ი ვ ა ნ ე. ის მეცნიერი მე ვერ მომარჩენს. მისი სიცოცხლე მილიონებისთვისაა საჭირო, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა დედამიწაზე.

ი ო რ კ ა. ამ ულვაშს რატომ არ ხვრეტ საჯაროდ? საწყობში ბუსავით რისთვის გიზრუნ? (ვაბიზე ანიშნებს). ოდანაშაულო მამა ამარამის ბატკანი გავაკ? გწადია, ცალკე მიახიკედლო და მისი განძი მთლიანად თვითონ მოიხმარო ჩუმად... ესა ხარ შენ!

ი ვ ა ნ ე. რა განძი?!

ი ო რ კ ა. გულუბრყვილო ბავშვი! ვითომ არ იცის?!

ვ ა ბ ი. უჰ, ნაადრევად არ გამცა ამ ოხერმა! ხალხი მაინც არ ვვისმენდეს!

ი ვ ა ნ ე. რა განძი გაკვს, კაკვასიელო?

ვ ა ბ ი. რა განძია, ბატონო, არ ვიცი. ერთობ ბევრია და მძიმე.

ი ვ ა ნ ე. მაგ ჭრელ ტომარაში გიყრია?

ვ ა ბ ი. (თავს დაუქნევს). სულ ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტია, მგონი. ერთმა კაცმა სადაურისაც წამომადინინა და თვითონ დამეკარგა. ისე აირია ჭვეყნიერება, ყველა მეკარგება. აკი ვითხარით, ბატონო, მეკურტნედ ნამუშევარი გახლავთო, მეწადა, პატრონისთვის ჩაჩეხარებინა, მაგრამ, აწი ვინ მიაგნებს?! ცალკე შვილი მყავს საძებარი. ჰოდა, ეს ყველაფერი ახლა თქვენ ჩაიბარეთ, ოლონდ, ბიდიშს ვიტდი, ბეკედდასმული ხელწერილი დამიწერეთ. პატრონი რომ გადამეყარის სადმე, საბუთს ვაჩვენებ, განძი ვისაც ჩაკაბარე. (იორკაზე მიუთითებს). ამ ვიგინდარას ეწადა ხელში ჩაგღება და არ დასცალდა.

ი ო რ კ ა. მე თუ მოვიხელთებდი, მთავრობას ჩავბარებდი.

ი ვ ა ნ ე. ცოდვას ვერ ვიტყვი, იქნებ ნამდვილადაც ასე მოქცეულიყავი, მაგრამ ოქრო-ვერცხლის მომხვეჭელნი არც ჩვენ გახლავართ. ზოგი რამით შენი პატიმრობა არ გთავისუფლებს ხასიკლისაგან. ჩვენ არა მარტო ამ რევოლუციის სამართლიანობისათვის, მომავლის წინაშეც ვაგებთ პასუხს. გაგვიგრძელდა მასლაათი. რევოლუციური წესრიგის აღსადგენად იორკა-ცეცხლი უეჭველად უნდა დახვრიტოს!

ი ო რ კ ა. ჩემთვის უკვე სულ ერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ვ ა ნ ე. სიკვდილის წინ რას გვეტყვი?

ი ო რ კ ა. ცოლი მე არა მყავს და შვილი, ანდერძი რომ დავწერდეთ. არა, პატიებას არა გთხოვთ. უბრალოდ შემინდეთ დანაშაული, თუ ჩემი რევოლუციური საქციელი დანაშაულსაც შეიცავს. დაე, მაპატიოს ყველამ, ვინც ჩემი უნებლიე დანაშაულით დაიღუპა. მე ეს დანაშაული არ მოგონა. ეფექრობდი, რევოლუციის გამარჯვებას ახე სჭირდება-მეთქი. თუ ვცდებოდი, ვცდებოდი პატიოსნად. მე რევოლუციას პატიოსა ვცემ ჩემი პატიოსანი სიკვდილითაც. ოღონდ, ერთსა გთხოვთ, ჩემი რაზმის ბიჭებს ნუ დახოცავთ. ისინი მხოლოდ ჩემს ბრძანებას ასრულებდნენ. ივანე, შენ ღელავ, ნუ, ძმობილო. შემომხედე, მე რა მშვიდად ვარ. თვალი გამისწორე! მე არავის ვემდური, არც შენ, არც ჩემს თავს... (ეტტკას რაღაც ჩაიბურდღუნა). არ ფიქრობთ, იოსკა-ცეცხლი ბედის გაბაჯნეს დაემორჩილა და ახე იმან დააბშვიდაო. მე დავემორჩილე ჩემს ღმერთს — რევოლუციას. აქამდე ფოლის ეუნჭეულში ყოველთვის მეშინოდა სიკვდილის, ამ წუთას ეს შიში მთლიანად გამიქრა. ახე თქვათ, მთლიანად გავთავისუფლდი ამ შიშისგან, თითქოს მოყვრებში საქეიფოდ მივდიოდე. თითქოს უკვე გავაკეთე ყველაფერი, რაც მეკალებოდა და საჭირო აღარა ვარ აღარც სხვებისთვის, აღარც ჩემთვის. (ეტტკას). რამ წაგახდინა, შე ოხერო? ჯერ ტყვია არ მოგბეედრია და უკვე გაგძარა სული? ახე გეშინია სიკვდილის? ადამიანი ეეშმარიტად სიკვდილის შემდეგ ფასდება, შე კურდღელო... სულ რომ ნატრობდი, მწადია, რევოლუციას თავი შეეწიონო და არავინ მკლავსო, ხომ გელიცხა ეს ბედნიერება? რატომ არ ცეცავ? ფუუუ! ჩაიხვარე? წავიდეთ, თორემ აკაურობას ამბორალებ! (წაედა და შეჩერდა). ივან ნიკალეევიჩ, იმ დღეს რომ შემხვედი, ერთმანეთს ძმურად გადავეხვიეთ. ნება მიბოძე, უკანასკნელადაც გადავეხვიო. (პირველი ივანე გადაეხვია და მხარზეც სანუგეშოდ დაარტყა ხელი). მშვიდობით! ახლა კი მედგრად, იოსკა! რკინის კაცად გიცნობდნენ და ახეთე უნდა დარჩე ხალხის ხსოვნაში! რკინას არც ცრემლი სდის, არც — სისხლი. გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას! (წამოიწყო „ინტერნაციონალი" და ეტტკას ხელი ჰკრა). ამყევი, ლაჩარო! (გავიდნენ).

ი ვ ა ნ ე. (შებრუნდა, სიკვდილისკენ მიმავალი იოსკა რომ არ დაინახოს). შენ ჰქავ სტყუი, იოსკა. ადამიანი რკინაც ვერ იქცევა, ხოლო ცრემლი და სისხლი ყველა ადამიანსა სდგას.

ბ ა ბ ო. ამ ბანაგო ბატონო დიდი მეთაურო, საბოლოოდ დავწმენდეთ, ყველაფრად სანდო ადამიანი ხარ. ახლავე ჩაიბარე ეს განძი, კიდევ არაფერი უხიგიბა მოხდეს და ისეე უაჩალებმა არ ჩაიგდონ ხელში. გამათავისუფლეთ ამ ჭირისგან. თვითონ უკეთ მოგეხსენება, ვის ჩაბარო.

ი ვ ა ნ ე. (საველე ტელეფონთან გაჩნდა). ამბანაგო კომისარო, განძი ვიპოვეთ. ეს ხურიდან ის გატაცებული ვანი უნდა იყოს. დიახ. (ყურმილი დადო. გაბოს და იგორს მიუბრუნდა). წამომღვეთ ორივე. ამ განძს უშუალოდ ლენინს ჩავაბარებთ.

ბ ა ბ ო. მერე? ადა ის ჭკვენი ლენინი ბეეჭდინ ხელწერილს მომცემს? თქვენი ძალანაც მეხთარება, მაგრამ, იცოდეთ, უხელწერილოდ ვერავინ მიგცემ. მთელი ქვეყნიერება ახლა შარზეა გადასული... ვის რას გაუგებ?!

(მახლობლად თოფი გაეარდა ორჯერ. ივანემ გაიხედა, შემოტრიალდა და ისე შებარბაცდა, გეგონებათ, ტყეია თეთონაც მოხვდაო). ბატონო, რა მოხდა? რამ შეგაწუხათ? კეთილი, კეთილი, თქვენ გენდობით, უხელწერილოდ ჩაგაბარებთ...

ი ვ ა ნ ე. ეჰ, ძნელია, ძალიან ძნელი!... (გაბოს მოხვია ხელი) თითქმის სიერმის მეგობრები ვიყავით. არადა, სხვანაირად უკვე შეუძლებელი იყო.... ნაგიდეთ!

მ ე ზ ღ ვ ა ო ბ ი. (შემოიჭრა.) ამბანაგო მეთაურო, იოსკას რაზმელები მტრის მხარეზე გადავიდნენ! ალბათ, ძალას მოიკრებენ და ეერიშზე წამოვლენ... თუნდაც განძის კვლავ ხელში ჩასაგდებად.

ი ვ ა ნ ე. ამ განძს ისინი ხელში ვეღარ ჩაიგდებენ. მომყევით!...

ბნელდება. მუსიკალური აქცენტი. განათდა გზა. შემორბის გრიგორი, რომელსაც წითელარაზმელეეიი ა

შეუერთდნენ. მოკლედ, დავკარგეთ ერთმანეთი... ჯერ მაინც არ ვკარგავ ნახვის იმედს...

გ ა ბ ო. ღმერთმა ეგ იმედი ნურც მოგიშალოს! აი, უკვე ორი ვეძებეთ, ეს უფრო საიმედოა...

ს ვ ე ტ ა. ნახვამდის!

(მიდის).

ს ერ გ ე ი. (შემოვიდა ფრთხილად). ქართველო, ფარაჯა მოგიხდა, თოფიც..

გ ა ბ ო. სანამ შვილის კვალს არ ვიპოვი, ასეც შეიძლება...

ს ერ გ ე ი. მაშ, პირადად ლენინი ნახეთ?

ი გ ო რ ი. რას მიქვია — ნახეთო? მთელი ტომარა განძი მიგვქონდა, წინ ვინ დაგვიდგებოდა! იმხელა ადამიანმა ძმაკაცურად ჩაბომბართვა ხელი. მეც არ დავაყოვნე და ცახავით გაშლილ შუბლზე ვაკოცე. მერე, ყველაფერი დაწერილებით მოვუყვეთო. ძალიან დაგვამეფდა.

ს ერ გ ე ი. შენ რამ ჩაგაფიქრა, ქართველო, ვიპოვით შენს შვილს, ვიპოვით, ნუ გედარდება!

გ ა ბ ო. (ჩიბუხს შეინახავს). ეჰ, შვილი შვილია და ყველაზე დიდი სადარდებელია, მაგრამ.. ახლა სხვა რამეც მაფიქრებს...

ს ერ გ ე ი. მაინც? იქნებ შეგვიძლია, დაგეხმაროთ?

გ ა ბ ო. მარტო ჩემი ამბავი რომ იყოს... უკვე იმდენი რამ ვნახე, თითქოს ხელახლა ამებადა თვალი. ისევ მომიდა ლენინთან შეხვედრა. სხვა სათქმელი გამიჩნდა.

ს ერ გ ე ი. ჩვენც გაგვიმხილე ხვაშიადი.

გ ა ბ ო. იცით, საქმე რაშია? ლენინი, იცოცხლეთ, დიდი სულისა და გულის ადამიანია, მაგრამ ლენინი ერთია, მისი ეზრების დამმახინჯებელი კი, ეტყობა, ბევრი. ამას შემოველება ვითომ? წინ რომ გავიხედე, შემეშინდა...

(შორიდან ისმის გარმონის ხმა და სიმღერა).

ს ერ გ ე ი ი. გაგიოცნენ?! ვის მოუნდა ახლა სიმღერა? (სიმღერა ქვემეხის ქუხილმა გაწყვიტა, მერე ტყიამფრქვევიც აკაკანდა). ჰეი, ვის გვესვრის?

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი. იურკას რაზმელებს ჰგვანან... მტრის მხარეზე რომ გადავიდნენ. აკი შემოგვითვალეს: ჩვენი სახელოვანი ბეთაურის დახვრეტისთვის შურს ვიძიებთო. ეტყობა, ძალა მოიკრიბეს და...

ი ვ ა ნ ე. (შემოვიდა). ალეა შემოარტყეთ და განაიარაღეთ! ეცადეთ, სისხლი არ დაიღვაროს!

ს ერ გ ე ი. რომ არ დაგვემორჩილონ?

ი ვ ა ნ ე. მაშინ, რა მეტი გზაა, ესროლეთ! სერიოჟა, მარჯვენა ფრთას მიხედე, მე — მარცხნიდან შემოვფალი.

(გარბიან).

გ ა ბ ო. ჩვენც უნდა ვესროლოთ?

ი გ ო რ ი. აბა, თოფები რისთვის დაგვაპერინეს, ზედ ილოცეთო?

გ ა ბ ო. ნამდვილად რომ არ ვიცით, ვინ არიან?

ი გ ო რ ი. რაკოდა გვიტვეენ... (ისვრის). გაბრიელ, სროლაზე თავს იკავებ? ესროლე, ესროლე, თორემ!..

გ ა ბ ო. ეჰ, ისეთი დროა... აქ ვერ იშიდავებ, ვერც მუშტით მოერევი ვინმეს, თოფს თოფითვე უნდა დახვდე, თუნდაც თავის დასაცავად. რაც არის, არის! (ისვრის). მეტი რა გზაა, როცა.... (ესვრა ისვრის).

ი გ ო რ ი. მე მეზობელ სანგარში გადავალ. ცალ-ცალკე გვირჩევნია. აბა, მარჯვედ!...

გ ა ბ ო. ეჰ, ამასაც მოეხსნარი, შე წამხდარო გაბრიელა!..

(ისვრის).

წრე ტრიალებს. ორმხრივი სროლა. ასევე ორმხრივად ისმის — ეამ! ორი სანგარი პირისპირ დადგა. ერთში გაბოა ჩასაფრებული, მეორეში — კოტე. წრის ტრიალისას ხან ერთია წინ, ხან — მეორე. კოტე დაიჭრა, მაინც ისვრის. გაბო სანგარზე გადაწვა და დადუმდა. კოტეს, ეტყობა, ვაზნები გაუთავდა და ისიც სანგარზე გადაწვა ღონემიხდილი. წრე გაჩერდა. ბრძოლის ხმაური მინელდა. ორ ჯარისკაცს საკაცე მოაქვს. ზედ გაბო წევს. საკაცეს მოჰყვება სვეტა.

კ ო ტ ე. (თავს ასწევს). სვეტლანა!... სვეტა!

ს ვ ე ტ ა. კოსტია, შენ?! აქ ხაიდან?! შენ გვესროდი?!

კ ო ტ ე. რა ვიცოდი... გვითხრეს: მტრებს ვებრძვითო... ეროვნული ბიბლიოთეკა
მეც...

ს ვ ე ტ ა. დაჭრილი ხარ? (უხვევს სახელდახელოდ). ნუ გეშინია, კოსტია, ჭრილობა მძიმე არ არის!

კ ო ტ ე. ფრთხილად! ვაიმე, დედა! ვაიმე, დედააა!..

გ ა ბ ო. (თავს წამოსწევს ოდნავ). კოტე, შვილო!... შენა ხარ, ბიჭო?!

კ ო ტ ე მამა?! ვაიმე, მამა!

გ ა ბ ო. ბიჭო, მძიმედ ხარ დაჭრილი?

კ ო ტ ე. სულაც არაო, არაო... მალე მომირჩება. შენ, მამა?..

გ ა ბ ო. ოღნდ შენ მეყოლე, შვილო, კარგად და ჩემი თავი ჯანდაბას!... ბალლობა ღმერთს, ნანგე მაინც...

კ ო ტ ე. მგონი, სწორედ შენ გესროდი, მამა?!

გ ა ბ ო. რა ვიცი, იქნება მეც შენ გესროდი, შვილო...

კ ო ტ ე. გვიბრძანეს: მოღალატეები უნდა მოვსპოთოო... ყველა ისროდა და მეც... ეს რომ მცოდნოდა...

გ ა ბ ო. ისეთი არეულობაა... ძნელია...

ს ვ ე ტ ა. ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან!... ყველაფერი კარგად იქნება! (ეტეტს). აი, ისეე ვნახეთ ერთმანეთი... ამიერიდან სულ ერთად ვიქნებით... დამშვიდდი, კოსტია.

გ ა ბ ო. თქვენ მაინც გაიხარეთ... ნეტავ მოვსწრებოდი..

კ ო ტ ე. მამა!... ხმა ამოიღე, მამა!... უშენოდ რა მეშველება? შინ მისვლა თუ მეღირება, დედას რა ვუთხრა?

გ ა ბ ო. რა შენი ბრალია, შვილო, მე წამოგიყვანე.. თავს დაუკვირდი, ყველას ნუ ეპყეტი. ვინც თავის თავს კომუნისტს ეძახის, ყველა მართალი და პატიოსანი როდია. ზოგს კომუნისტობა ნიღბად სჭირდება. ლენინი თუ სადმე ნახო, უთხარი: ხურჯინით განძი რომ მოგიტანა, იმ ულაზაზ ქართველმა დამბარა — იცოცხლე, შენი სიბრძნე მოსაწონია, მაგრამ შენს ნაფიქრ-ნააზრევს, ეტყობა, იმდენი გამყალბებელი ჰყავს, ვაითუ, ჭკეყანა შენი ჩაფიქრებული გზით სულაც არ წაიყვანონ-თქო. ჩემს მიტანილ განძსაც კარგად მოუარონ... ეს ჩემი სულის განძიცაა, პატიოსანი სულის... გაუფრთხილდნენ, ისევ მამაძალები არ დაეპატრონონ, სხვა ჯურის მამაძალები. მე არ დამცალდა, მაგრამ, აგერ, შენ ხომ მრჩები!... ჩემ მაგივრადაც იბრძოლე, შვილო, სიკეთის გზა რომ არ გაამრუდონ, პატიოსნება არ გაიუკუღმართონ, კაცის სისხლი ტუფილ-უბრალოდ არ დაღვარონ!.. შემომფიცე, თუ შემომფიცავ, ალარ მოვკვდები!

კ ო ტ ე. ვფიცავ, მამა!... მეც უკვე ბევრი რამ გავიგე...

გ ა ბ ო. შვილო, მზე ჩავიდა?

კ ო ტ ე. მზე ახლა ამოდის, მამა.

გ ა ბ ო. მე ვეღარაფერს ვხედავ... დედაშენს უთხარი, ბიჭო!..

კ ო ტ ე. რა ვუთხრა?.. მამა, ნუ გაჩუდდი!... რა ვუთხრა დედას?

გ ა ბ ო. არაფერი, არაფერი... ერთხელაც შემომფიცე, შვილო!..

კ ო ტ ე. გფიცავ, მამა! გფიცავ, მამა! გფიცავ, მამა!

სადღაც კვლავ ისვრიან. ჯერ ფერები აირია. მერე ფერთა სიჭრელეე გაქრა. დარჩა ერთადერთი ფერი — წითელი. ეს ისე ჩანს, გეგონებათო, უზარმაზარი მზე ამოვიდაო. ამ შუქში ერთად დგანან კოტე და სვეტა, ივანე და ელენე, სერგეი და იგორი, მეზღვაური და მუშა, მეცნიერი, მწერალი, არტისტი, ჯარისკაცი... მამა-შვილის ბოლო სიტყვებს თიოქოს ცა და მიწა იმეორებენო:

— შემომფიცე, შვილო!

— ვფიცავ, მამა!...

ეს ფიცი სახეიმო ჰიმნად გუგუნებს.

დასასრული

1977 წელი, იანვარი.